ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 100 დღე

№ 100 (12 475) 30 აპრილი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**რონალდინიო ბარსას მოთამაშე აღარ არის**

მოსალოდნელი ტრანსფერის გარშემო »»» 9

**დიდი ჩხუბი ლონდონში**

რა მოხდა სტემფორდ ბრიჯზე »»» 7



# ინგლისმა ლიგა უკვე მოიგო








ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერი–ბარსელონა 1:0 »»» 6

## ზაზამ გარნეტს არ შეარჩინა




»»» 13

## რონალდო შარში გაეხვა

როგორ აღმოჩნდა ბრაზილიელის ოთახში სამი ტრანსვესტიტი



სკანდალი »»» 9

ინტერვიუ დილარ ხაბულიანთან

# რატომ არ არის ყველა კლუბი თანაბარ პირობებში

## მერანის პრეზიდენტი კლუბის მიტოვებას არ აპირებს



დილარ ხაბულიანი

**საფეხბურთო** კლუბი "მერანი" უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა – ეს ჯერ ოფიციალურად არ გაფორმებულა, მაგრამ ფაქტობრივად გადაწყვეტილი საკითხია. საკმაოდ კარგად დაფინანსებული და საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით, "მერანმა" ვერც კვალი დატოვა და ვერც ლამაზი მოგონება. თავიდანვე იყო საკმაოდ უფერული და უმაღლესსაც ასე ემშვიდობება.

როგორც ჩანს, თბილისური კლუბის მეპატრონე დილარ ხაბულიანმა კარგად გააანალიზა გუნდის მართვაში დაშვებული შეცდომები და სამომავლო სტრატეგიად "მერანის" სრულყოფილი სტრუქტურის ჩამოყალიბებას გეგმავს.

ამის თაობაზე "მერანის" პრეზიდენტი და მეპატრონე დილარ ხაბულიანი "ლელოს" ესაუბრება. ამას გარდა, ქართული ფეხბურთისთვის საჭირბოროტო საკითხებსაც შევეხეთ და, ვფიქრობ, საინტერესო პოზიციებიც დააფიქსირა.

**- "მერანი" უმაღლეს ლიგას, ფაქტობრივად დაემშვიდობა. თავიდან მოგიწევთ საფეხბურთო ელიტაში დაბრუნებაზე ფიქრი.**

- ეს არაფერია. უმაღლეს ლიგაში ორწლიანმა გამოსვლამ ბევრი რამ გვასწავლა და ეს კლუბის ზრდისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. თუნდაც, ამ წარუმატებლობის პერიოდსაც კი სალი გონებით ვაფასებთ.

**- რა ბედი ელის კლუბს?**

- ცუდი არაფერი ელის. კლუბი არსებობას გააგრძელებს. ვითამაშებთ პირველ ლიგაში, თუ რეგინალლიგაში, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მომავალზე ფიქრს გავაგრძელებთ.

**- შესაძლოა, რეგიონალლიგაში ითამაშოთ?**

- მე არ მიგულისხმია, რომ პირველ ლიგაზე უარს ვიტყვით. უბრალოდ, ფარმ-კლუბი დაბალ ლიგაში საჭიროა და ეს ვიგულისხმე. ჩვენთვის მთავარია, რომ საფეხბურთო სკოლას მივაქციოთ უფრო მეტი ყურადღება, რათა საკუთარი თაობა გავზარდოთ და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შემთხვევაში, უფრო მყარი საფუძველი გვქონდეს. აქამდე ხომ უმთავრესად, მოწვეულების იმედად ვიყავით.

**- ანუ ტყუილია ხმები, თითქოს ხაბულიანმა გუნდის შენახვაზე უარი თქვა?**

- რა თქმა უნდა, ტყუილია. დაწყებულ საქმეს ასე იოლად არ შეველევი. ეს იყო წარუმატებელი სეზონი, მაგრამ უკეთესად ვიმუშავებთ და წარმატებულები გავხდებით. გადავხედავთ, შეცდომები სად დავუშვით. ცხოვრება ხომ ამ ჩემპიონატით არ მთავრდება.

"მერანზე" უარს კი არ ვამბობ, პირიქით, ახლა უფრო სრულფასოვან ცხოვრებას ვიწყებთ. უმაღლესიდან გავარდნა ავტომატურად კლუბის დაშლას არ ნიშნავს. ჩვენ საფეხბურთო სკოლასთან ერთად, სტადიონისა და მთლიანი ინფრასტრუქტურის მოწყობაზეც ვფიქრობთ.

**- სტადიონის მშენებლობას კიდევ აგრძელებთ?**

- დიახ, ჯერ ტრიბუნები მხოლოდ 1500 მაყურებელს იტევს. წლეულს კიდევ გავაგრძელებთ, ერთი ამდენს დავამატებთ და 3000-ადგილიანი სტადიონი გვექნება. ასეთი სტადიონი საქართველოსთვის სავსებით საკმარისი და მისალებია. თავად არსებულიც კიდევ უფრო კეთილმოეწყობა. ახალი ტრიბუნა კი დღევანდელის მოპირდაპირე მხარეს დამონტაჟდება.

**- ალალად გვითხარით, როგორც წარმატებული სახეობის, ძიუდოს ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურამ – რა ხალისით ჩერდებით ფეხბურთში, რომელიც ძიუდოსგან განსხვავებით, ქვეყანას არცხვენს და ხალხს გულს გვიხეთქავს?**

- მე კი ვარ სვანეთიდან და ძიუდოს მივდევდი, მაგრამ ფეხბურთს სიამოვნებით ვთამაშობდი და პატარაობიდან ძალიან მიყვარდა. გეგულებათ ქართველი კაცი, ფეხბურთი არ უყვარდეს? კლუბის აყვანა და დაფინანსებაც ამიტომ გადავწყვიტე.

**- თქვენი აზრით, არის ფეხბურთში ისეთი საინვესტიციო გარემო, რომელიც ბიზნესმენებს მიიზიდავს?**

- რა თქმა უნდა, უკეთესი გარემო მირჩევნია, მაგრამ ჩვენ თუ არ მოვკიდეთ ხელი და ვითარების გამოსწორებას არ შევეცადეთ, არაფერი გამოვა.

**- თქვენი აზრით, რა არის შესაცვლელი?**

- საჭიროა, ფეხბურთის მეტი ხელშეწყობა და სახელმწიფოებრივი ზრუნვა. კარგია მცირე ზომის სპორტული მოედნების მოწყობა, მაგრამ გაცილებით სასურველად მიმაჩნია, რაც შეიძლება მეტი საფეხბურთო ბაზის და სტადიონის მშენებლობა, სადაც მომავალ თაობებს მოვამზადებთ და დავაოსტატებთ.

ამას გარდა, მთავარი ქალაქების მსგავსი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონებს, რომლებიც ჩვენს ფეხბურთს ტალანტებს უზრდიდნენ. გაჭირვებამ ეს წყარო მოსპო და ახლა რაც შეიძლება სწრაფად უნდა ალვადგინოთ.

**- ფედერაციისა და სახელმწიფოს შეთანხმება შედგა, მთავრობა მზადაა ფეხბურთის განვითარების პროგრამა განახორციელოს. თქვენ ბიზნესის კუთხით, მასში რაიმე ხელმოსაჭიდი თუ დაინახეთ?**

- თავისთავად, ეს პროგრამა დიდი წინსვლაა და მივესალმები. თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, კერძო სტრუქტურისთვის ჯერ საინტერესო არაა.

**- რას გულისხმობთ?**

- ყველა გუნდი თანაბარ ვითარებაში უნდა ჩავაყენოთ.

**- ახლა რატომ არ არიან თანაბარ ვითარებაში?**

- როგორ ვიქნებით ყველა ერთნაირ პირობებში, როდესაც იქ საუბარია მხოლოდ რვა კლუბის დაფინანსებაზე. ეს პროგრამა დანარჩენებზეც უნდა განავრცონ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვიტალი დარასელიას ლოკომოტივური მუღამი

**ვიტალი დარასელია**, ლევან ცქიტიშვილი და რატი ალექსიძე - სამეულით გაძლიერებულმა თბილისის "ლოკომოტივმა" მეორე წრეში სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოიკეთა და ალბათ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა აღარ დაემუქრება. დარასელია, ალექსიძე და ცქიტიშვილი "ლოკომოტივში" მაშინ მივიდნენ, როცა მეორე წრე უკვე დაწყებული იყო და მაინც დიდი სარგებლობა მოუტანეს გუნდს.

ბოლო ტურში "ლოკომოტივმა" დარასელიას გოლით, სტუმრად, "მერანი" დაამარცხა. ვიტალიმ ჩინებული ბურთი გაიტანა და ესეც რომ არა, გამორჩეულად ითამაშა.

დარასელიასთან საუბარი "ლოკომოტივით" დავიწყეთ და მერე სხა თემებსაც გადავწვდით.

**- მომდევნო ტურში ცხინვალის "სპარტაკს" ხვდებით, მერე კი "დინამოს" - ალბათ ყველაზე კარგად "დინამოსთან" გამოჩნდება, თუ რა შეუძლია გამოცდილი ფეხბურთელებით გაძლიერებულ "ლოკომოტივს"...**

- ვფიქრობ, "დინამოსთან" კარგი თამაში იქნება, არა მგონია, "დინამოსთან" წავაგოთ, მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებთ - ცქიტიშვილი, ალექსიძე, სამხარაძე - "ლოკომოტივს" ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, მთელ გუნდთან ერთად ბევრის გაკეთება რომ შეუძლიათ. "დინამო" კარგი გუნდია, მაგრამ არც ისეთი, მისი დამარცხება რომ არ შეიძლებოდეს.

**- "ლოკომოტივის" მწვრთნელები ვარჯიშებზე დიდად არ გტვირთავენ, ალბათ იმიტომ, რომ საუკეთესო ფორმაში არ ხარ და ვარჯიშებმა არ გამოგფიტოს...**

- ცხადია, ვინც სეზონისთვის კარგად ვერ მოემზადა, ვარჯიშებზე დიდი დატვირთვები თუ ექნება, ძალა გამოეცლება. ჯანი თამაშებით მოვა, ვარჯიშებს კი მთელი ძალა არ უნდა შევალიოთ.

**- მას შემდეგ, რაც იყო შუშაკის გაწვრთნილი "დინამოდან" წახვედი, სულ აქეთ-იქით გიწევს ყოფნა - "ალანია", ისევ "დინამო", მერე ყაზახური "შახტიორი", შემდეგ მოლდოვურ "დაჩია", ახლა "ლოკომოტივი" - რითი ახსნიდი ამას?**

- ერთხელ რომ აირევი, მერე ძნელია, დალაგდე. ალბათ, ეს ხასიათის ბრალიცაა. უდისციპლინო ნამდვილად არ ვარ, მაგრამ სადაც კი მითამაშია, თითქმის ყველგან კმაყოფილი არიან ჩემი თამაშით, ქცევით კი - არა.

**- ეს როგორ უნდა გავიგოთ?**

- ყოველთვის იმას ვლაპარაკობ, რასაც ვხედავ. ამის გამო ჩემთან დაახლოებასაც კი ერიდებიან. პირდაპირი ვარ, ზურგსუკან ლაპარაკი ჩემი საქმე არ არის. მაგალითად, "ალანიიდან" ძალიან ცუდად წამოვედი - სამი თვის შემდეგ ხელფასი არ მოუციათ და ასეთ სიტუაციას ვერ შევეგუებოდი.

**- სეზონის დასრულების შემდეგ რას აპირებ?**

- ალბათ , უცხოეთში წავალ, სავარაუდოდ, ისევ ყოფილი საბჭოეთის რომელიმე ქვეყანაში.

**- რა არის მთავარი განსხვავება ახლანდელ და მაშინდელ ეროვნულ ჩემპიონატს შორის, როცა შუშაკის "დინამოში" თამაშობდი?**

- მაშინ უფრო ძლიერი ჩემპიონატი იყო, ექვსი-შვიდი ისეთი გუნდი გამოდიოდა, "დინამოს" მათთან თამაში რომ უჭირდა. ახლა კი ასეთი სამი გუნდი თუ არის.

**- როგორ ფიქრობ, ყველაზე უფრო ამას რა ფაქტორი განაპირობებს?**

- როცა ფეხბურთელს ხელფასი 200 ლარი აქვს, ის მხოლოდ ფეხბურთზე ვერ იფიქრებს. ჯერ ითამაშე მაგრად და ფულს მერე მიიღებ - ასეთი პრინციპი გაუმართლებელია. რა თქმა უნდა, ვინც კარგად თამაშობს, მას სხვაზე უკეთესი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს, მაგრამ ფეხბურთელს თუ ნორმალური ხელფასი არ ექნება, ვერ გაიზრდება. ახალი თაობა ნაკადად აღარ მოდის, ერთი ლევან ყენია გამოჩნდა...

**- მალე 30 წლის გახდები, კლუბების ხშირი ცვლაც ალბათ თავისას აკეთებს. როგორ აფასებ საკუთარ თავს, რა რესურსი შეგრჩა?**

- 30 წლის გახდები და ძველებური ჯანი აღარ გექნება - ასე არ არის. შესაძლოა, 6-7 თვე გაგიცდეს, მაგრამ სამი თვე თუ სრულფასოვნად მოემზადები, კარგ ფორმაში შეხვალ.

**- ვიტალი დარასელიას კოზირი მისი ლონიერი და მოქნილი ცაციაა - ამაზე მიზანდასახულად მუშაობდი თუ ეს უბრალოდ, ბოძებული გაქვს?**

- ხან ვარჯიშის შემდეგ, ხან კი ვარჯიშის წინ ინდივიდუალურად ვმუშაობ ცაციათი დარტყმაზე. დარტყმები ძალას გაცლის და ამის შემდეგ ვარჯიში ძნელია, თუმც ახლა ეს ჩემთვის კარგიცაა, უფრო ნაყოფიერი ვარჯიში გამომდის. ერთი სიტყვით, დაყენებული დარტყმა რომ მაქვს, ეს ვარჯიშის შედეგია.

**- თბილისის "ლოკომოტივში" თამაში - ეს შენთვის რა მოტივაციაა?**

- მეგობრების გუნდში მივედი და საქმე უნდა გავაკეთო. გარდა ამისა, კარგად უნდა მოვემზადო და ისევ უცხოეთში წავიდე - ამ მუღამით ვთამაშობ "ლოკომოტივში".



ვიტალი დარასელია

**- ნაკრებზეც გკითხავ. ბოლო წლებში ეროვნულ გუნდში აღარ გიწვევდნენ. მიგაჩნია, რომ შენთვის სანაკრებო მატარებელმა უკვე ჩაიარა?**

- ვფიქრობ, ერთხელ მაინც უნდა გამომიძახონ და შანსი მომცენ. "ალანიაში", რუსეთის პრემიერლიგაში ვთამაშობდი და არაერთხელ მოვხვდი ტურის სიმბოლურ ნაკრებში, მაგრამ ეროვნულ გუნდში არ მიძახებდნენ. არადა, რამდენჯერაც ვითამაშე ნაკრებში, ცუდად არასდროს გავრჯილვარ. ბოლო დროს ჩვენთან თითქოს სინდის-ნამუსი დაიკარგა, თუ სამართლიანობა არ იქნება, წინ ვერ წავალთ.

**- დიდი შანსია, საქართველოს ნაკრები ხორვატ ბრანკო ივანკოვიჩს ჩააბარონ. გადაწყვეტილების მიღებისას ალბათ დიდი ყურადღება მიექცევა იმას, ახალი მწვრთნელი რამდენად კარგად გაერკვევა ქართულ მენტალიტეტში. შენი კარიერის საუკეთესო პერიოდი ალბათ ივანკოვიჩის თანამემამულე შუშაკის "დინამოში" გქონდა. როგორ ფიქრობ, ხორვატები მენტალურად ჩვენთან ახლოს არიან?**

- როცა შუშაკი იყო "დინამოს" მწვრთნელი, არ მახსოვს, გუნდში ვინმეს მასზე ცუდი ეთქვას. შუშაკს ჩვენი ისე კარგად ესმოდა, ქართველი გეგონებოდათ. ნაკრების მწვრთნელიც ისეთი უნდა იყოს, ქართველების კარგად რომ ესმოდეს.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

# მთავარია, გარიგებულმა მატჩებმა არ შეგვაფერხოს

## რა უთხრა სპარტაკის ფეხბურთელებს დიმიტრი სანაკოევმა

**მიმდინარე სეზონის დასრულებამდე 3 ტური დარჩა. მოწინავე სამეულსა და ბოლო ხუთეულში, საპრიზო ადგილებისა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. კვლავაც საშიშ ზონაში მყოფმა ცხინვალის "სპარტაკმა" კი მორიგი სენსაცია შემოგვთავაზა. უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე წრეში, კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი ლიდერთა რისხვაა. ამის დასტურად საკმარისია ახლო წარსულს გადავავლოთ თვალი. თბილისის "დინამომ" "სპარტაკის" დამარცხება მხოლოდ თამაშის ბოლო წუთებზე გატანილი გოლის წყალობით შეძლო. სამაგიეროდ მოგება ვერ შეძლო "ვიტ ჯორჯიამ". "ზესტაფონსაც" ძვირი დაუჯდა "სპარტაკთან" სტუმრობა.**

**რაში მდგომარეობს საიდუმლო, რითაც "სპარტაკმა" ლიდერთა რისხვის სახელი დაიგდო. რას უწონებს და რას ითხოვს ცხინვალელთა მწვრთნელი ფედერაციისა და პროფლიგის ხელმძღვანელობისგან. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე კობა ჟორჟიკაშვილს მივმართეთ. საუბარი "ზესტაფონთან" ბოლოს ჩატარებული მატჩით დავიწყეთ.**

- ჩვენს წყვილში უპირობო ფავორიტი "ზესტაფონი" იყო. მოგეხსენებათ, თანამედროვე ფეხბურთში ფინანსები ბევრს წყვეტს. ზესტაფონელები ფინანსებითაც გვჯობნიან, პირობებითაც და შემადგენლობითაც. "ზესტაფონი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ჩვენს ჩემპიონატში.

**- ადრე "ზესტაფონში" მუშაობდით. შესაბამისად, ამ გუნდსა და ფეხბურთელებზე ბევრი რამ იცით. ბუნებრივია, ეს ფაქტორიც დაგეხმარათ...**

- დიახ, "ზესტაფონში ვმუშაობდი. მართლაც კარგად ვიცი ფეხბურთელების შესაძლებლობები, ტაქტიკა, სტრატეგია. თუმცა ამ მნიშვნელოვანი ქულის მოპოვებაში გადამწყვეტი როლი მაინც ფეხბურთელებმა შეასრულეს. ბევრი რამ ვიცოდი მეტოქეზე და ჩემს ფეხბურთელებს შესაბამისი დავალებები მივეცი, მაგრამ მათ რომ დავალება ვერ შეესრულებინათ, შედეგს ვერ მივაღწევდით. ასე რომ, მოთამაშეებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს.

მართალია, "ზესტაფონში" ვმუშაობდი და იქიდან წამოსვლა მომიწია, მაგრამ მწვრთნელის ხვედრი ასეთია. დღეს ერთ გუნდში ხარ, ხვალ მეორეში და ამას რომ გამოვეკიდოთ... ჩვენ უფრო სხვა მოტივაცია გვქონდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მატჩის წინ გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. ძირითადი შემადგენლობის 4 ფეხბურთელი დაგვაკლდა. შეხვედრა მამუკა ღონღაძემ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ბახტურიძე, ძარია და ქორიძე "ზესტაფონიდან" არიან განათხოვრებულნი და შეთანხმების მიხედვით, მატჩში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ.

**- ზემოთ ახსენეთ სხვა მოტივაცია გვქონდაო. "ზესტაფონთან" ქულის მოპოვებისთვის ფინანსური მოტივაცია ჰქონდათ თქვენს ფეხბურთელებს?**

- არა, ეს არ მიგულისხმია. ჩვენი კლუბი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ამისი ფუფუნება ნამდვილად არ გვაქვს. "სპარტაკი" ჯერაც საშიშ ზონაშია, ჩვენთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. ჩვენი ფეხბურთელები ფულზე წინ პრესტიჟსა და ღირსებას აყენებენ.

**- "ზესტაფონთან" გიორგი ხიდეშელმა დუბლი მიითვალა. ამ გვარ-სახელის მქონე ფეხბურთელი ზესტაფონელთა გუნდშიც თამაშობს...**

- ისინი მოგვარეები არიან. ჩვენი გიორგი ხიდეშელი მერაბის ძეა. 1986 წელსაა დაბადებული. ის ამპლუით ფორვარდია, მაგრამ როცა შუა ხაზში გვიჭირდა, ნახევარდაცვაშიც ვათამაშებდით.

**- როგორც გავიგეთ, იმერლებთან მატჩს დიმიტრი სანაკოევიც ესწრებოდა...**

- დიახ, დაესწრო და გახარებული იყო. ყველას მოგვილოცა ეს ოქროს ქულა. ისიც თქვა, "სპარტაკმა" ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენაო.

**- თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე წრეში "სპარტაკი" ლიდერების რისხვაა. რაშია ამისი საიდუმლო?**

- ეს მხოლოდ ჩემი, მწვრთნელის დამსახურება არაა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი გუნდის ფეხბურთელებს კარგად აქვთ გათავისებული, რომ გავარდნის საფრთხე გვემუქრება. ყველა თამაშში ბოლომდე იხარჯებიან და ამას შედეგიც მოაქვს.

**- ამ ქულით ფლეი-ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნეთ. შეძლებთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

- ფეხბურთელებს ყოველთვის ამას ვეუბნები. ჩვენი შანსი ჩვენივე ხელშია თქო. ლიგაში დარჩენისთვის, ურიგო შანსი ნამდვილად არ გვაქვს. სეზონის დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა და თითოეულ შეხვედრაში დიდი ომი მოგვიწევს...

**- სტუმრად "ლოკომოტივთან", შინ "დილასთან" და ბოლოს რუსთავში "ოლიმპთან"...**

- "ლოკომოტივი" ჩვენი უშუალო კონკურენტია. მთლად კარგი კალენდარი არ გვაქვს, მაგრამ ურიგოც არ ეთქმის. მათთან ცხარე ბრძოლა გველის. თბილისელებს ნაკრების ყოფილი თუ ახლანდელი ფეხბურთელები ჰყავთ. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. მთავარია, სხვა პრობლემებმა არ შეგვიქმნას საფრთხე, არა მარტო ჩვენ, არამედ მთლიანად ჩვენს ჩემპიონატსა და მის დონეს.

**- რა პრობლემებს გულისხმობთ?**

- გარიგებულ მატჩებს.

**- ფედერაციისა და პროფლიგის ხელმძღვანელობამ გარიგებულ მატჩებს უკვე გამოუცხადა ბრძოლა...**

- დიახ, ვიცი და ეს მართლაც მისასალმებელია. ფედერაციასა და პროფლიგას ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ. ყველა ჩემპიონატში სწორედ დასკვნით ფაზაში იზრდება გარიგებული მატჩების რაოდენობა. ამ მხრივ ახლა მეტი საფრთხეა და კარგი იქნება, თუ ფედერაციისა და პროფლიგის ხელმძღვანელობა უფრო ფხიზლად იქნება. აუტსაიდერი გუნდი რომ ბოლო 3 ტურში 6 ან 9 ქულას აიღებს, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო ვითარებასთან მაინც გვაქვს საქმე.

**დავით ცაბაძე**



კობა ჟორჟიკაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# ჩვენებურები უეფას ნახევარფინალსა და ევროპის ჩემპიონატზე

## ქართველები ერთმანეთს თვალს ცაშიც არიდებენ



გერდ მიულერი და მამუკა კვარაცხელია

მიუნხენის „ბაიერნსა" და პეტერბურგის „ზენიტს" შორის, უეფას თასის ნახევარფინალურ შეხვედრას ქართველები ემსახურებიან. უეფამ მიუნხენის მატჩის მედია-ოფიცრად **მამუკა კვარაცხელია** დანიშნა, განმეორებით შეხვედრაზე კი ვინ მიავლინა, ბოლოს გეტყვით.

მამუკა კვარაცხელია პირველი მატჩის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს: *"რუსებმა რომ სენსაცია გამოაცხვეს, ორი აზრი არაა. რუსული ფეხბურთის პროგრესისა და მის მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, „ზენიტის" ფრე ყველას წარმოუდგენელი გვეგონა. არაფერს ვამბობ იმ ატმოსფეროზე, რომელიც სტადიონზე დაგვხვდა. „ალიანსარენაზე" თამაში უკვე ბედნიერებაა. ეს ჩემთვის იყო ასეთი რანგის პირველი მატჩი, სადაც უეფამ მიმავლინა. მანამდეც უამრავი საინტერესო შეხვედრა ჩამაბარეს, მაგრამ უეფას თასის ნახევარფინალს მაინც სულ სხვა დატვირთვა აქვს.*

*სხვათა შორის, ეს პირველი პრეცედენტი იყო როდესაც უეფას თასზე მედია-ოფიცერი დანიშნეს. მანამდე უეფა უმთავრესად ჩემპიონთა ლიგის ორგანიზაციაზე ზრუნავდა. მომავალი წლიდან მედია-ოფიცრებს უკვე მეოთხედფინალებზეც მიავლენენ, რადგან წლევანდელმა ექსპერიმენტმა გაამართლა.*

*მატჩისთვის ოფიციალური ბანკეტი მოეწყო და არ შემიძლია, არ გავიხსენო შეხვედრა გერდ მიულერთან. ის დღეს „ბაიერნისთვის" მომავალ თაობას ზრდის. უშუალო და უბრალო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. გამოვკითხე და კაცი გახარებული იყო, უნიჭიერესი თაობა გვეზრდება, „ბაიერნი" ევროპაში თავის ადგილს დაიბრუნებსო. რომ გაიგო საქართველოდან ვიყავი, რატომღაც თვალები გაუბრწყინდა, შენ ხარ საქართველოდანო? არ ვიცი, რა გაახსენდა ჩვენს ქვეყანაზე, ამაზე სასაუბრო დრო ნაღდად არ გვქონდა, მაგრამ აშკარად ისეთი რეაქცია გამოავლინა, რომ ძალიან კარგი ამბავი გაახსენდა."*

კვარაცხელიას თქმით, პეტერბურგში, „ზენიტისა" და „ბაიერნის" საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრასაც ქართველი მოემსახურება – უეფამ მატჩის დირექტორობა **დავით პეტრიაშვილს** ჩააბარა - თბილისის „დინამოს" ყოფილ მმართველ დირექტორს, რომელიც ამჟამად ფიფასა და უეფას დირექტორი და საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" ვიცე-პრეზიდენტია. პეტერბურგში დათო გუშინ გაემგზავრა.

*„ხომ ხედავთ, უკვე უეფა ქართველების გარეშე ველარ ძლებს. ხუმრობა იქით იყოს, ეს არა მარტო ჩემთვის და დათოსთვის, საქართველოსთვისაა დიდი პატივი, ამ რანგის შეხვედრას ქართველებს რომ გვანდობენ,"-* გვითხრა კვარაცხელიამ.

ფეხბურთის ფედერაციასთან დაპირისპირებული მედია-ოფიცრის თქმით, უახლოეს დღეებში ის პრესკონფერენციას გამართავს.

*„გერმანიიდან ორი დღის წინათ დავბრუნდი. ყველა ოპოზიციური გაერთიანება შევხვდებით ერთმანეთს და დავილაპარაკებთ მომავლის გეგმებსა და სტრატეგიაზე. ფედერაცია ეძებს მწვრთნელს და გვთავაზობს თანამშრომლობას. ეს არის ჩვენი დაცინვა და მსგავს ანკესს არავინ წამოეგება. ჩვენი მიზანი ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლა და ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანაა."*

გერმანიაში მგზავრობისას თვითმფრინავში ერთი კურიოზული ამბავიც მოხდა – ერთ სალონში, ბიზნეს კლასში გვერდი-გვერდ აღმოჩნდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** და მასთან დაპირისპირებული მამუკა კვარაცხელია.

*„სასაცილო ვითარება იყო. ახალკაცთან საკმაოდ ახლოს ვიჯექი, მაგრამ ერთმანეთს თვალი ავარიდეთ. რას ვიზამთ, ცხოვრებაა ასეთი. დიდი ხანი ვცდილობდი მათ გამოფხიზლებას და არაფერი გამომივიდა. ახლა ჩვენ ფედერაციის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობას კი არა, მათ ჩამოშორებას ვცდილობთ. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების აქტიურობით, მათ გათავისუფლებას მივაღწევთ."*

დაბოლოს, უეფამ მამუკა კვარაცხელია 17-წლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის მედია-ოფიცრად დაინიშნა. ტურნირი საკურორტო ქალაქ ანთალიაში 4 მაისს დაიწყება და 16-ში დასრულდება.

**მერაბ მამულაშვილი**

## თუგაის ტომაზი შეცვლის

3 ივნისს **შოთა არველაძის** გამოსათხოვარ მატჩზე ვერ ჩამოვა "ბლექბერნის" თურქი შუახაზელი **თუგაი ქერიმოღლუ** და შოთამაც მის შემცვლელად ლევანტელ **დამიანო ტომაზის** უხმო.

ტომაზი "ლევანტეში" 2006 წელს მივიდა,მანამდე ათი წელი "რომას" ფეხბურთელი იყო,იტალიის ნაკრებში კი 25 მატჩი ითამაშა და 2 გოლი გაიტანა.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXIII ტურის მიმოხილვა

# გოლების წვიმა მთავარი ტურის წინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 58-13 | 61 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 23 | 18 | 3 | 2 | 43-10 | 57 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 17 | 4 | 2 | 53-14 | 55 |
| 4. ამერი | 23 | 14 | 2 | 7 | 46-24 | 44 |
| 5. ოლიმპი | 23 | 13 | 4 | 6 | 23-16 | 43 |
| 6. მესხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 24-28 | 32 |
| 7. ბორჯომი | 23 | 9 | 4 | 10 | 28-29 | 31 |
| 8. მგლები | 23 | 8 | 3 | 12 | 21-29 | 27 |
| 9. სიონი | 23 | 7 | 5 | 11 | 24-32 | 26 |
| 10. ლოკომოტ. | 23 | 6 | 5 | 12 | 16-26 | 23 |
| 11. სპარტაკი | 23 | 4 | 7 | 12 | 10-25 | 19 |
| 12. მერანი | 23 | 5 | 1 | 17 | 12-46 | 16 |
| 13. ბათუმი | 23 | 4 | 3 | 16 | 13-44 | 15 |
| 14. დილა | 23 | 1 | 5 | 17 | 10-46 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| აკირემი (დინამო) | 9 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 9 |
| გ. ნოდ. ქელიძე (ზესტ./ბათუმი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |

**მომდევნო ტური**

| | |
|---|---|
| **2 მაისი, პარასკევი** | |
| 17:00 | მესხეთი-ბათუმი |
| 17:00 | ლოკომოტივი-სპარტაკი |
| 17:00 | მგლები-სიონი |
| 17:00 | დილა-მერანი |
| **3 მაისი, შაბათი** | |
| 17:00 | ზესტაფონი-დინამო |
| 17:00 | ვიტ ჯორჯია-ამერი |
| 17:00 | ოლიმპი-ბორჯომი |



მგლებთან შესრულებული დუბლით ტატანაშვილი (18) ბომბარდირთა დავაში ლიდერებს მიუახლოვდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## XXIII ტურის სიმბოლური ნაკრები




გასული ტური მეტისმეტად უხვგოლიანი გამოდგა. 7 მატჩში გუნდებმა 27 ბურთი გაიტანეს, რაც საშუალოდ ერთ შეხვედრაში თითქმის 4 გოლს აღწევს. უმაღლესი ლიგის სამმა ბინადარმა მეტოქეს დიდი ანგარიშით სძლია. სამმა ფეხბურთელმა ჰეთ თრიქი შეასრულა, ოთხმა კი დუბლი. ცვლილებები სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილშიც მოხდა და ქვედაშიც, ტურის მთავარი ამბები კი "ზესტაფონის" გორში წაფორხილება და "ლოკომოტივის" მიერ უშუალო კონკურენტის ძლევაა.

### დინამო ოქროსკენ მიიწევს

ტურიდან ტურამდე "დინამო" დამაჯერებელი ნაბიჯებით უახლოვდება ჩემპიონის ტიტულს. "ვიტ ჯორჯიასთან" სტუმრად მიღწეული ფრის შემდეგ, ყველაფერი უკვე მთლიანად **დუშან უჰრინისა** და მისი ფეხბურთელების ხელთაა. "მესხეთთან" დედაქალაქელებმა საკმაოდ ხარისხიანად ითამაშეს და სტუმართა გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, დამაჯერებლად იმარჯვეს.

ძალიან ძნელი წარმოსადგენია, "დინამომ" ოქროს მედლები ხელიდან გაუშვას. ამას უპირველესად, კალენდრიდან გამომდინარე ვამბობთ. მომდევნო ტურში ერთპიროვნული ლიდერი "ზესტაფონს" ეწვევა და სულაც არაა გამორიცხული, ჩემპიონობა იმერეთშივე იზეიმოს. ფრის შემთხვევაში, "დინამოს" ერთი კვირის შემდეგ შეეძლება ოქროს გაფორმება. საამისოდ კი შინ "ლოკომოტივის" დამარცხება დასჭირდება. რკინიგზელები ბოლო დროს მოძლიერდნენ, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ ეროვნულ სტადიონზე სტუმრობამდე უმაღლეს ლიგაში დარჩენა უკვე დაბევებული ჰქონდეთ. "ვიტ ჯორჯია" "დინამოს" კვლავ ოთხქულიანი ჩამორჩენით მისდევს და დღევანდელი გადასახედიდან, მეორე ადგილის მთავარ პრეტენდენტად მოჩანს.

### ლოკომოტივი თითქმის სამშვიდობოზეა

ზემოთ "ლოკომოტივი" ვახსენეთ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ "მერანთან" რკინიგზელებმა სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ჩაატარეს. აუტსაიდერთა შორის თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, რეალური საგოლე მომენტები "მერანსაც" ჰქონდა, საბოლოოდ კი თამაშის ბედი **ვიტალი დარასელიას** საშემსრულებლო ოსტატობამ გადაწყვიტა. დარასელიას ეფექტურმა გოლმა **გიორგი კიკნაძის** გუნდი თითქმის მთლიანად გაარიდა სახიფათო ზონას. შემდეგ ტურში "ლოკომოტივი" ცხინვალის "სპარტაკს" მასპინძლობს და თუ გაიმარჯვა, იქვე გაინაღდებს საგაისოდ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობას.

"სპარტაკს" "ლოკომოტივთან" მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, **კობა ჟორჟიკაშვილი** და მისი შეგირდები პლეი ოფში თამაშს დასჯერდებიან. თუმცა საპლეიოფო შანსები ჯერ "მერანსა" და "ბათუმსაც" არ დაუკარგავთ.

### მგლების შეწყვეტილი ტრადიცია

მეორე წრის საწყის ტურებში ზუგდიდელთა დაცვა ფაქტობრივად, შეუცდომლად მოქმედებდა. "მგლების" კარი ზედიზედ 5 მატჩის განმავლობაში იყო აუღებელი. თუმცა შემდეგ, როგორც ჩანს, უმაღლეს ლიგაში დარჩენის განაღდებამ კლუბის წევრები მოადუნა. გასულ ტურში "ამერმა" ზუგდიდელებს ერთი ამოსუნთქვით გადაურბინა. პირველად სეზონში, **ბესიკ შეროზიას** გუნდმა ხუთი უპასუხო ბურთი მიიღო. ყველაფერთან ერთად, "მგლების" განადგურება სამი ძირითადი ფეხბურთელის დისკვალიფიკაციითაც უნდა ავხსნათ. ზუგდიდელებს არცთუ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ და სულაც არაა გასაკვირი, ამგვარი დანაკლისის ანაზღაურება თუ ვერ შეძლეს.

ბუნებრივია, გარჯა არ უნდა დავუკარგოთ ამერელებს, რომლებმაც სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარეს. მასპინძელთა შორის **გიორგი დეკანოსიძე** გამოირჩა, თავი **დიმიტრი ტატანაშვილმაც** გამოიჩინა, რომელიც მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და დუბლი შეასრულა. **გიორგი ელბაქიძემ** და **დენის დობროვოლსკიმ** კი ეფექტური გოლებით დაგვამახსოვრეს თავი. მოკლედ, "ამერს" პირველი წრეც ამ დონეზე რომ ჩაეტარებინა, ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი იქნებოდა. ახლა კი გლდანელთა ერთადერთი სამიზნე კვლავ თასია. სხვაგვარად, ევროტურნირებზე ვერ გავლენ. თასის მფლობელებს ინტერტოტოზე ასპარეზობა არ სურთ.

### სენსაცია კანონზომიერებად იქცა

"სპარტაკი" გააფთრებით იბრძვის უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. არადა, **ჟორჟიკაშვილის** გუნდი ლიდერებს ტოლს არ უდებს. ჯერ იყო და, "სპარტაკმა" თასის მეოთხედფინალიდან კინაღამ "დინამო" გააგდო, შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" დააკარგვინა უძვირფასესი ქულები, ახლა კი "ზესტაფონთან" მიაღწია ფრეს. მოკლედ, "სპარტაკთან" გამარჯვება არავის აქვს დაბევებული. ვნახოთ, ლიდერებთან ბრძოლის პარალელურად, "სპარტაკი" მთავარ ამოცანას როგორ გადაჭრის.

### ლომაიას წვლილი

ეროვნულ ჩემპიონატს **გიორგი ლომაია** ორი კვირის წინათ დაუბრუნდა და უკვე მოასწრო თავის გამოჩენა. "ოლიმპმა" ქვემოქართლურ დუელში სტუმრად "სიონს" რომ სძლია, დიდწილად სწორედ მისი დამსახურებაა. ლომაიამ რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. წესითა და რიგით, უახლოეს პერიოდში იგი ეროვნულ ნაკრებსაც უნდა დაუბრუნდეს. თუმცა ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, ვნახოთ, ვის მიანდობს კარს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი.

### მთავარი ტურის წინ

მომდევნო ტურის მატჩების უმრავლესობა გადამწყვეტია. თავად განსაჯეთ, "ზესტაფონი" "დინამოს" უმასპინძლებს, ამის პარალელურად "ვიტ ჯორჯია" "ამერს" მიიღებს. "ლოკომოტივისა" და "სპარტაკის" მატჩზე უკვე გითხარით, "მესხეთი"-"ბათუმი" და "დილა"-"მერანი" კი ბათუმელთათვის და თბილისელთათვის ვინძლო, გადარჩენის ბოლო შანსიც იყოს. ასე რომ, ამ ტურის შემდეგ ინტრიგამ შესაძლოა, საგრძნობლად მოიკლოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**



დინამო-მესხეთი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



გიორგი ლომაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მენთეშაშვილი მარცხით დაბრუნდა

## მუჯირს ჩემპიონობამდე ცოტა უკლია



სტანდარდი-ნეფთჩი

აზერბაიჯანის ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა, **გიორგი ადამიას** „ნეფთჩის" ჯერ კიდევ დარჩა ჩემპიონობის მოპოვების შანსი მიუხედავად იმისა, რომ ადამიას გუნდმა ვერ შეძლო ბოლო ტურში გამარჯვება. ბაქოურ დერბიში „ნეფთჩის" **კახა ცხადაძის** „სტანდარდმა" უმასპინძლა. ამას წინათ, **ანატოლი დემიანენკოს** გუნდმა თასის ნახევარფინალიდან გააგდო „სტანდარდი", თუმცა ქართველმა მწვრთნელმა ამ ორ შეხვედრაში კარგად შეისწავლა მეტოქე და ქულები აართვა – 1:1. გიორგი ადამიამ 90 წუთი ითამაშა. მე-18 წუთზე სწორედ ქართველმა დააწინაურა თავისიანები. ორშაბათს ლიდერი „ოლიმპიკი" „ინტერს" ესტუმრა. მოგების შემთხვევაში „ოლიმპიკი" 8 ქულით მოწყდებოდა უახლოეს მდევარს, მაგრამ, მოულოდნელად „ინტერმა" 2:0 მოიგო და ჩემპიონატს ინტრიგა შეუნარჩუნა.



გიორგი ადამია

„მასალიმ" შინ 2:0 დაამარცხა „ბაქი", მასპინძელთა რიგებში ითამაშა ცენტრალურმა მცველმა **ვაჟა ლომაშვილმა**, რომელსაც ტრავმა აწუხებდა, 86-ე წუთამდე მოედანზე იყო ფორვარდი **ბორის გონჩაროვიც**. პირველი ტაიმის მიწურულს ლომაშვილი გააფრთხილეს. საკმაო ხნის შესვენების შემდეგ „ბაქის" რიგებს დაუბრუნდა, **ალექსანდრე გოგობერიშვილი**, რომელმაც მეორე ტაიმი ითამაშა. სტუმრად აუტსაიდერ „გენჩლერბერლიისთან" 1:3 დამარცხდა „ქარვანი". **ალექსანდრე ინწკირველმა** 90 წუთი ითამაშა სტუმართა რიგებში, **რომან ახალკაცმა** – პირველი ტაიმი, ხოლო **გოჩა ტრაპაიძეს** არ უთამაშია.

**გოგა ბერაიას** „ყარაბახმა" სტუმრად 3:0 გაანადგურა აზნ. გოგა მცირე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა მოედანზე, მან 53-ე წუთზე **კიანან კარიმოვი** შეცვალა. **ირაკლი ბერაიას** „თურანმა" შინ 0:4 წააგო ჩემპიონ „ხაზართან". ირაკლი ბერაია მოედანზე 49-ე წუთზე შევიდა. „კაბალამ" შინ 1:0 მოუგო „სიმურგს". მასპინძელთა კარში აღარ იდგა **ზურაბ მამალაძე**, ქართველთაგან მხოლოდ **თორნიკე აფციაურმა** და **ირაკლი ვაშაკიძემ** ითამაშეს. „სიმურგის" რიგებში 90-90 წუთი ითამაშეს **დავით ბოლქვაძემ** და **კახა ჩხეტიანმა**. „კაბალა" 34 ქულით მეხუთე ადგილზე გადავიდა, შემდეგ მოდიან: „ყარაბახი" (33 ქულა), „სიმურგი" (32), „ბაქი" (29), „მასალი" (25), „სტანდარდი" (23), „ქარვანი" (22) და „თურანი" (14).

სომხეთში მესამე ტურის მატჩები გაიმართა. ქართველთა „განძასარი" შინ 1:3 დამარცხდა „მიკასთან", ხოლო „ულისემ" საშინაო შეხვედრაში „კილიკია" 3:0 გაანადგურა.

შვიდი ტურის შემდეგ ყაზახეთის სუპერლიგას მოულოდნელი ლიდერი ჰყავს. ყიზილორდის „კაისარი" გათამაშებას 18 ქულით ლიდერობს და უახლოეს მდევარს ოთხი ქულით უსწრებს. „კაისარის" ღირსებას პირველ წრეში „ბორჯომში" ნათამაშები **ლაშა ქელიძე** იცავს. „კაისარმა" ბოლო ტურში „ესილ-ბოგატირი" დაამარცხა – 1:0. ლაშა **პახოლიუკის** ნაცვლად 73-ე წუთზე შევიდა. **რევაზ ძოძუაშვილის** „შახტიორი" სტუმრად „ტობოლთან" დამარცხდა – 1:2. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ლაშა ნოზაძემ**, **ლევან მელქაძე** განაცხადში არ ყოფილა. „ვოსტოკი" სტუმრად „ასტანას" ფრედ ეთამაშა – 0:0. **გიზო ჯელაძემ** 74 წუთი ითამაშა და შეცვალეს, **ზვიად ჯელაძემ** 90 წუთი ითამაშა. „შახტიორი" 10 ქულით მეშვიდე ადგილზეა, „ვოსტოკი" - 6-ით მე-13 ზე.

მცირე კრიზისი აქვს ლიტვის ჩემპიონ „კაუნასს", ქართული ტრიოს გუნდმა კვლავ ვერ მოიგო. „კაუნასი" „ატლანტასს" ეწვია და 1:1 დაუზავდა. **აკაკი ხუბუტიამ** და **ნუკრი მანჩხავამ** შეუცვლელად ითამაშეს, **გივი კვარაცხელია** კი არ ყოფილა. ხუთი ტურის გასვლის შემდეგ „კაუნასი" მხოლოდ მესამეა.

ლატვიის ვირსლიგაში მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა. „სკონტომ" სტუმრად დაამარცხა „მეტალურგსი" – 2:1. ქართველთაგან სასტარტოში მხოლოდ **ვლადიმერ დვალიშვილი** იყო, რომელიც 83-ე წუთზე **კალნინშმა** შეცვალა. **დავით გამეზარდაშვილი** სათადარიგო იყო, **ზაალ ელიავა** განაცხადში არ ყოფილა. ჩემპიონი „ვენტსპილსი" „რიგას" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. სეზონში პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ზურაბ მენთეშაშვილმა**. ტრავმამოშუშებული მენთეშაშვილი მოედანზე 70-ე წუთზე გამოჩნდა. **თამაზ პერტიას** „დინაბურგმა" სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობის გუნდი შესანიშნავად თამაშობს, ამ ტურში „დინაბურგმა" 1:0 დაამარცხა „ოლიმპსი". **ირაკლი ქორთუას** „ბლაზმა" „იურმალას" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. ჩემპიონატს „ვენტსპილსი" ლიდერობს 10 ქულით, „დინაბურგი" 8 ქულით მეორეა, „სკონტო" კი მესამე, 7 ქულით. „ბლაზმას" მხოლოდ 4 ქულა აქვს და ცხრილში მეშვიდეა.

რუსეთის პირველ დივიზიონში **ომარ თეთრაძის** „ანჟი" ჩრდილოკავკასიურ დერბიში „ალანიასთან" 0:1 დამარცხდა. ოთხმა ქართველმა ითამაშა „ანჟის" სასტარტო შემადგენლობაში: **გიორგი ნავალოვსკიმ**, **ვალერი აბრამიძემ**, **გოჩა ხოჯავამ** და **მიხეილ აშვეთიამ** ითამაშეს. ხოჯავა 73-ე წუთზე **რევაზ ბარაბაძემ** შეცვალა, ერთ წუთში მოედნიდან აშვეთიაც გაიყვანეს. „ანჟი" 13 ქულით მესამე ადგილზეა.

ბელარუსის ჩემპიონატის მე-4 ტურში **გია ჭედიას** „ტორპედომ" ჟოდინოდან ნამდვილი კოშმარი მოუწყო მინსკის „ლოკომოტივის" გოლკიპერს. სამწუხაროდ ჭედიას ამაში მცირე წვლილიც არ მიუძღვის, გია მოედანზე 87-ე წუთზე შევიდა, უკვე საბოლოო ანგარიშზე, 6:2-ზე. **გია თოდუას** და **რომან გოგინაშვილის** „დინამო" 0:1 დამარცხდა „ვიტებსკთან" და კინკილა ქულით ბოლო ადგილზეა. ამ მარცხის მერე „დინამომ" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ გევორქიანი** გაუშვა.

სლოვაკეთის ჩემპიონატში „ნიტრამ" 2:0 დაამარცხა „ზლატე მორავცე". **ირაკლი ლილუაშვილი** 71-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე. „ნიტრა" 47 ქულით მესამე ადგილზეა. დანიის რანგით მეორე დივიზიონში ჰიკ-ის შემადგენლობაში მეექვსე მატჩში მესამე გოლი გაიტანა **მიხეილ ბარაბაძემ**, მისი გუნდი შინ „ფრედერისიასთან" 1:2 დამარცხდა, მატჩის 54-ე წუთზე მიხეილმა ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ჰიკ-ი საბოლოოდ მარცხისგან ვერ იხსნა.

ირანის პრემიერლიგაში 29-ე ტურის მატჩები გაიმართა. **ჯაბა მუჯირის** „სეპაჰანი" ორ ფრონტზე წარმატებით იბრძვის, როგორც აზიის ჩემპიონთა ლიგაში, ასევე ირანის ჩემპიონატში. ამ ტურში ისპაჰანელებმა სტუმრად 3:2 დაამარცხეს „შირინ ფარაზი". ჯაბა მოედანზე 59-ე წუთიდან ვიხილეთ. **ავქსენტი გილაურის** „პეგა" სტუმრად „მალავანს" დაუზავდა – 1:1. გილაური 76-ე წუთზე შეცვალეს. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე „სეპაჰანი" 53 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. კლუბს ჯარიმის სახით სამი ქულა რომ არ ჰქონდეს დაკლებული უკვე თამამად ვიტყოდით, რომ „საბა" ვერაფრით დაეწეოდა, ახლა კი გუნდებს შორის სხვაობა 6 ქულაა. „პეგა" 28 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და გასავარდნ ზონაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ანჟი აშვეთიას გამო აპროტესტებს

რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე "ანჟიმ" რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგას საპროტესტო წერილით მიმართა. მახაჭყალური კლუბი "ალანიასთან" მატჩის არბიტრს არაობიექტურობაში ადანაშაულებს. სტუმრად გამართული შეხვედრა "ანჟიმ", 1:0 წააგო. მახაჭყალელთა კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ **მიხეილ აშვეთია** ალანიელებმა საჯარიმოში თამაშის წესების დარღვევით შეაჩერეს და ქართველი ფორვარდი სრულიად სამართლიანად ითხოვდა პენალტს. თუმცა არბიტრმა **ალექსეი სერგეევმა** სხვაგვარად განსაჯა და უსამართლოდ არ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ეს ეპიზოდი 0:0-ზე იყო. მახაჭყალელები მიიჩნევენ, რომ სამართლიანად მოპოვებული პენალტის არდანიშვნამ თამაშის საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია.

**დავით ცაბაძე**

# გოგუა თვლის, რომ ტყუილად გააძევეს

გასულ უქმეებზე რუსულ პრემიერლიგაში, მოსკოვის "ლოკომოტივსა" და ნალჩიკის "სპარტაკს" შორის 0:0 დასრულებულ შეხვედრაში ქართული დერბი უნდა შემდგარიყო. ნალჩიკელთა რიგებში **გოგიტა გოგუა** და **ალექსანდრე ამისულაშვილი** სასტარტოში იყვნენ. **დათო სირაძე** კი შეცვლაზე შევიდა. თუმცა მასპინძელთა შორის **მალხაზ ასათიანსა** და **დავით მუჯირს** არ უთამაშიათ.

რუსული მედია ამ მატჩის შემდეგ ქართველების კომენტარებით დაინტერესდა.

უთამაშებლობის მიუხედავად მალხაზ ასათიანსაც სთხოვეს კომენტარი.

*"ჩვენც და ნალჩიკის "სპარტაკსაც" თითო საგოლე მომენტი გვქონდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველ ტაიმში მოედანზე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. მერე კი ბურთს უფრო მეტად ჩვენ ვფლობდით და ნალჩიკელები კონტრიერიშებით შეეცადნენ ჩვენს შეწუხებას"*, - აღნიშნა მალხაზ ასათიანმა.

შეხვედრის ბოლო წუთზე გოგიტა გოგუას არბიტრმა მეორედ უჩვენა ყვითელი ბარათი და მოედნიდან გააძევა. ქართველი ნახევარმცველი მიიჩნევს რომ უსამართლოდ გააძევეს და ამაზე საჯაროდაც განაცხადა.

*"თანაბარი თამაში იყო. "ლოკომოტივსაც" ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ ჩვენ უფრო მეტჯერ დავარტყით მეტოქის კარში. ვფიქრობ, რომ ფრე სრულიად ლოგიკური შედეგი იყო. რაც შეეხება ჩემს გაფრთხილებებს. მატჩის ბოლოს საჯარიმოში წამაქციეს. არბიტრმა კი ჩათვალა, რომ სიმულაციით ვცდილობდი პენალტის მოპოვებას. არა და თერთმეტმეტრიანი პირადად მე არ მომითხოვია. რაც მთავარია, იმ ეპიზოდში მეტოქემ ფეხში ჩამარტყა, თავდაპირველად წავბარბაცდი და ძალა რომ აღარ მეყო მერე დავეცი. ჩემი მხრიდან სიმულაციას ადგილი არ ჰქონია. ივანოვმა კი სხვაგვარად განსაჯა და იმ მომენტში მეორედ გამაფრთხილა. სხვათა შორის, მან პირველი ყვითელი ბარათიც უმიზეზოდ მომცა"*, - უკმაყოფილოა გოგიტა გოგუა.

**დავით ცაბაძე**

ერთობლივი წვრთნა

# სეგრტი დღეს მესხეთს ავარჯიშებს



პეტარ სეგრტი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი** ქართულ გუნდებში ერთობლივ ვარჯიშებს ატარებს. სეგრტმა და მისი შტაბის სხვა წევრებმა, აქამდე ერთობლივი წვრთნები "გაგრაში", "მალაროელსა" და "ჩიხურაში" ჩაატარეს. დღეს კი სეგრტი და კომპანია ახალციხის "მესხეთს" ჩაუტარებს ვარჯიშს. სხვათა შორის, "მესხეთი" უმაღლესი ლიგის პირველი გუნდია, სადაც ხორვატი სპეციალისტი წვრთნას ჩაატარებს.

ჩვენი ინფორმაციით, პეტარ სეგრტის გარდა ახალციხეში, 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცი და მწვრთნელები, **გელა შეყილაძე**, **ლევან ხომერიკი**, **ასლან ბალაძე** და **გიორგი დევდარიანი** ჩავლენ. ეს ცნობა "ლელოსთან" საუბარში გუშინ გელა შეყილაძემ დაადასტურა. ვარჯიში ახალციხეში 16 საათზე დაიწყება და საათნახევარს გასტანს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# ინგლისმა ლიგა უკვე მოიგო

**მანჩესტერი–ბარსელონა 1:0 (0:0)**

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ჰარგრივსი, ბრაუნი, ფერდინანდი, ევრა (90. სილვესტრი), პარკი, ქერიკი, სქოულზი (77. ფლეტჩერი), ნანი (77. გიგზი), ტევესი, კრისტიანო რონალდო.

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ჩავი, ტურე (88. გუდიონსენი), ინიესტა (62. ანრი), დეკუ, მესი, ეტო'ო (72. კრკიჩი).

გოლი: 1:0 სქოულზი (14)

მაყურებელი: 75 061

არბიტრი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** მანჩესტერი

**პირველი ჯარიმა:** მანჩესტერი

**პირველი კუთხური:** მანჩესტერი

**პირველი გაფრთხილება:** ბარსელონა

| | | |
|---|---|---|
| 7 (2) | **დარტყმა** | 14 (3) |
| 18 | **ჯარიმა** | 12 |
| 5 | **კუთხური** | 4 |
| 2 | **გაფრთხილება** | 3 |
| 42% | **ბურთის ფლობა** | 58% |

## სტენოგრამა

### I ტაიმი

1. "ბარსელონამ" თამაში მაღალ ტემპში დაიწყო და პირველივე წუთზე, მესის გარღვევის შემდეგ, სახიფათო ჯარიმაც მოიპოვა. მაგრამ იმავე მესიმ ჯარიმა უხეიროდ შეასრულა. ბურთი "ცოცხალ კედელს" მოხვდა.

3. ისევე, როგორც პირველ მატჩში, კატალონიელები მთლიანად აკონტროლებენ მოედანს.

6. სტუმართა კიდევ ერთი მწვავე ქმედება. ეტო'ო საჯარიმოში შედის, მაგრამ ბურთს ბრაუნი იგერიებს. "მანჩესტერი" დაბნეულია, წნეხს თავს ვერ აღწევს.

9. მესის კიდევ ერთი გარღვევა, გადაცემა ეტო'ოს მისამართით, მაგრამ მცველები ყურადღებით არიან.

14. გოოოოოოოოოოოლ! სქოულზი სტუმართა საჯარიმოს სიახლოვეს ეუფლება ბურთს, ოდნავ წინ მიდის და ძლიერად ურტყამს. ბურთი ვალდესისგან მარცხენა მაღალ კუთხეში მიფრინავს. მეკარე უძლურია.1:0. ეს იყო ცივი შხაპი, რომელმაც თამაშის სურათი შეიძლება რადიკალურად შეცვალოს. ასეცაა. "მანჩესტერი" მომენტალურად გამოცოცხლდა.

17. სახიფათო ჯარიმა სტუმართა კართან. დაბალი ჩაწოდება. ვალდესს ბურთი ხელიდან უვარდება, მაგრამ მცველებს საჯარიმოდან დროულად გამოაქვთ.

20. "ბარსა" არ მომკვდარა. "მანჩესტერს" კატალონიელთა სწრაფი მანევრი გამოეპარა. მესი 18 მეტრიდან ურტყამს და ვან დერ სარი ბურთს გაჭირვებით იგერიებს.

22. იქვე მასპინძელთა პასუხი. კრისტიანო რონალდო ფლანგიდან შედის საჯარიმოში, მაგრამ დაბალი დარტყმული შორეულ ძელს მცირედით სცდება.

24. პირველი კუთხური. სახიფათო ჩაწოდება, მაგრამ ბურთი საჯარიმოდან გამოაქვთ. შეტევის გაგრძელება. კიდევ ერთი ჩაკიდება, თუმც ბრაუნი ხეირიანად დარტყმას ვერ ახერხებს. "ბარსელონას" აქტიურობა არ შეუწყვეტია, თუმცა ტემპმა ცოტათი იკლო.

28. მანჩესტერელთა უეცარი აფეთქება. პარკმა თავგანწირვით ითამაშა და თითქმის ჩაშლილი შეტევა გააგრძელა. ტევესის ჩაწოდება შორეულ ძელთან, რონალდო თავით ბურთს მეკარის საჯარიმოს ხაზთან აბრუნებს, მაგრამ პუიოლი და მილიტო სიტუაციას ანეიტრალებენ.

28. ამ ეპიზოდში "ბარსას" მცველები ერთმანეთს შეეჯახნენ. პუიოლი თითქოს უგონოდ დაეცა... საშიში არაფერია. თამაში გრძელდება.

32. ბარსელონელთა მრავალსვლიანი კომბინაცია დეკუს სახიფათო, მოჭრილი დარტყმით სრულდება. ბურთი დაახლოებით ერთი მეტრით სცდება მიზანს.

36. კატალონიელთა შანსი. ეტო'ო საჯარიმოს უახლოვდება და მესის აწვდის, მესი აბრუნებს ბურთს, რომელსაც მოულოდნელად დეკუ ეუფლება და 17 მეტრიდან ახლო კუთხეში ურტყამს. ბურთი მცირედით სცდება კარს.

38. იქვე სტუმართა კიდევ ერთი შეტევა. ვან დერ სარს ბურთი ხელიდან უვარდება, მაგრამ ეტო'ო დროულად დამატებას ვერ ახერხებს. ვან დერ სარი ტრავმირებულია და ექიმს ითხოვს. ჯერჯერობით, ჰოლანდიელი მოედანზე რჩება.

40. ამჯერად, შანსი "მანჩესტერს". პარკის ფლანგური ჩაწოდება, მაგრამ ნანის თავური ოდნავ უზუსტოა.

44. ჯარიმა მასპინძელთა კართან. შორეული პასი საჯარიმოს სიღრმეში, მაგრამ თავდამსხმელთა დასახმარებლად ჩასული მილიტოს თავური არაზუსტია.

45. პირველი ტაიმი დასრულებულია. 1:0 "მანჩესტერის" სასარგებლოდ. წინ გადამწყვეტი 45 წუთია.

### II ტაიმი

46. დაიწყო მეორე ტაიმი. ცვლილებები არ არის.

49. არ იცვლება თამაშის სურათიც. მესი ეტო'ოს აწვდის საჯარიმოში, მაგრამ კამერუნელს წესიერად არ არტყმევინებენ.

52. რაღაც მომენტში "მანჩესტერი" უფრო აქტიურია და უპირატესობას ფლობს. ევრა სახიფათოდ აწვდის საჯარიმოში. მცველები ბურთს გაჭირვებით იგერიებენ.

53. პირველი გაფრთხილება. ძამბროტამ უხეშად ითამაშა და სამართლიანადაც დაისაჯა. ჯარიმა. არეულობა "ბარსელონას" საჯარიმოში. რონალდოს გასწვრივი პასი. აბიდალი წამებში ასწრებს ტევესს და ბურთს კუთხურზე გზავნის. ისე, ავტოგოლიც შეიძლებოდა.

55. რონალდოს მწვავე პასი პარკის მისამართით. ყოჩაღ, მილიტო! ბურთს დროლად იგერიებს.

56. მესის გარღვევა. არგენტინელი რამდენიმე მოთამაშეს გასცდა, მაგრამ მარტომ ვერაფერი გააწყო.

57. "მანჩესტერმა" კინაღამ მეორეც შეაგდო. ტევესი უაღრესად რთული მდგომარეობიდან ურტყამს. ვალდესი ბურთს ვერ იმაგრებს, მაგრამ დამატებაზე ახლოს არავინაა.

60. "ბარსას" ახლოსაა მიზანთან. ვან დერ სარი ჩავის დარტყმულს კუთხურზე იგერიებს.

62. გატანა ნანისაც შეეძლო, მაგრამ ოდნავ მახვილი კუთხიდან ბურთი დიდი მანძილით აცილა კარს. ცვლილება. ანრი ინიესტას ნაცვლად. ფრანგს "ოლდ ტრეფორდი" სტვენით ხვდება.

64. მესი უდავოდ გამორჩეულია. მის წინაამდეგ ქერიკი ჯარიმდება და გაფთხილებას იღებს. ჯარიმას დეკუ ურტყამს. რიკოშეტი და კუთხური.

65. სახიფათო მომენტი სტუმართა კართან. პარკს ფეხიდან აცალეს ბურთი.

70. მესის ფანტასტიკური გარღვევა, მაგრამ მისი პასის შემდეგ ეტო'ომ ბურთი ვერ დაიმორჩილა.

73. კრკიჩი ეტო'ოს ცვლის. კამერუნელს არაფერი გამოუვიდა.

75. ქერიკმა მესის უაღრესად სახიფათო გარღვევა ჩაუშალა.

77. გიგზისა და ფლეტჩერის სახით ფერგიუსონს ახალი ძალა შემოჰყავს.

78. "ბარსას" რეალური შანსი. კუთხურის შემდეგ ანრი 5-6 მეტრიდან თავით ურტყამს, მაგრამ პირდაპირ ხელებში ვან დერს სარს.

80. რონალდოს სოლოგარღვევა, ამჯერად მარჯვენა ფლანგიდან. დარტყმა უზუსტოა.

83. კრკიჩის ჩაწოდება, მაგრამ ვან დერ სარი ბურთს იოლად ეუფლება.

84. ბარსელონელთა გაჭიანურებული შეტევა მესის მეთაურობით. საბოლოოდ, ჩაწოდებას ბრაუნი იგერიებს.

87. "ოლდ ტრეფორდი" ნელნელა მოდის საზეიმო განწყობაზე. რაიკაარდის გუნდი ცდილობს, მაგრამ კატალონიელთა შეტევები მეტისმეტად ქაოტურია. მწვრთნელი ვა-ბანკზე მიდის. კიდევ ერთი ფორვარდი გუდიონსენის სახით. "ბარსა" გადამწყვეტ იერიშზე გადადის.

89. "მანჩესტერი" საკუთარ ნახევარზე ჩაიკეტა. სტუმრები პენალტს ითხოვენ, მაგრამ უფრო სიმულაციას ჰგავს და არბიტრი რისკზე ვერ მიდის.

90. ევრას დეკუს ფეხი ხვდება სახეში. თამაში შეჩერებულია. მარცხენა მცველი საკაცით გაჰყავთ.

90+2. გუდიონსენი ცდილობს კარში დარტყმას, მაგრამ მცველები ელობებიან.

90+4. "ბარსა" გაშმაგებულია. ჯარიმა "მანჩესტერის" კართან. ბურთი გამოაქვთ.

90+5. და ჰა, საფინალო სასტვენი! "მანჩესტერი"-"ბარსელონა" 1:0. ინგლისური გრანდი ფინალშია. ფინალი კი ინგლისურია! ინგლისმა უკვე მოიგო ლიგა!



მესის აქტიურობამ ბარსელონას ვერაფერი უშველა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი.
საპასუხო მატჩის წინ

# როგორი იქნება მესამე ცდა?

## ბენიტესის ხელში ლივერპულს სტემფორდ ბრიჯზე გოლი არ გაუტანია

**ჩელსი–ლივერპული (1:1)**

საავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ესიენი, რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, მაკელელე, ბალაკი, ლემპარდი, ჯ. კოული, დროგბა, კალუ.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, რიისე, კუიტი, მასკერანო, ჩაბი ალონსო, ჯერარდი, ბაბელი, ფერნანდო ტორესი.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)



დიდიე დროგბა
ნახევარფინალისთვის მზად არის

დღეს "სტემფორდ ბრიჯზე" დიდი ჯახია. საჩემპიონთალიგო ურთიერთდაპირისპირებებში გამობრძმედილი "ჩელსი" და "ლივერპული" იმ ერთ ბედნიერს გამოარკვევენ, რომელსაც 21 მაისს, მოსკოვურ ფინალში მოუწევს თამაში. სრული ბედნიერებისთვის კი ამ ფინალის მოგებაა საჭირო. "ლივერპულმა" ეს სამი წლის წინათ შეძლო, ხოლო "ჩელსისთვის", რომელმაც **ჟოზე მოურინიოს** ხელში ზედიზედ ორჯერ მოიხვეჭა პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, ევროტრიუმფი ჯერჯერობით ოცნებად რჩება. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ლონდონელებმა დიდი გამარჯვება იმ მწვრთნელის ხელში შეიძლება დააჭაშნიკონ, ვისაც "სტემფორდ ბრიჯზე" ხანგრძლივ კარიერას არ უწინასწარმეტყველებენ. მეტიც: მაისში, **ავრამ გრანტმა** შეიძლება პრემიერლიგაც მოიგოს, ზედ ჩემპიონთა ლიგაც დააყოლოს და "არისტოკრატებს" მოურინიო სამუდამოდ დაავიწყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ შაბათს, "მანჩესტერ იუნაიტედთან" გამარჯვებამ (2:1) "ჩელსის" საკუთარი ძალების რწმენა და ენერგია შემატა.

"ლივერპულს" ჰქონდა დიდებული შანსი, "ენფილდზევე" შეექმნა ჰანდიკაპი, მაგრამ **იონ არნე რიისეს** ავტოგოლმა "წითლების" გარჯას ხაზი გადაუსვა. თუმცა დღევანდელ ბრძოლაში **რაფა ბენიტესის** სამწყსო სულაც არ არის აუტსაიდერი, შანსები მაინც თანაბარია. სხვათა შორის, უფრო მომგებიან სიტუაციაში სწორედ "ლივერპულია", რადგან პრემიერლიგის ოთხეულში ადგილი უკვე გარანტირებული აქვს და შეუძლია, "სტემფორდ ბრიჯის" მატჩში ყველაფერი ჩადოს.

გავიხსენოთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ორ სალიგო ნახევარფინალში შეხვედრიან. 2005 წელსაც და 2007-შიც "ლივერპულმა" მეტოქე ბორტსმილმა დატოვა. თუ როგორი იქნება მესამე ცდა, ამას დღევანდელი მატჩი გვიჩვენებს. კიდევ რამდენიმე დეტალი, რაც აუცილებლად უნდა ითქვას: 2004 წლის შემდეგ, "ლივერპულს" "ჩელსისთან" ზედიზედ 8 გასვლით მატჩში არ გაუტანია გოლი. დააკვირდით, ეს მხოლოდ ბენიტესის ეპოქას ეხება. ამავე დროს, "ჩელსის" 2004 წლის თებერვლის შემდეგ არ წაუგია საშინაო შეხვედრა, ხოლო 2006 წლის თებერვლიდან, "ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში წაგების (1:2) შემდეგ, ანალოგიური მიღწევა აქვს ჩემპიონთა ლიგის ეგიდითაც.

რაც შეეხება საკადრო სიტუაციას. გრანტს **ფრენკ ლემპარდი** დაუბრუნდა. დედის გარდაცვალების შემდეგ, ნახევარმცველს პირველი ვარჯიში ორშაბათს ჰქონდა. ამ მიზეზით მან "მანჩესტერ იუნაიტედთანაც" არ ითამაშა. გარდა იმისა, რომ ლემპარდს ფსიქოლოგიური მდგომარეობა სახარბიელო არ აქვს, ზოგადად რიტმიდანაც ამოვარდნილია. მაგრამ გრანტს არ აქვს იმხელა ფუფუნების უფლება, რომ ფრენკი სკამზე დასვას. ლემპარდი აუცილებლად ძირითადში იქნება. "ლივერპულის" კოზირი კი **ფერნანდო ტორესია**, რომელსაც ამ სეზონის ყველა ტურნირში ჩატარებულ 43 მატჩში 30 გოლი აქვს გატანილი.

გიორგი გელაშვილი

## მოდრიჩი ტოტენჰემში ჩაირიცხა

ხორვატიის ნაკრების ამომავალი ვარსკვლავი **ლუკა მოდრიჩი** "ტოტენჰემში" ითამაშებს. ლონდონელები ზაგრების "დინამოს" ტრანსფერის პირობებზე მოურიგდნენ. "მამლები" 15.8 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. 22 წლის ფლეიმეიქერი დაუყოვნებლივ გაივლის სამედიცინო შემოწმებას და ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ინგლისელმა მიმომხილველებმა "ტოტენჰემს" მოდრიჩის ტრანსფერი დიდ მიღწევად ჩაუთვალეს. სპეკულაციების თანახმად, იანვრის ფანჯრისას, ფეხბურთელის შეძენა "ჩელსის" სურდა, მაგრამ ხელი მოეცარა. "მამლები" მომავალ სეზონზე დიდი იმედს ამყარებენ. ისინი ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებენ. მოდრიჩის შეძენა მხოლოდ დასაწყისია იმ ინტენსიური სატრანსფერო კამპანიისა, რომელსაც **ხუანდე რამოსი** გეგმავს. ესპანელი მწვრთნელი გუნდში გასული წლის ოქტომბერში მივიდა. მას გუნდის დაკომპლექტების საშუალება არ მისცემია. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც "ტოტენჰემში" ჩარიცხვას უწინასწარმეტყველებენ, "ესპანიოლის" მეკარე **კარლოს კამენია**.

## არსენალი ინტერის წინააღმდეგ

"არსენალმა" გადაწყვიტა, "ინტერს" ფიფაში უჩივლოს. საქმე ეხება იტალიელთა საჯარო განცხადებას იმის თაობაზე, რომ მათ **ალექსანდ გლების** შეძენა სურთ. "ინტერს" ამ განცხადების გაკეთებამდე ლონდონელებთან დაკავშირება მართებდა. მილანურ გრანდს თავი არ შეუწუხებია, რითაც სატრანსფერო კანონმდებლობა დაარღვია. სავსებით შესაძლებელია, "ინტერს" ფინანსური სანქცია დაეკისროს. "არსენალიდან" იტალიაში შეიძლება კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი წავიდეს. **მატიო ფლამინის** "იუვენტუსი" ეპატიჟება. მას "მეთოფეებთან" კონტრაქტი უმთავრდება. ლონდონელები კომპენსაციასაც კი ვერ მიიღებენ. მათ ფლამინის ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. ფეხბურთელმა ხელშეკრულების გაგრძელებისაგან თავი შეიკავა. **არსენ ვენგერი** იმედს არ კარგავს. ის ამბობს, რომ მატიოს "ემირიტსზე" დარჩენა უნდა.

შალკე

# კევინ კურანის 20-მილიონიანი გოლი

## გელზენკირხენელები ვიცე ჩემპიონობას უმიზნებენ




კევინ კურანის გოლი, რომელიც ძალიან ძვირად ფასობს

| შალკეს ტოპ-თავდამსხმელები | სეზონი | გოლები |
|---|---|---|
| 1. კლაუს ფიშერი | 1975/76 | 29 |
| 2. ებე სანდი | 2000/01 | 22 |
| 3. კლაუს ტოიბერი | 1984/85 | 18 |
| 4. რიუდიგერ აბრამჩილი | 1978/89 | 18 |
| 5. კლაუს შეერი | 1971/72 | 18 |
| 6. კლაუს მატიშაკი | 1963/64 | 18 |
| 7. კევინ კურანი | 2007/08 | 15 |
| 8. აილტონი | 2004/05 | 14 |
| 9. ოლაფ ტონი | 1987/88 | 14 |

**კევინ კურანი** არ არის ისეთი სტაბილური გოლეადორი, როგორც მაგალითად **ლუკა ტონი** ან **მარიო გომესი**. სამაგიეროდ, "შალკეს" 26 წლის ფორვარდს, რომელიც წლეულს საკმაოდ კარგ ფორმაშია, გადამწყვეტი გოლების გატანა სჩვევია. ასე მოხდა გასულ შაბათსაც: კურანიმ "ჰამბურგთან" მატჩის მეორე წუთზე სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს, რიგით მე-15 გოლი გაიტანა - გოლი, რომლითაც მან გელზენკირხენულ კლუბს ჩემპიონთა ლიგაში თამაში, ფაქტობრივად, გაუნაღდა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ კურანიმ ამ გოლით თავისი პირადი სტატისტიკა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა – 15 გოლი ერთ სეზონში მას 2002-2003 წლების (მაშინ "შტუტგარტის" ღირსებას იცავდა) შემდეგ აღარ გაუტანია.

კურანის გოლის დამსახურებაა ის, რომ "შალკეს" ჩემპიონთა ლიგის გარეთ დარჩენის საფრთხე აღარ ემუქრება. "ხუმარები" ახლა მეორე ადგილისთვის იბრძვიან, ანუ იმისთვის, რომ პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ და საკვალიფიკაციო ეტაპზე არ მოუხდეთ ნერვიულობა. ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კურანის გოლი 20 მილიონ ევროდ ფასობს! სწორედ ამდენს მიიღებს "შალკე" უეფასგან...

*"ჩემი ყველა გოლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამ გოლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. "ჰამბურგი" გ ზიდან ჩამოვიშორეთ და ახლა მეორე ადგილს ვუმიზნებთ. ფანებს ვპირდები, რომ გოლებს კიდევ გავიტან. მინდა, ვიცე-ჩემპიონები გავხდეთ. ასეთ შემთხვევაში, ერთ სეზონში გატანილი გოლების მხრივ, პირად რეკორდსაც გავაუმჯობესებ,"* – ამბობს კურანი. ამისთვის კევინს კიდევ 6 გოლის გატანა სჭირდება. უნდა აღინიშნოს, რომ "ვერდერს" უფრო რთული მატჩები აქვს დარჩენილი, ვიდრე "შალკეს". თავად განსაჯეთ, "ბრემენელი მუსიკოსები" დარჩენილ ოთხ ტურში "ჰამბურგსა" და "ლევერკუზენს" უნდა ესტუმრონ.

*"ვერდერს" რთული მატჩები აქვს და ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ. თუ ოთხივე თამაშს მოვიგებთ, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ და მეორე ადგილზე გავალთ. ამაში დარწმუნებული ვარ,"* – ეს **ჯერმეინ ჯონსის** სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს, - *"თუმცა მე ისიც კარგად მახსოვს, რომ შარშან შვიდქულიანი უპირატესობით ვლიდერობდით და ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ჩემპიონები გავხდებოდით. მაგრამ ასე არ მოხდა და პირველობა "შტუტგარტს" დარჩა. შესაბამისად, ახლაც ფრთხილად უნდა ვიყოთ."*

მოკლედ, გელზენკირხენელები კონცენტრირებულები არიან. თუკი "ხუმარები" მეორე ადგილზე გავლენ, ამ გუნდის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა "შალკე" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ მეორედ იასპარეზებს. დროებითი მწვრთნელი **მიკე ბიუსკენსი**: *"ჰო, რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენგანს ბარსელონაში სურს თამაში და არა ვლადიკავკაზში ან სხვა ამგვარ ქალქებში..."*

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# ევროპის ჩემპიონატზე შნაიდერის გარეშე?

## ავსტრია/შვეიცარიაში ბერნდის თამაში თითქმის გამორიცხულია, მაგრამ ლიოვი იმედს არ კარგავს

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** ევროპის ჩემპიონატის წინ სერიოზული საკადრო პრობლემა აქვს. დიდი შანსია, რომ ბუნდესგუნდს კონტინენტის პირველობაზე "ლევერკუზენის" გამოცდილი ნახევარმცველი **ბერნდ შნაიდერი** ვერ დაეხმაროს, რომლის გარეშეც ბოლო წლებში არცერთ დიდ ტურნირს არ ჩაუვლია. 34 წლის შნაიდერმა გასულ პარასკევს ოპერაცია გაიკეთა და ექიმების თქმით, გამოჯანმრთელებას მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებში მოახერხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონატმა მის გარეშე უნდა ჩაიაროს.

*"გავიგე, რომ ოპერაცია გარდაუვალი იყო. ყველაფრის შესახებ ინფორმირებული ვარ და ისიც ვიცი, რომ შნაიდერის დროულად გამოჯანმრთელება თითქმის წარმოუდგენელია. მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ. ბერნდი გერმანიის ნაკრებისთვის საკვანძო ფიგურაა, რომლის გარეშეც ჩემი გუნდი ვერ წარმომიდგენია,"* – განუცხადა ლიოვმა "კიკერს".

ბერნდ შნაიდერს გერმანიის ნაკრებში 81 თამაში აქვს ჩატარებული (4 გოლი). მან ორ მუნდიალზე (2002, 2006) და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა.



ბერნდ შნაიდერი გერმანიას ავსტრია/შვეიცარიაში ალბათ, ვერ გაჰყვება

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგის რაღაც დაემართა

## ბებერი ლომი უჩვეულოდ ღელავს. ინციდენტი სტემფორდ ბრიჯზე

**სერ ალექს ფერგიუსონი შაბათს ძალიან გაცხარდა. ინგლისური პრემიერლიგის ურჩი დიდოსტატი არბიტრის გადაწყვეტილებამ წყობიდან გამოიყვანა. ხელით თამაშისთვის "მანჩესტერ იუნაიტედის" კარში 11-მეტრიანი დაინიშნა და "ჩელსიმ" 2:1 გაიმარჯვა, გაიმარჯვა და "ეშმაკებს" დაეწია. პრემიერლიგა დაიძაბა...**

*"ამგვარი გადაწყვეტილებისას პრობლემები გვექმნება"*, - განაცხადა სიბრაზისგან სახეაწითლებულმა ფერგიუსონმა მატჩის შემდეგ, მატჩისა, რომელიც "ჩელსიმ" მოიგო და, თანაც, არ დაგავიწყდეთ, პრემიერლიგაში სულ ორი ტურია დარჩენილი. რაღაც მომენტში, "იუნაიტედის" თავკაცი **კევინ კიგანივით** მოიქცა, როცა რაღაცას გაჰყვიროდა და თვალებდაჭყეტილი გამოხატავდა იმედგაცრუებას.

მას თავი მოაბეზრა **ავრამ გრანტმა**, ხალხმა... გრანტი ის კაცია, რომელთანაც ყველა პოულობს საერთო ენას, რომელმაც მოახერხა და ლეგენდარული მენეჯერის **ჯორჯ მემფორდის** მეთოდებით შეაკავშირა მრავალი ნიჭიერი ადამიანი, რათა "ჩელსის" ბოლო ძალა მოეკრიბა და ინგლისური ტიტულის მოსაპოვებლად დარაზმულიყო.

ფერგიმ, ალბათ, დაამწუხრა კიგანი, როცა "ნიუკასლმა", 1996 წელს, "მანჩესტერ იუნაიტედს" დაუთმო ჩემპიონობა, თუმცა ცხოვრება წინ მიდის. ახლა, შესაძლოა, გრანტი გადაელობა "იუნაიტედის" ლეგენდარულ მენეჯერს და "ბებერი ლომი" უკვე თავად გრძნობს საშიშროებას, ნერვებს ველარ თოკავს. რაც არ უნდა იყოს, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, "იუნაიტედს" რაღაც დაემართა და ყველაფერი შაბათს, ფერგიუსონის მატჩისშემდგომ ინტერვიუში გამოიხატა, გამოიხატა აგრეთვე "სტემფორდ ბრიჯზე" მომხდარ ინციდენტშიც, მისი ფეხბურთელების ქცევაშიც.

**რიო ფერდინანდმა**, ინგლისის ნაკრების ახალმა კაპიტანმა და "სინათლის სხივმა", წაგებით გამოწვეული იმედგაცრუება იმით გამოხატა, რომ ბუცი კედელს დაუმიზნა (ფრთხილად, თორემ სხვა დროს ფეხს მოიტეხ!), მაგრამ მიზანს ააცილა და სტიუარდ ქალს მოარტყა. ამ დონემდე **ჯონ ტერიც** კი არ დასულა. ამასობაში, "იუნაიტედის" მოთამაშეები - კაპიტანი **გარი ნევილი, პოლ სქოულზი** და ფრანგი მცველი **პატრის ევრა** სტადიონის მომსახურე პერსონალთან წაკინკლავდნენ, როცა რაღაც მიზეზით არ მოისურვეს მატჩის შემდეგ მოედნის დატოვება. მერე ვილაცამ თქვა, ჩხუბი იმიტომ მოხდა, ევრას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენესო.

"იუნაიტედს" ახლა ერთი გზა აქვს. ფერგიუსონმა ნაცად ხერხს უნდა მიმართოს და დაარწმუნოს თავისი გუნდის ფეხბურთელები, რომ მთელი მსოფლიო მათ წინააღმდეგაა და რომ კარგი იქნება, თუ ინგლისური ტიტულისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებით ყველა მოწინააღმდეგეს დაადუმებენ. თუ ასე არ მოხდა, გამოვა, რომ "მანკუნიანელებმა" ზეწოლას ვერ გაუძლეს და მთელი შრომა წყალში ჩაყარეს, როგორც გოლფის მოთამაშე **გრეგ ნორმანმა**, 1996 წლის მასტერსის დროს და "ნიუ ინგლენდის" სუპერბაულის 42-ე გათამაშებაში.

ცოტა ხნით ადრე, "იუნაიტედმა" დაუმარცხებლის მითი შექმნა, მაგრამ ახლა ფერგიუსონი ნამდვილად არ ელის იოლ ფინიშს. იმ პოზიციაში ყოფნისას, როცა კლუბს პრემიერლიგის ზედიზედ მეორე ტიტულის მოპოვება შეუძლია, "იუნაიტედმა" ბოლო ძალები უნდა მოიკრიბოს საფინიშო სპურტისთვის. ამ დამაინტრიგებელ რბოლაში, როცა შაბათის მატჩს მთელი ენერგია შეალია, გრანტის მხარე მაინც არ ითვლება ფავორიტად. თუმც ვერ იტყვი, რომელი გუნდი "დაიჭერს მომენტს" და შესაძლებლობებს სრულად გამოიყენებს.

"ჩელსის" ფეხბურთელებმა და მხარდამჭერებმა ზეიმით აღნიშნეს დამსახურებული გამარჯვება, ისე, თითქოს სასიკვდილოდ განწირული ტყვეებისთვის სიცოცხლე ბოლო წუთზე ეჩუქებინათ.



უსიამოვნო ინციდენტი სტემფორდ ბრიჯზე

ფერგიუსონი, პირიქით, უხასიათოდ იყო. ის გამხეცდა. მისი სახე ისეთივე ანთებული იყო, როგორც სისხლივით წითელი ჰალსტუხი, მაგრამ არა იმიტომ, რომ რამდენიმე დღით ადრე ბარსელონაში ხმელთაშუა ზღვის მზეს მიეფიცხა.

შოტლანდიელი გადარია **ალან უაილიმ**, არბიტრმა, რომელმაც სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა 86-ე წუთზე "ჩელსის" 11-მეტრიანი დაარტყმევინა. ფერგიუსონს დიდი წვლილი მიუძღვის "იუნაიტედის" ბევრ ტრიუმფში, მაგრამ ეს იყო დღე, როცა სასწაული არ მოხდა. მათ თამაში დაიწყეს ექვსი ძირითადი ფეხბურთელის გარეშე, სისტემით 1-5-4. მწვრთნელი ცდილობდა, წამყვანი მოთამაშეები გუშინდელი ბარსელონური მატჩისთვის "შეენახა". ფერგი ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ ვერ შეამჩნია ცვლილებები "საკუთარ სახლში".

მისმა დამანგრეველმა ტაქტიკამ არ გაამართლა და ინიციატივა "ჩელსიმ" მიიღო, გუნდმა, რომელიც სეზონის დასაწყისში, ცოტა მერეც, კოლაფსს გადაურჩა.

რა მოუვა "იუნაიტედს"? პრობლემები ბევრია. "სტემფორდ ბრიჯის" მარცხი ნიშნავს იმას, რომ სერ ალექსსა და მის გუნდს პრემიერლიგაში შეცდომის დაშვების უფლება აღარ აქვთ. "ვესტ ჰემთან" შინ და "ვიგანთან" გასვლით მატჩებში ფეხბურთელები საკუთარ ძალებში არ უნდა დაეჭვდნენ. "ჩაქუჩებმა", ბოლო სამი მოგებით, მოქმედ ჩემპიონებთან შეხვედრებში საოცარი რეკორდი დაამყარეს. "ვიგანი", ალბათ, პრემიერლიგის ბოლო მატჩის უმაღლეს დონეზე ჩატარებას ეცდება, შესაბამისად, "მენიუს", ხალხით სავსე JJB სტადიონზე, მისთვის ჩვეული სტილის დემონსტრირების მცირე შანსი ექნება. იმის გააზრებით, რომ "ჩელსი" თავიდან აიცილებს საფინიშო ჩავარდნას, "იუნაიტედს" ორი უმძიმესი საღამო ელის.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# კრისტიანო რონალდო: ადრე თუ გვიან ესპანეთში ვითამაშებ

## პირენეული მედია რეალის თავკაცებს გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას სთხოვს



მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობის უამრავი კატეგორიული განცხადების მიუხედავად, ესპანური მედია არ ისვენებს. ბრიტანული გრანდის მესვეურებმა მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით ყურადსაღები ცნობა გაავრცელეს. ალბიონელებმა გვამცნეს, რომ **კრისტიანო რონალდოს** 2014 წლამდე გაუხანგრძლივებენ კონტრაქტს და წლიურ გასამრჯელოდ 9.4 მილიონ ევროს დაუნიშნავენ. სხვათა შორის, ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, **პრედრაგ მიატოვიჩმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და რონალდოსთვის ბრძოლა წაგებულად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, გუშინ ესპანურ პრესაში აჟიოტაჟი ხელახლა ატყდა. "დიარიო ასმა" რონალდოს განცხადება გამოაქვეყნა. ვნებათაღელვამ სწორედ ამ პუბლიკაციის დაბეჭდვის შემდეგ იმატა. აი, რას ამბობს პორტუგალიელი ვარსკვლავი: *"ჩემმა მენეჯერმა, ჟორჟე მენდეშმა მითხრა, რომ პრედრაგ მიატოვიჩს შეხვდა. ჩემთვის "რეალის" ასეთი ინტერესი დიდი პატივია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ეს გარიგება არ შედგება. "მანჩესტერი" მზად არის, კონტრაქტი გამიხანგრძლივოს და ხელფასი 4.6 მილიონი ევროთი გამიზარდოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ოლდ ტრეფორდზე" ვრჩები... თუმცა, მომავალში რა მოხდება, ვერავინ იტყვის. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ესპანეთში ვითამაშებ. არაერთხელ მითქვამს, და ახლაც გავიმეორებ, პრიმერა დივიზიონი უზომოდ მომწონს. ძალიან მინდა, ესპანეთის ჩემპიონატში ვიასპარეზო და საკუთარი თავი გამოვცადო. ჩემით დაინტერესებული კლუბები იმედს ნუ დაკარგავენ, ჯერ მხოლოდ 23 წლის ვარ და მთელი ცხოვრება წინ მაქვს".*

რონალდოს გულწრფელ განცხადებას სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. მიმომხილველები "რეალის" ხელმძღვანელობას მოუწოდებენ, საქმე მომავლისთვის არ გადადონ და სანამ პორტუგალიელს კონტრაქტს გაუხანგრძლივებენ, გადამწყვეტი ბრძოლა წამოიწყონ...

ამასობაში, რონალდოს ბრიტანული მედია დაუპირისპირდა. "დეილი მეილში" ძალიან საინტერესო სტატია გამოქვეყნდა. ინგლისური გაზეთის ჟურნალისტი კრისტიანოს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს: *"რონალდოს მეტი პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინა, განმეორებითი ნახევარფინალის წინ "მანჩესტერი" ასეთ გაურკვევლობაში არ იქნებოდა. აბსოლუტურად, გაუგებარია, პორტუგალიელმა პენალტი ასე არასერიოზულად რატომ დაარტყა. ჩვეულებრივ, ის თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან ბურთს ყოველთვის დაბლა ურტყამს ხოლმე, მაგრამ ამჯერად სილამაზის კონკურსის ლამაზმანივით გაიპრანჭა და საკუთარ გუნდს ზურგში ლახვარი ჩასცა. აშკარაა, რომ კრისტიანომ "კამპ ნოუს" ვნებას ვერ გაუძლო. პორტუგალიელმა გადაწყვიტა, 100 ათასი კატალონიელი ეფექტური და არაორდინალური პენალტით დაემცირებინა. როცა სასწორზე ჩემპიონთა ლიგის ფინალის საგზურის ბედი დევს, პროფესიონალმა ფეხბურთელმა ასე არ უნდა გარისკოს. განა, ვინმე გამორიცხავს, რომ "ბარსელონამ" "ოლდ ტრეფორზე" გოლი გაიტანოს და ფინალში გავიდეს? თუ მოვლენები ამგვარად განვითარდება, ერთ-ერთი უპირველესი დამნაშავე კრისტიანო რონალდო იქნება".*

ბარსელონა

# ლაპორტა და რაიკაარდი გაქურდეს

## პრეზიდენტმა პორტატული კომპიუტერი დაკარგა, მთავარმა მწვრთნელმა კი ფულით სავსე ქეისი და 200 ათასი ევროს ღირებულების ძვირფასეულობა



კატალონიურ პრესაში ფრიად საინტერესო ინფორმაცია გაჩნდა. "ბარსელონისა" და "მანჩესტერის" საჩემპიონთა-ლიგო ნახევარფინალური მატჩის შესვენებაზე **ჟოან ლაპორტას** პორტატული კომპიუტერი მოპარეს. "ბარსას" პრეზიდენტი გაოგნებით აღნიშნავს, რომ ნოუთბუქი აბსოლუტურად გაურკვეველ სიტუაციაში დაკარგა. პრეზიდენტს საკმაოდ ძვირადღირებული ნივთი, ფაქტობრივად, ცხვირწინ ააცალეს. სენიორ ლაპორტა გაოგნებულია და კომპიუტერთან ერთად მნიშვნელოვანი ინფორმაციების დაკარგვის გამო წუხს: *"შესვენებაზე ლოჟიდან საკმაოდ გვიან გავედი. ერთ-ერთ სტუმარს ვესაუბრებოდი, შემდეგ საქალალდის ასაღებად მოვტრიალდი და აღმოვაჩინე, რომ კომპიუტერი მაგიდაზე აღარ იდო. თავდაპირველად ხუმრობა მეგონა, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ რომელიღაც უსინდისომ ჩემი ნოუთბუქი ხელს გააყოლა. შოკირებული ვარ, რადგან კომპიუტერში უმნიშვნელოვანესი ინფორმაციები, პროექტები და მასალები მქონდა. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილის ასლი არ გამაჩნია. ასე რომ, ეს აუნაზღაურებელი დანაკარგია. უბრალოდ, ვერ ვხვდები, ვის უნდა მოეპარა, იქ მხოლოდ საპატიო სტუმრები იმყოფებოდნენ. ნუთუ, გვერდითა ტრიბუნიდან რომელიმე გულშემატკივარი შემოიპარა?! ეს ძალიან ძნელად წარმოსადგენია".*

კურიოზულია, მაგრამ ქურდებმა "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელიც დააზარალეს. ქურდობის მომენტში **ფრენკ რაიკაარდი** ოჯახთან ერთად სახლში იმყოფებოდა. მას კატალონიის დედაქალაქის ყველაზე პრესტიჟულ საცხოვრებელ კვარტალში ორსართულიანი სახლი აქვს ნაქირავები. ქურდობის ღამეს ის ცოლთან ერთად პირველ სართულზე იმყოფებოდა და მხატვრულ ფილმს უყურებდა. ბავშვს კი საკუთარ საძინებელში მშვიდად ეძინა. ბატონი ფრენკი რას წარმოიდგენდა, რომ ქურდები მეორე სართულზე ერთ-ერთი საძინებლის ფანჯრის მინას უხმაუროდ ამოჭრიდნენ და სრულიად შეუმჩნევლად სახლში შეაღწევდნენ. ის კვლავ კინოს ყურებით ტკბებოდა, დამნაშავეები კი ოთახიდან ოთახში დაძრწოდნენ. ქურდები უკმაყოფილოები არ დარჩებოდნენ. მართალია, მათ პირველ სართულზე მდებარე სეიფის გასახსნელად დაბლა ჩასვლა ვერ გაბედეს, მაგრამ მეორე სართულზეც გვარიან ნადავლს გამოჰკრეს ხელი. თავად განსაჯეთ, მათ რაიკაარდის ცოლის ბრილიანტის უძვირფასესი სამკაულები, არანაკლებ ძვირიანი "როლექსის" ოთხი საათი და, რაც მთავარია, ევროებით სავსე პატარა ზომის ქეისი მოიპარეს...

როგორც იქნა, ცოლ-ქმარმა ტელევიზორი გამორთეს და საძინებლისკენ გაემართნენ. ოთახში პირველად რაიკაარდის ცოლი შეივდა და შიშით გული წაუვიდა. "ბარსას" დამრიგებელი კი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ინსტინქტურად ჯერ სასწრაფო დახმარების სამსახურში დარეკა, შემდეგ კი პოლიციაც გამოიძახა. ექიმებმა ქალბატონი მალევე მოიყვანეს გონზე და ოფისში დაბრუნდნენ. აი, პოლიციელები კი თითქმის მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. ისინი თითის ანაბეჭდებსა და ხელჩასაჭიდ ნივთმტკიცებებს ეძებდნენ.

ამ უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ რაიკაარდი საკუთარ ძაღლს გაცილებით უფრო მეტად დააფასებს. მისი როტვეილერი მსხვილი ჯაჭვით რომ არ ყოფილიყო დაბმული, ქურდებს საკადრის პასუხს გასცემდა, მაგრამ თავი ვერ გაითავისუფლა. სამაგიეროდ, ძაღლმა თავგანწირული ყეფა დაიწყო, მაგრამ რაიკაარდი ფილმით ისე გაერთო, რომ ოთხფეხა მეგობრისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

ხუმრობა იქით იყოს და, "ბარსას" თავკაცმა სერიოზული მატერიალური ზარალი განიცადა. მცირე ზომის ქეისში მას 90 ათასი ევრო ჰქონდა შენახული, საათებისა და სამკაულების ფასი კი თითქმის 200 ათას ევროს აღწევს. პოლიცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დამნაშავეების კვალი დაადგინოს და ისინი გისოსებს მიღმა მოათავსონ, მაგრამ სამწუხაროდ, სამართალდამცველებს, ჯერჯერობით, არანაირი სამხილი არ გააჩნიათ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბეგირისტაინი გუისას იწვევს

## მალიორკა 15 მილიონ ევროს ითხოვს

დანი გუისას მიმდინარე სეზონში 21 გოლი აქვს გატანილი. "მალიორკის" ფორვარდმა უხვგოლიანობით მრავალი კლუბის ყურადღება მიიპყრო. მისთვის, ალბათ, ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ თანამშრომლობის სურვილი "ბარსელონას" გაუჩნდა. საქმე ძალიან სერიოზულად არის. **ჩიკი ბეგირისტაინმა** ფეხბურთელის მენეჯერთან, **ფელიქს მონეოსთან** ინტენსიური მოლაპარაკებები გააბა. გუისა თანახმაა, მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ბალეარის კუნძულები დატოვოს და კატალონიურ გრანდში გააგრძელოს კარიერა. როგორც გაირკვა, დანის გაშვებას "მალიორკაც" არ ეწინააღმდეგება. კუნძულელებმა სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო მოითხოვეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "მალიორკის" პრეზიდენტის, **ვისენტე გრანდეს** განცხადებას გაგაცნობთ: *"გუისას მენეჯერმა დამირეკა და მითხრა, რომ "ბარსელონა" მისი კლიენტით სერიოზულადაა დაინტერესებული. როგორც ამტკიცებს, დანის "კამპ ნოუზე" გადაბარგება სურს. თუ ასეა, ჩვენ წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ. გუისა პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და იაფად, რა თქმა უნდა, არ დავთმობთ. თუ "ბარსელონას" კონტრაქტის გაჩარხვა სურს, 15 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს".*

თანამედროვე ფეხბურთის სატრანსფერო ტენდენციების გათვალისწინებით, 15 მილიონი კოლოსალური თანხა სულაც არ არის, მაგრამ ბეგირისტაინს სენიორ გრანდეს მიერ დასახელებული თანხა მაინც ეძვირა. სავარაუდოა, რომ მხარეებს შორის დიდი ვაჭრობა გაჩაღდება. კატალონიური პრესის მტკიცებით, მიმდინარე სეზო-




ნის დასრულების შემდეგ **ეიდურ გუდიონსენი** „კამპ ნოუს" დატოვებს. როგორც ჩანს, ბეგირისტაინი გუისას სწორედ ისლანდიელი ფორვარდის შემცვლელად მოიაზრებს. სხვა საქმეა, გუისა სათადარიგოთა სკამზე ჯდომას რამდენად შეეგუება. ესპანელმა ფეხბურთელმა „დიარიო ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მთავარია, „ბარსელონაში" მოხვდე, ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად კი ნელ-ნელა უნდა იბრძოლოო.

**გვერდი მოამზადა ილია ნიკოლაიშვილმა**

სკანდალი

# რონალდო მახეში

## როგორ აღმოჩნდა ფენომენის ოთახში სამი ტრანსვესტიტი

**რ**ონალდო, მუხლის უმძიმესი ტრავმის გამო, ფეხბურთს ხანგრძლივი დროით ჩამოშორდა. ბრაზილიელი ვარსკვლავი "მილანის" ხელმძღვანელობამ სამკურნალოდ სამშობლოში გაუშვა. "როსონერის" მესვეურები ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ მათი ფეხბურთელი უდიდეს სკანდალში გაყოფდა თავს.



აი, რონალდოს მანქანის საბუთები

რიო დე ჟანეიროს პოლიციამ სამი ტრანსვესტიტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ისინი რონალდოსთვის ფულის გამოძალვის მცდელობაში არიან ეჭვმიტანილები. ტრავმის გამო "კიჭას" უამრავი თავისუფალი დრო აქვს. ბრაზილიელმა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან გართობა გადაწყვიტა და ერთ-ერთ არალეგალურ საროსკიპოში გოგონების გამოსაძახებლად დარეკა. მან სასტუმროს მისამართი ჩააწერინა და სთხოვა, მეძავეებს დიდხანს არ დაეგვიანათ. ფეხბურთელმა ორი ქალის მომსახურება ითხოვა, მაგრამ როცა სასტუმროს ოთახის კარი გაალო, მის წინაშე სამი ადამიანი აღმოჩნდა. "მილანის" ფორვარდს კი გაუკვირდა, მაგრამ არავის აწყენინა და ყველა შიგნით შეიპატიჟა. თითოეულ მათგანს 600 დოლარზე მოელაპარაკა. როცა რონალდო ვნებით ალივსო და საქმე-საქმეზე მიდგა, აღმოაჩინა, რომ მის წინაშე არა მომხიბვლელი გოგონები, არამედ ტრანსვესტიტები იყვნენ. რონალდო, რა თქმა უნდა, შოკში ჩავარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გონს მოეგო და ტრანსვესტიტებს ჩხუბი დაუწყო. სასწრაფოდ ჩემი ოთახიდან გაეთრიეთო. თუმცა, მისი სტუმრები გაწაფული გაიძვერები აღმოჩნდნენ. ისინი მიხვდნენ ვისთანაც ჰქონდათ საქმე და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავის დაშანტაჟება გადაწყვიტეს. როგორც გითხარით, კლიენტთან თითოეული მათგანი 600 დოლარზე იყო მოლაპარაკებული, მაგრამ სამივე ტრანსვესტიტმა შესანიშნავად იცოდა, რომ რონალდო მულტიმილიონერია. ისინი ფიქრობდნენ, ამ კაცს ნამდვილად არ ენდომება სახელის გატეხვა და იქნებ ავშენდეთო. მოკლედ, დიდ გასაჭირში ჩავარდნილ მილანელს არც მეტი, არც ნაკლები, 30 ათასი დოლარი მოსთხოვეს. რონალდომ ამ თანხის გადახდა არ ისურვა და პოლიციაში თვითონ დარეკა. გამომძალველებს გეგმა ჩაეფუშათ. ფეხბურთელმა დიდი ფულის გადახდას ამ ამბის გახმაურება ამჯობინა.

ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ჭორი არ გეგონოთ, ყველაფერი რონალდოს დაკითხვის ოქმიდან არის გადაწერილი. ბუნებრივია, ამ ინფორმაციამ მთელი მსოფლიო შემოიარა და ახლა ყველამ იცის, რომ რონალდოს ლამაზი გოგონების ნაცვლად სქესგადაკეთებული მეძავები შერჩნენ ხელში.

ბრაზილიელმა გამომძალველებზე შურისძიება გადაწყვიტა. სამართალდამცველებს მან ჩვენება მისცა და განაცხადა, შანტაჟის გზით 30 ათასი დოლარის წართმევას ცდილობდნენო. პოლიციელებმაც არ დაახანეს და სამივე ტრანსვესტიტი წინასწარი დაკავების საკანში ჩასვეს.

მაგრამ ეს ისტორია ამით არ დასრულებულა. დაპატიმრებულებმა ადვოკატებს უხმეს და ისეთი ამბავი გაახმაურეს, გამორიცხული არ არის, პოლიციასთან პრობლემები თავად რონალდოსაც შეექმნას. აი, რას ამბობს დაკავებულთა ერთ-ერთი ადვოკატი: *"რონალდომ პოლიცია მას შემდეგ ჩარია, რაც სტუმრებთან ერთ საკითხზე ვერ შეთანხმდა. მან პირველივე წამს გაიგო, რომ ტრანსვესტიტებთან ჰქონდა საქმე, მაგრამ სკანდალი მოგვიანებით ატეხა. საქმე ის არის, რომ საქვეყნოდ ცნობილმა ფეხბურთელმა, ერთ-ერთი ჩემი კლიენტი, ალბერტინო ჰეროინის შესაძენად რიო დე ჟანეიროს ყველაზე საშიშ ფაველაში გააგ ზავნა. რობერტინოს ამის დადასტურება შეუძლია. პარადოქსულია, მაგრამ რონალდო ლუის ნაზარიო და ლიმამ ალბერტინო "ღმერთის ქალაქში" (რიო დე ჟანეიროს ყველაზე კრიმინალური ფაველაა) საკუთარი ავტომობილით გააგ ზავნა. ამ ფაქტს სასტუმროს ნებისმიერი კონსიეჟი დაადასტურებს. გარდა ამისა, რონალდოს ავტომანქანით მოძრავი ალბერტინო სასტუმროს შესასვლელთან დამონტაჟებულმა ვიდეოკამერამაც დააფიქსირა. კიდევ ერთ მტკიცებულებად სატელეფონო ზარი გამოდგება, რონალდომ ალბერტინოს მობილურზე დაურეკა. ბუნებრივია, ისინი ერთ ოთახში რომ ყოფილიყვნენ, ტელეფონით არ ილაპარაკებდნენ. მოკლედ, ჩემს კლიენტს "ღმერთის ქალაქში" შესვლა შეეშინდა და სასტუმროში ჰეროინის გარეშე დაბრუნდა. "მილანის" ფეხბურთელმა სკანდალი სწორედ ამის შემდეგ მოაწყო და პოლიციაში დარეკა. დარწმუნებული ვარ, გამოძიება ჭეშმარიტებას იოლად დაადგენს".*

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რონალდომ საკუთარ თავს ეს უბედურება მისივე უპასუხისმგებლობის გამო დაატეხა. საქვეყნოდ ცნობილ მილიონერებზე არაერთი პაპარაცი თუ მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანი ნადირობს. მათი ერთადერთი მოტივი ფულის გაკეთებაა. თუ შენ თვითონ გამოიჩენ უპასუხისმგებლობას და წინდაუხედავად მოიქცევი, ისინი შანსს ხელიდან არ გაუშვებენ. როგორც ჩანს, რონალდოს გამოძიების საკმაოდ რთულ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. ამ უსიამოვნებიდან ის მშრალადაც რომ გამოძვრეს, მოგებული მაინც ვერ დარჩება. მთელმა დედამიწამ შეიტყო, რომ პლანეტის არაერთგზის საუკეთესო ფეხბურთელი საეჭვო რეპუტაციის სასტუმროებში დაძვრება და ტრანსვისტიტებთან ერთობა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინგლისის ნაკრების პრობლემა

# ლიპი: კაპელოს კარგი მოთამაშეები არ ჰყავს

## როგორ უნდა შექმნა ძლიერი ნაკრები, როცა პრემიერლიგაში მოთამაშეთაგან, ინგლისელი მხოლოდ 38 პროცენტია

**ფ**აბიო კაპელო გამოცანას წააწყდა. მას აინტერესებს, რატომ ვერ აღწევს წარმატებებს ინგლისის ნაკრები და რატომაა, რომ საკლუბო დონეზე ფეხბურთელები გაცილებით უკეთ თამაშობენ, ვიდრე ეროვნულ გუნდში.

აი, რას ამბობს იტალიელი: *"ეს პრობლემა ჩემი წინამორბედების დროსაც არსებობდა. იმედი მაქვს, მივხვდები, რაშია საქმე და გადავჭრი კიდეც ამ პრობლემებს. ინგლისური კლუბების საერთაშორისო წარმატებით თუ ვიმსჯელებთ, პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესო ჩემპიონატი უნდა იყოს".*




მაგრამ, ის, რაც კაპელოსთვის ჯერ გამოცანაა, თურმე, **მარჩელო ლიპიმ** იცის. მსოფლიო ჩემპიონი მწვრთნელი თვლის, რომ კაპელოს არ ჰყავს იმ დონის ფეხბურთელები, რომ კარგი გუნდი შექმნას. ლიპიმ, რომელმაც 2006 წელს იტალია ტრიუმფამდე მიიყვანა, ასეთი დასკვნა გააკეთა:

*"მწვრთნელს პრობლემები მაშინ ექმნება, როცა კარგი ფეხბურთელები არ ჰყავს. მაგალითად, იტალიის ნაკრების დღევანდელ მწვრთნელს, რობერტო დონადონის, პირიქით, კაპელოსგან განსხვავებით, მაღალი კლასის მოთამაშეთა სიჭარბე აწუხებს. ესეც თავისებური პრობლემაა და არჩევანის გაკეთების დროს ბევრ ფიქრს საჭიროებს. არა ერთი კარგი მოთამაშე ნაკრების მიღმა რჩება. კაპელოს პრობლემა ისაა, რომ პრემიერლიგაში ფეხბურთელების 38 პროცენტია მხოლოდ ინგლისელი".*

სამი ინგლისური კლუბი, "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლივერპული" და "ჩელსი", ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ამავე დროს, ინგლისის ნაკრები ვერ ითამაშებს ევრო 2008-ზე, რადგან საკვალიფიკაციო ჯგუფში ხორვატიასა და რუსეთს ჩამორჩა.

ინგლისის ნაკრების სპონსორის, Nationwide Building Society-ს მიერ მოწყობილ სალამოზე კაპელომ აღნიშნა: *"სასწაულის მოხდენას ვერ შევძლებ. რაც გვყავს, ეს გვყავს. ახალი ფეხბურთელების მოძებნა და ახალი გუნდის შექმნა გრძელი პროცესია, ამას ბევრი დრო მიაქვს. ეს ყველაფრის ხელახლა დაწყებას ნიშნავს და სწრაფად ვერ მოხდება. რა თქმა უნდა, ინგლისურ კლუბებში რაც უფრო მეტი ინგლისელი ფეხბურთელი ითამაშებს, მით უფრო კარგი იქნება ჩემთვის".*

შემდეგ, დონ ფაბიომ განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის მორიგი კაპიტნის ვინაობას გაამხელს აგვისტოში, "უემბლიზე" ჩეხეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ. კაპელომ, რომელმაც კაპიტნის ძიება ინგლისის ნაკრების სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო, ყველა გააფრთხილა, რომ სამკლაურს პრივილეგიების მიხედვით არ ილებენ. ხოლო ის, თუ ვინ გახდება სრულფასოვანი კაპიტანი, მოედანსა და მის მიღმა ფეხბურთელების ქცევაზე იქნება დამოკიდებული.

**რიო ფერდინანდი** ინგლისს საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნობდა, მაგრამ შაბათს, "ჩელსისთან" მატჩის შემდეგ, "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს ბოდიში უნდა მოეხადა "სტემფორდ ბრიჯის" მომსახურე ქალბატონისთვის, როცა მარცხისგან განაწყენებულმა (ვითომ) შემთხვევით ბუცი მოარტყა...

**უეინ რუნი** მეორე ფეხბურთელია "იუნაიტედიდან", რომელიც კაპიტნად მოიაზრება, მაგრამ ის ცვალებადი ხასიათის პიროვნებაა. კაპელო ამატებს: "კაპიტანი ნამდვილი ლიდერი და ყველასთვის მაგალითი უნდა იყოს. უნდა შეეძლოს თანაგუნდელების ერთ მუშტად შეკვრა. ამასთან ერთად, ის მისაბაძიც უნდა იყოს ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც. ახალ სეზონამდე არაფერს შევცვლი, ასე რომ, მომავალი ორი კაპიტნიდან რომელი იქნება მთავარი, არავის ეცოდინება".

**დავით ჩუბინიძე**

დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# ჩათვალეთ, რომ რონალდინიო ბარსას ფეხბურთელი აღარ არის

## ლაპორტა მზადაა, მილანთან მოლაპარაკებები დღესვე დაიწყოს

**ბ**ოლო თვეებია, **რონალდინიოს** შესაძლო ტრანსფერი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად იქცა. დღე ისე არ ჩაივლის, ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე არ ითქვას. აქამდე, ძირითადად, ერთსა და იმავეს ლაპარაკობდნენ, გაუჩო "ბარსელონიდან" მიდის და მას არაერთი კლუბი ეპატიჟებაო. ამ განცხადების პარალელურად "ბარსელონის" ხელმძღვანელობა აბსოლუტურად საპირისპიროს ამტკიცებდა ხოლმე. **ჩიკი ბეგირისტაინი, ჟოან ლაპორტა** და **ფრენკ რაიკაარდი** დაუღალავად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, რონალდინიო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და არ იყიდებაო...




გუშინ ეს ტრადიცია დაირღვა. ფრენკ რაიკაარდმა მანჩესტერში "დიარიო ასის" კორესპონდენტს ძალიან საინტერესო რამ უთხრა: *"ძალიან ვწუხვარ, მაგრამ "ბარსელონაში" რონალდინიოს ეპოქა დასრულდა. პრაგმატულად თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გაუჩო "ბარსას" ფეხბურთელი აღარ არის. სამწუხაროდ, ბოლო დროს "კამპ ნოუზე" საქმეები არ აეწყო. ყოველთვის მის გვერდით ვიყავი და მომავალშიც უანგაროდ დავეხმარები. ახლა ყველასთვის უკეთესია, ბრაზილიელმა თავშესაფარი სხვა კლუბში მონახოს. დარწმუნებული ვარ, რონალდინიო არ დაიკარგება. ის ფორმას აღიდგენს და რიხიან სიტყვას იტყვის".*

როგორც ჩანს, რონალდინიოს წასვლა მართლაც გადაწყვეტილი ამბავია. სამხრეთამერიკელი ვარსკვლავის ბარსელონური კარიერის განმავლობაში პირველად, ჟოან ლაპორტამ მისი სატრანსფერო თანხა დაასახელა: *"დასამალი არავისთვისაა, რომ რონალდინიოს არაერთი კლუბი ეპატიჟება. მას შემოთავაზებები მრავალი ქვეყნიდან აქვს. თუმცა, ყველაზე მეტად მონადინებული "მილანია". მზად ვარ, "როსონერის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები დავიწყო. თუ ისინი 40 მილიონ ევროს გადაიხდიან, რონალდინიოს უპრობლემოდ დავუთმობთ. რა გაეწყობა, უსასრულოდ არაფერი გრძელდება. ცხოვრებამ ისე ინება, რომ რონალდინიომ უნდა დაგვტოვოს."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ მარკ ვან ბომელთან

# ზენიტს გავაგდებთ და ფინალში გავალთ!

## ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა იცის, რომ ბაიერნს რუსეთში რთული მატჩი ელის

"ბაიერნის" ფეხბურთელებმა კვირას, "ალიანს არენა" კმაყოფილებმა დატოვეს. "შტუტგარტის" განადგურების შემდეგ (4:1), ცხადი გახდა, რომ რეკორდმაისტერს ჩემპიონობაში ველარავინ შეეცილება, რადგან ოტმარ ჰიტცფელდის გუნდი სეზონის დასრულებამდე 4 ტურით ადრე, უახლოეს მდევარს 12 ქულით უსწრებს. მაგრამ "ბაიერნის" ფეხბურთელებს დიდი ზეიმი არ მოუწყვიათ, რადგან მიუნხენურ გიგანტს ხვალ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი აქვს უეფას თასზე, სტუმრად "ზენიტთან". როგორც იცით, პირველი შეხვედრა მიუნხენში ფრედ 1:1 დასრულდა. ბუნდესლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე ბავარიელთა ერთ-ერთი ლიდერის, მარკ ვან ბომელის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ჰოლანდიელი არაერთ საინტერესო საკითხთან ერთად უეფას თასის ფინალში გასვლის შანსებზეც საუბრობს.


მარკ ვან ბომელი

**- ჰერ ვან ბომელ, მოგილოცოთ გერმანიის ჩემპიონობა, თუ ჯერ მაინც თავი შევიკავოთ?**

- არა, მილოცვას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ. "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი ჯერ არ გამხდარა, "ვერცხლის სინიც" არავის გადმოუცია. ასე რომ, მაშინ მომილოცეთ, როცა პირველობას ოფიციალურად გავიფორმებთ.

**- ჰო, მაგრამ განა ვინმე ფიქრობს, რომ "ბაიერნი" ჩემპიონობას არ იზეიმებს? კონკურენტებს 12 ქულით უსწრებთ და სეზონის დამთავრებამდე 4 თამაშია დარჩენილი. დავუშვათ, ყველა თამაში წააგეთ, რაც გამორიცხულია, ბურთების შეფარდებაც +41 გაქვთ. მოკლედ, დაგვეთანხმეთ, რომ დროა, მილოცვები მიიღოთ.**

- აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ "ვერცხლის სინი" ჯერ არ აგვიღია. ახლა თითოეული ჩვენგანი მხოლოდ უეფას თასის ნახევარფინალზე ფიქრობს. "ზენიტთან" რთული მატჩი გველის. ფინალში აუცილებლად უნდა გავიდეთ. ხუთშაბათამდე ბუნდესლიგა აღარ გვაინტერესებს. ახლა ყველაზე მთავარი უეფას თასია.

**- ანუ, ზეიმს ჯერ არ აპირებთ?**

- ჰო. გასულ უქმეებზე გერმანიის ჩემპიონობა რომ გაგვენაღდებინა, მაინც არ ვიზეიმებდით, რადგან წინ უმნიშვნელოვანესი და ძალიან რთული მატჩია. ერთი სიტყვით, სანამ "ზენიტს" არ მოვუგებთ, შამპანური და ლუდი მაცივარში უნდა დარჩეს. თუმცა უნდა გითხრათ, რომ "შტუტგარტთან" მოპოვებული გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რომ ვერ მოგვეგო, მდევრები მოგვიახლოვდებოდნენ, მომდევნო კვირაში ჩემპიონობის გაფორმება უკვე არარეალური გახდებოდა და თანაც, "ზენიტთან" მატჩის წინ ხასიათი წაგვიხდებოდა. ახლა კი, სანკტ პეტერბურგში თავდაჯერებულები მივდივართ. ერთი წუთითაც არ მინდა წარმოვიდგინო, რომ რუსეთიდან დამარცხებულები დავბრუნდებით. ეს ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა. ჰეთ-თრიკი უნდა შევასრულოთ – ეს აქსიომაა.

**- ანუ, "შტუტგარტთან" მატჩს უფრო შუალედური სახე ჰქონდა?**

- არა, ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. კარგად გვახსოვდა, რომ ამ სეზონში პირველი მარცხი სწორედ "შტუტგარტთან" ვიგემეთ. დამსახურებულად გავიმარჯვეთ, თუმცა მიმაჩნია, რომ 4:1 მაინც ნამეტანი იყო – შვაბებმა კარგად ითამაშეს და ასეთი დიდი ანგარიშით წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ.

**- როცა შტუტგარტელებმა ანგარიში გაათანაბრეს, ხომ არ შეგეშინდათ, რომ ველარ გაიმარჯვებდით?**

- ჰო, შვაბებს და სილვას გოლის შემდეგ კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ და თამამად ვიტყვი, რომ ამ თამაშის მოგებაც შეეძლოთ. მაგრამ მერე ჩვენ სამი ულამაზესი გოლი გავიტანეთ. ეს გამარჯვება "ზენიტთან" მატჩისთვის ძალიან წაგვადგება.

**- ერთ-ერთი გოლის ავტორი თქვენ ხართ. "ანდერლეხტთან" (5:0) მატჩის შემდეგ განაცხადეთ, სანამ ჯარიმას დავარტყამდი, ფრანკ რიბერის დავენიძლავე, რომ აუცილებლად გავიტანდიო. ახლაც ხომ არ დაენიძლავეთ?**

- (იცინის) არა, ამჯერად არ დავნიძლავებულვართ. თანაც, იმ დროს, როცა ჯარიმა დავარტყი, რიბერი მოედანზე არც იყო.

**- გაიხსენეთ პირველი წრის მატჩი "შტუტგართან". რა შეიცვალა გუნდში იმ წაგების შემდეგ?**

- პირველ რიგში, შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში ბუნდესლიგაში მხოლოდ ორი თამაში წავაგეთ. "შტუტგარტთან" მარცხის შემდეგ გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა, ფორმა აკრიფა და როგორც ხედავთ, სეზონის მიწურულს ბუნდესლიგაში შეუჩერებლები ვართ.

**- კვირის მატჩი "ზენიტის" მთავარმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმაც იხილა. როგორ ფიქრობთ, როგორი შთაბეჭდილებებით გაბრუნდებოდა რუსეთში?**

- ხუთშაბათს, თამაშის შემდეგ ადვოკაატს ვესაუბრე. მინდა გითხრათ, რომ მან ძალიან კარგად იცის, რასაც წარმოადგენს "ბაიერნი".

**- რუსეთში გასამართი მატჩისგან რას ელით?**

- როგორც ზემოთაც ვთქვი, რთული მატჩი გველის. აღსანიშნავია ისიც, რომ "ზენიტის" სტადიონზე მოედნის საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. და როგორც მეგობრებმა მითხრეს, კლუბის ხელმძღვანელები არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საფარის მდგომარეობა გააუმჯობესონ. ასე სპეციალურად იქცევიან, რათა ძლიერ გუნდებს სანკტ პეტერბურგში თამაში გაუჭირდეთ. მაგრამ ეს ჩვენთვის ალიბი არ არის. რუსეთში იმისათვის მივდივართ, რომ ფინალის საგზური მოვიპოვოთ. დღემდე ისე იყო, რომ უეფას თასის გასვლით მატჩებში მინიმუმ ერთი გოლი გაგვქონდა ხოლმე. თუ "ზენიტსაც" გავუტანთ, დარწმუნებული ვარ, რომ ფინალში გავალთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ვალენსია

# მანსანოს მესტალიაზე უხმეს

## მალიორკის დამრიგებელი თანახმაა, თუმცა ღამურებმა მისი რამდენიმე მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილონ

პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში "ვალენსიამ" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო. ამ გამარჯვების წყალობით, "ღამურებმა" უძლიერესთა ლიგაში დარჩენის შანსი გაიუმჯობესეს. მოგეხსენებათ, **რონალდ კუმანის** ნაცვლად დანიშნულმა **ვორომ** სადებიუტო ორთაბრძოლა მოიგო. ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებს ისიც ეცოდინებათ, რომ ეს სპეციალისტი მთავარი მწვრთნელის პოსტზე სეზონის ბოლომდეა დანიშნული. "ვალენსიის" ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის ახალ სპეციალისტს ეძებს. რამდენიმე დღის წინათ სპორტული დირექტორის პოსტზე კლუბის ყოფილი ფეხბურთელი **ხუან სანჩესი** დაინიშნა. მანაც არ დაახანა და "მესტალიაზე" მუშაობა **გრეგორიო მანსანოს** შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ ანდალუსიელ მწვრთნელს "მალიორკასთან" 2010 წლის 30 ივნისამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. იმისათვის, რომ ეს ხელშეკრულება დაირღვეს, ვალენსიელებს საკომპენსაციო თანხის სახით, 500 000 ევროს გადახდა მოუწევთ. ბალეარელები წინააღმდეგნი სულაც არ არიან ამ თანხის სანაცვლოდ მანსანო "ღამურებს" დაუთმონ.

"ვალენსიაში" მუშაობის პერსპექტივას სენიორ გრეგორიო ენთუზიაზმით შეხვდა. თუმცა გამოცდილმა სპეციალისტმა უმალ საკუთარი პირობები წამოაყენა, იმისათვის, რომ თქვენი გუნდი ჩავიბარო, **მოიას, ფერნანდო ნავაროს, ხონასის, გუისასა** და **იბაგასას** გადმობირება მოგიწევთო.

ამასობაში "ვალენსიის" ყოფილმა მეორე მწვრთნელმა, **ხოსე მარია ბაკერომ** საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და რონალდ კუმანის მიერ ათვალწუნებული ფეხბურთელების განცხადებას გამოეხმაურა. საქმე ის არის, რომ **ალბელდა, კანისარესი** და **ანგულო** ჰოლანდიელ სპეციალისტს დისკრიმინაციული პოლიტიკის წარმოებაში ადანაშაულებდნენ. მათი თქმით, მწვრთნელი სამივე მათგანს პირადი შეხედულების გამო გადაეკიდა. ხოსე მარია ბაკერო ათვალწუნებულ ტრიოს საკმაოდ მკვახე სიტყვებით იხსენიებს: *"ასეთი ტყუილი დიდი ხანია არ გამიგია. პირადი შეხედულება არაფერ შუაშია. კუმანმა ეს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული მოტივით მიიღო. მისი აზრით, ალბელდა, კანისარესი და ანგულო თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. კუმანს აბსოლუტურად ვეთანხმები. ისინი ძირითად შემადგენლობაში თამაშს არ იმსახურებდნენ. რა თქმა უნდა, ბიჭებს თავმოყვარეობა შეელახათ და ახლა სხვისი უსაფუძვლო დადანაშაულებით ცდილობენ რთული სიტუაციიდან გამოძრომას. ამას არც ერთი გონიერი ადამიანი არ დაიჯერებს. დარწმუნებული ვარ, ყველა ყველაფერს მშვენივრად ხვდება."*


გრეგორიო მანსანო

**ილია ნიკოლაიშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნის ახალი სამიზნე: პატრიკ ოხსი!

## აინტრახტის მცველი ახალი ლამი უნდა გახდეს

ფრანკფურტის "აინტრახტის" ხელმძღვანელებს სამომავლოდ დიდი გეგმები აქვთ და სწორედ ამიტომ, წამყვან ფეხბურთელებს ხანგრძლივი კონტრაქტები გაუფორმეს. კაპიტან **იოანის ამანატიდისის** ხელშეკრულებას ვადა 2012 წლამდე აქვს, ისევე, როგორც **მარტინ ფენინის, რუსის** და **კაიოს** კონტრაქტებს. უახლოეს მომავალში ფრანკფურტელები ხელშეკრულების გაგრძელებას **კრისთანაც** გეგმავენ და უნდათ, რომ გუნდს თავისი ბედი 2012 წლამდე 23 წლის მცველმა **პატრიკ ოხსმაც** დაუკავშიროს.

ოხსი, რომელიც მარჯვენა მცველი გახლავთ, გასულ ტურში, დორტმუნდის "ბორუსიასთან" ისევ საუკეთესო აინტრახტელი იყო და უნდა ითქვას, რომ ეს ბიჭი საუკეთესო სეზონს ატარებს. არცაა გასაკვირი, მას არაერთი სკაუტი რომ აკვირდება. "ბილდის" ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ ოხსი მომავალი სეზონიდან "ბაიერნის" ფეხბურთელი გახდეს. რეკორდმაისტერის შეფებს თავის დაზღვევა სურთ, რადგან ფაქტობრივად კარგავენ **ფილიპ ლამს**, რომელმაც ახლახან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. გერმანიის ნაკრების მცველს, რომელმაც პირველად 2006 წლის მუნდიალზე გაიბრწყინა, ხელშეკრულების ვადა მომავალი სეზონის ბოლოს გასდის და დიდი შანსია, რომ ამავე ზაფხულში "ბარსელონის" ფეხბურთელი გახდეს. ბავარიელებს ოხსი სწორედ მის შემცვლელად სურთ.


პატრიკ ოხსი, რომელმაც ფილიპ ლამი უნდა შეცვალოს

გახდება ოხსი ახალი ლამი? ფაქტი ის გახლავთ, რომ პატრიკიც "ბაიერნის" სკოლის აღზრდილია და ის რეკორდმაისტერის მოყვარულებში მაშინ თამაშობდა, როცა იქ **ბასტიან შვაინშტაიგერი, მიხაელ რენზინგი, ანდრეას ოტლი** და **კრისტიან ლელი** თამაშობდნენ. მაგრამ მერე მიუნხენი დატოვა, თუმცა ბავარიელი სკაუტები მას მუდმივად აკვირდებიან. პატრიკის თქმით, "ბაიერნიდან", მას არავინ შეხმიანებია. ოხსს "აინტრახტთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული. მისი ფასი დაახლოებით 3 მილიონი ევროა.

**გოტფრიდ ლენცი**

მანჩესტერ სიტი

# ერიქსონს უშვებენ


სვენ გორან ერიქსონი

ორშაბათს, "მანჩესტერ სიტის" თავკაც **სვენ გორან ერიქსონს** კლუბის მფლობელ **ტაქსინ შინავატრასთან** ჰქონდა შეხვედრა. BBC-ის ინფორმაციით, ტაილანდელმა მილიარდერმა შვედ სპეციალისტს აუწყა, რომ სეზონის დასრულებისთანავე პოსტის დატოვება მოუწევს. ბოსი "სიტისა" და "ფულჰემის" თამაშს დაესწრო და ჭკუიდან გადავიდა, როცა ერიქსონის შეგირდებმა ორბურთიანი უპირატესობა გაანიავეს და 2:3 დამარცხდნენ. როგორც ჩანს, ამ მარცხმა სვენის მანჩესტერულ მომავალს წერტილი დაუსვა. პოპულარულ გამოცემას შინავატრას სიტყვებიც მოჰყავს - თქვენ არ ხართ ის კაცი, ვინც "მანჩესტერ სიტის" ეკადრებაო, ასე უთქვამს ერიქსონისთვის. როგორც ამბობენ, შვედს უკვე ფეხბურთელებიც ჩაუყენებია საქმის კურსში. ინკოგნიტო წყარო BBC-ისთან საუბარში დასძენს:

*"სვენს აღშფოთება არ გამოუთქვამს, მფლობელის სიტყვები მშვიდად მიიღო. თუმც ჩანდა, რომ იმედგაცრუებული და გაკვირვებული იყო. მას არ უნდა "მანჩესტერ სიტის" დატოვება და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავისი ნებით არ გადადგება. ერიქსონს მიაჩნია, რომ ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში ნაყოფიერად იმუშავა და გააკეთა იმის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ რესურსებით შეეძლო".*

ერიქსონი არ გადადგება იმიტომაც, რომ კონტრაქტში კიდევ ორი წელიწადი აქვს დარჩენილი. არადა, "სიტიმ" სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, კარგა ხანს ოთხეულშიც ტრიალებდა, იყო მომენტიც, როცა მეორე ადგილზეც წამოსკუპდა, მაგრამ იანვრიდან საქმე უკან-უკან წავიდა. ცხადია, ასეთ დროს ყველაზე მარტივი გამოსავალი მწვრთნელის მოხსნაა. ერიქსონის მომავალზე კლუბს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

**გიორგი ბელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო. ევროპის ჩემპიონატი

# ოღონდ ქართულად გამოაცხადეთ!



უშანგი კუზანაშვილის მომგებიანი ილეთი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სამწუხაროდ, გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაწყებულ სამბისტთა ევროპის 26-ე პირველობაზე სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით - ვერც შედეგებით გაგახარებთ და ვერც - ტურნირის ორგანიზაციული მხარით. პირველი დღის ქართული მონაგარი 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა, რაც ამბიციური მასპინძლებისთვის ძალზე ცოტაა. მსოფლიო ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** (52) ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა, ბრინჯაოები კი **დავით სიმონიშვილმა** (62) და **მინდია ბოდაველმა** (90) მოიპოვეს.

თუმცა შედეგები ჯანდაბას და, რაც გუშინ სპორტის სასახლეში ხდებოდა, რბილად რომ ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატისთვის შეუფერებელია. მაგრამ პირადად ჩემთვის ყველაზე მიუღებელი მაინც ტურნირის... რუსულ ენაზე წაყვანაა! აბსოლუტურად ყველა ინფორმაცია რატომღაც მხოლოდ რუსულად ცხადდება, არავითარი ქართული ან ინგლისური! გვესმის, სამბო რუსული სახეობაა, მაგრამ გინახავთ სადმე, ძიუდოს ტურნირი იაპონურად წაეყვანოთ? ცალკე საკითხია ის, რომ ჟურნალისტებისთვისაც უკეთესი პირობებია საჭირო და პრესცენტრიც უნდა მუშაობდეს, მაგრამ სპორტის სასახლეში ამგვარ პრობლემებს მივეჩვიეთ კიდეც. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ხარვეზები სხვაცაა, მაგრამ ნურც ისე ვიტყვით, რომ ეს თითქოს მხოლოდ სამბოზე ხდება - ხალიჩებს შესეული ხალხი, გაუთავებელი მიდი-მოდი დარბაზში და ამგვარები, ძიუდოს ტურნირზეც ვიხილეთ და ეს უფრო ზოგადად ქართული პრობლემაა, ვიდრე კონკრეტულად სამბისტებისა. უბრალოდ, ამ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ და ერთხელ და სამუდამოდ ტურნირების თანამედროვე სტანდარტების შესაფერისად ჩატარებასაც უნდა მივეჩვიოთ, თორემ მომავალში მსგავსი რანგის შეჯიბრებების მასპინძლობა სულ უფრო გაგვიჭირდება.

ტურნირში 18 ქვეყანა მონაწილეობს, თუმცა მასპინძლები ცოტა მეტს ელოდნენ. ქალებში ზოგიერთ წონაში 4-4 მონაწილე გამოდიოდა, 80-ში კი ამდენიც არ მოგროვდა - მხოლოდ სამი ჭიდაობდა და პარადოქსულია, რომ უკრაინელმა **ტატიანა ანდრიუშენკომ** ბრინჯაო ერთადერთი წაგებით მიიღო.

ცხადზე ცხადია, ჩვენი ნაკრების თავკაცი ოლეგ იაძე გუშინ ბევრად უკეთეს შედეგს ელოდა. ხუმრობა საქმე არაა, მასპინძელთაგან ორი მსოფლიო ჩემპიონი კუზანაშვილი და ბოდაველი, ჭიდაობდა, იქით მძიმეწონოსანი ევროპის ჩემპიონი **ზვიად ჩინჩალაძე**, რომელიც ამ წონაში გამოკვეთილი ლიდერია. მედლებს სხვებისგანაც ელოდნენ, მაგრამ...

კუზანაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ბულგარელ **ივან ბელომაჩევს** დამაჯერებლად აჯობა. ნახევარფინალში აზერბაიჯანელ **ისლამ გასიმოვსაც** უპრობლემოდ გასცდა, ფინალში კი ვერაფერი მოუხერხა ბელარუს **ანდრეი კურლიპოს**. ჩვენდა სამწუხაროდ, ბელარუსი უფრო მომზადებული თუ მონდომებული ჩანდა. იქნებ მონდომება არც კუზანაშვილს აკლდა, მაგრამ კურლიპომ გდებებიც უფრო დახვეწილად შეასრულა და ჭიდაობაც მისთვის ხელსაყრელ ტაქტიკურ სტილში წარმართა.

პირველ წრეში **მინდია ბოდაველიც** ისვენებდა, მეორეში კი ბელარუს **იაუჰენ სიომოშკინს** აჯობა და ნახევარფინალში გავიდა. მისი ისედაც განსაკუთრებულად გვეიმედებოდა და კარგმა დასაწყისმა კარგი დასასრულის იმედიც გაგვიჩინა, მაგრამ... ჩვენდა სავალალოდ, ესპანელ **სან მარტინ რიკარდო ეჩარტესთან** დამარცხდა და ნუგეშად სანუგეშო წრე დარჩა. კიდევ კარგი, აქ მოლდოველ **რამაზან მურტაზალიევთან** მონოდების სიმაღლეზე ალმოჩნდა და ბრინჯაოს დაეუფლა.

**დავით სიმონიშვილმა** ბულგარელ **კონსტანდინ ტოპალოვთან** მოგების შემდეგ ბელარუს **იჰარ სედოისთან** ნააგო და სანუგეშოში გადაერთო, სადაც ბრინჯაომდე ერთადერთი შეხვედრა გამართა - რუმინელ **ედუარდო როტარუსთან**, ისიც წარმატებით და პრიზიორებში მოხვდა.

ბრინჯაოსთვის **ჩინჩალაძემ** და **კახა მამულაშვილმაც** (74) იჭიდავეს, მაგრამ ორივე დამარცხდა. ჩინჩალაძე სანუგეშოში პირველივე წრეში მომავალ ჩემპიონთან, რუს **ანდრეი ვოლკოვთან** მარცხის მერე მოხვდა, იქ კი გადამწყვეტი შეხვედრა მოლდოველ **ვიტალი ჩებანუსთან** დათმო. მამულაშვილმა ძირითადში ერთი ბრძოლა მოიგო - მოლდოველ **სერგეი ოსლობანუს** მოუგო, მაგრამ მერე ზედიზედ ორჯერ დამარცხდა - ნახევარფინალში სომეხ **აშოტ დანიელიანთან**, ბრინჯაოსთვის - უკრაინელ **ვიქტორ სავინოვთან**. აღსანიშნავია, რომ ყველაზე სკანდალური სწორედ ამ წონის ფინალი გამოდგა - მსაჯებმა ზემოხსენებული დანიელიანი რუს **დმიტრი ლებედევთან** შეხვედრაში იმდენად უნამუსოდ დაჩაგრეს, ამას თვით რუსებიც კი ალიარებდნენ. სომეხთა დელეგაციის დაშოშმინებას მასპინძლების, საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა ჩარევა და მკაცრი მუქარებიც კი დასჭირდა.

გუშინ, ქალთა ტურნირში ჩვენმა ორმა წარმომადგენელმა - **ნათია ოძელაშვილმა** (56) და **არმინე ავაქიანმაც** (64) იჭიდავა, თუმცა ორივე პირველივე წრიდან გავარდა. ვინაიდან ბოლო დღეს გაირკვა, რომ მასპინძლებს საწევრო შესატანს არ იხდიდნენ, ჩვენს ქალთა გუნდში საბოლოოდ 6 მონაწილე დააყენეს.

**ირაკლი თავაძე**

**ევროპის ჩემპიონატი. სამბო. 29 აპრილი. ვაჟები.**

| |
|---|
| **52 კგ.** |
| 1. ანდრეი კურლიპო (ბელარუსი) |
| 2. უშანგი კუზანაშვილი (საქართველო) |
| 3. დენის ჩერენცოვი (რუსეთი) |
| 3. ისლამ გასიმოვი (აზერბაიჯანი) |
| **62 კგ** |
| 1. ვლადიმირ ლეონტიევი (რუსეთი) |
| 2. იჰარ სედოი (ბელარუსი) |
| 3. ტარლან კარიმოვი (აზერბაიჯანი) |
| 3. დავით სიმონიშვილი (საქართველო) |
| **74 კგ** |
| 1. დმიტრი ლებედევი (რუსეთი) |
| 2. აშოტ დანიელიანი (სომხეთი) |
| 3. არაზ მუხტაროვი (აზერბაიჯანი) |
| 3. ვიკტორ სავინოვი (უკრაინა) |
| **90 კგ** |
| 1. ასლიმ ჩერნოსკულოვი (რუსეთი) |
| 2. სან მარტინ რიკარდო ეჩარტე (ესპანეთი) |
| 3. მინდია ბოდაველი (საქართველო) |
| 3. იაკობ არაქელიანი (სომხეთი) |
| **+100 კგ** |
| 1. ანდრეი ვოლკოვი (რუსეთი) |
| 2. ალექსანდრ ვახავიაკი (ბელარუსი) |
| 3. ალექსანდრ ტიტარენკო (უკრაინა) |
| 3. ვიტალი სებანუ (მოლდოვა) |
| **ქალები: 48 კგ** |
| 1. კრისტინა კვაჩანი (რუსეთი) |
| 2. ვოლგა ლეშჩანკა (ბელარუსი) |
| 3. რუზანა სარქსიანი (სომხეთი) |
| 3. ტამარა კარაპეტიანი (უკრაინა) |
| **56 კგ** |
| 1. ტატიანა ზენჩენკო (რუსეთი) |
| 2. ელიტსა რეზევა (ბულგარეთი) |
| 3. ლესია სავჩუკი (უკრაინა) |
| 3. ანჟელა პაიმი (ბელარუსი) |
| **64 კგ** |
| 1. ოლენა საიკო (უკრაინა) |
| 2. ვანია ივანოვა (ბულგარეთი) |
| 3. კატარინა ფილინოვიჩი (ბელარუსი) |
| 3. ეკატერინა გოლზერგი (რუსეთი) |
| **72 კგ** |
| 1. სვეტლანა გალიანტი (რუსეთი) |
| 2. მარია კუზნეცოვა (ბელარუსი) |
| 3. ტატიანა სავენკო (უკრაინა) |
| 3. დაციელ ლოპეს-ორტეგა (ესპანეთი) |
| **80 კგ** |
| 1. ირინა როდინა (რუსეთი) |
| 2. ირინა იადკოუსკაია (ბელარუსი) |
| 3. ტატიანა ანდრიუშენკო (უკრაინა) |

კრივი. ინტერვიუ ზურაბ ტიბუასთან

# პეკინში ობიექტური მსაჯობა იქნება!

**საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებელი ქართული კრივის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მუდამ იყო მსაჯობა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამხდარან ჩვენი მოკრივეები არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლნი. შარშან კრივის საერთაშორისო ფედერაციის სათავეში მოვიდა ახალი პრეზიდენტი ჩინგ კუ ვუ, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, სამსაჯო კორპუსის ობიექტურობის პრობლემაც მოეგვარებინა.**

**როგორ მსაჯობას უნდა ველოდოთ პეკინის ოლიმპიადაზე? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ ავირჩიეთ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ზურაბ ტიბუა. ახლახან, ტიბუას პეკინის ოლიმპიადაზე მსაჯობის უფლება მიანიჭეს და იგი დამოუკიდებელი ქართული კრივის ისტორიაში გახდა პირველი მსაჯი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებს განსჯის. მსაჯობის გარდა, ტიბუა წარმატებული მოხელეცაა. იგი ფოთის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურში სპორტის განყოფილების უფროსია.**

**- თუ ელოდით პეკინში მიწვევას?**

- თავიდანვე გარკვეული იყო, რომ პეკინში უნდა დაეშვათ 34 მსაჯი, საიდანაც 3 ვაკანსია მასპინძლებს ჰქონდათ დაჯავშნული. ამდენად, პეკინში მოხვედრა იოლი არ იყო. რა თქმა უნდა, მქონდა საკუთარი თავის იმედი, მაგრამ



ზურაბ ტიბუა

მოწვევა გარკვეულწილად მაინც მოულოდნელი და სასიხარულო იყო.

შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, 72 მსაჯიდან იმ 25-ს შორის მოვხვდი, რომელიც ოლიმპიადაზე წასვლის კანდიდატი იყო. ამას მოჰყვა იტალიის სალიცენზიო ტურნირი, სადაც იმდენად მაღალი ქულები დამიწერეს, რომ მალევე გამომიგზავნეს ოლიმპიადის მოწვევა და ბოლო სალიცენზიო ტურნირზე, უკვე ოლიმპიური მსაჯის სტატუსით წავედი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ევროპელ მსაჯებს შორის სულ 14 ვაკანსია ჰქონდათ.

უსაზღვროდ გამიხარდა, რომ ბოლო სალიცენზიო ტურნირზე ჩვენმა მოკრივეებმა 2 საგზური მოიპოვეს. იქამდე ლიცენზია არ გვქონდა და ძალიან არ მინდოდა, რომ პეკინში ქართული კრივის ერთადერთი წარმომადგენელი ვყოფილიყავი.

**- დასამალი არ არის, რომ სამოყვარულო კრივში კორუფციაა. ჩვენი მოკრივეები არაერთხელ დაჩაგრულან ამის გამო. როგორც მსაჯი, როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს და გამოსავალს რაში ხედავთ?**

- საკმაოდ დიდი ხანია, რაც კრივში ვარ. 8 წელი მოკრივე ვიყავი, მერე კი მსაჯობას მოვკიდე ხელი. 1995 წელს მომენიჭა ევროპის კრივის ფედერაციის (ება), 1997 წელს კი კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) კატეგორიის მსაჯის წოდება. შესაბამისად, კულისებში კარგად ჩახედული ვარ.

არ არის დასამალი, რომ 2007 წლამდე, კრივში კორუფცია იყო და მსაჯები ხშირად სცოდავდნენ. თუმცა შარშან საერთაშორისო ფედერაციაში მოვიდა ახალი პრეზიდენტი ჩინგ კუ ვუ, რომელმაც არჩევისთანავე დაგვიბარა და გვითხრა, რომ კრივში იწყებოდა ახალი ერა. კუ ვუ და მისი გუნდი ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენი სახეობა მაქსიმალურად სუფთა გახდეს. ადრე ხშირად ხდებოდა ისე, რომ მსაჯები არ იყვნენ იზოლირებულები, იღებდნენ ქრთამს და ერთმანეთს ჟესტებით ანიშნებდნენ, ვის უნდა გაემარჯვა.

შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატიდან კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ახლა მსაჯობა გაცილებით ობიექტურია და კორუფცია მინიმუმამდე დავიდა.

შესაბამისად, ქართველ მოკრივეებსაც შეუმცირდათ ამ მხრივ პრობლემები.

**- თუმცა ლევან ღვამიჩავა მსოფლიო ჩემპიონატზეც დაჩაგრეს და პესკარის სალიცენზიო ტურნირზეც...**

- პესკარაში ლევანი ნაღდად დაჩაგრეს იტალიელთან და ამაზე თავად მასპინძლებიც არ დაობენ. იტალიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ფაჩინელიც კი აღშფოთდა ამით. უბრალოდ, ისე ხდებოდა, რომ მასპინძლები სამშობლოში ულიცენზიოდ რჩებოდნენ და რთული მდგომარეობიდან რომ გამომძვრალიყვნენ, მსაჯებს წააშველებინეს ხელი, რასაც ღვამიჩავა შეეწირა.

ისე, ამ ფაქტს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმა ოფიციალური საპროტესტო განცხადებებითა და სიტყვიერი შეხლა-შემოხლით დამთავრებული, ყველაფერი გააკეთა, რომ სიმართლე დაემტკიცებინა. მისი ზედმეტი აქტიურობა, შესაძლოა, დისკვალიფიკაციითაც დამთავრებულიყო და ამას აპირებდნენ კიდეც. თუმცა მერე აიბას შეფებმა სიმართლე რომ გაიგეს, მოგვიბოდიშეს. აიბას ალმასრულებელი დირექტორი ხო კიმი ბანკეტზე ახალკაცს მეგობრულად გადაეხვია და უთხრა, რომ ყველანაირი გაუგებრობა ამოწურული იყო.

ამის და ჩემი ზემოთ ნათქვამი სიტყვების დასტური იყო ის, რომ ბოლო სალიცენზიო ტურნირზე მშვენივრად იმსაჯეს.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, ვერ ვიტყვი, რომ იქ ღვამიჩავა დაიჩაგრა. იგი ბოლო რაუნდის წინ 5 ქულით იგებდა. არადა, როგორც წესი, თუკი მსაჯებს ვინმეს წაგება უნდათ, აქამდე არ მიჰყავთ საქმე - პირველი რაუნდიდანვე ჩაგრავენ, რათა ფსიქოლოგიურადაც გატეხონ და მარცხს თავიდანვე შეაგუონ. ღვამიჩავამ ჩიკაგოში წაგების მიზეზი ისევ საკუთარ თავში უნდა ეძებოს. ალბათ ნაადრევად ირწმუნა გამარჯვების და მოეშვა.

**- ანუ ოლიმპიადაზე ობიექტურ მსაჯობას უნდა ველოდოთ?**

- რა თქმა უნდა. პეკინშიც მსაჯები ყველასგან იზოლირებულები ვიქნებით, რათა ჩვენზე არავინ გამოვიდეს. ოლიმპიური სოფლიდან მოშორებით ვიცხოვრებთ სასტუმროში, სადაც საკრივო სამყაროდან არავინ იქნება. დარბაზშიც სასტიკად აკრძალული გვაქვს ვინმესთან ურთიერთობა. ჩვენს თანამემამულეებსაც კი ვერ ვუქომაგებთ ტრიბუნებიდან - მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ იზოლირებულ ოთახში ტელევიზორით ვუყუროთ.

**- პეკინამდე მოკრივეების მსგავსად, მსაჯებიც თუ გაივლით მოსამზადებელ ეტაპს?**

- რა თქმა უნდა. 23 მაისს, კუ ვუს სამშობლო ტაილანდში მისი სახელობის თასის გათამაშება იწყება, სადაც ყველა ოლიმპიური მსაჯი ვართ მიწვეული. ამას გარდა, რამდენიმე სემინარიც გვექნება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ პოსტსაბჭოთიდან ერთადერთი მსაჯი ვარ, რომელიც ინგლისურს სრულყოფილად ვფლობ. ამიტომაც სემინარებზე ხშირად მაკისრებენ რუსულენოვანი მსაჯებისთვის თარჯიმნობას.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ლაბაძემ ჩეხეთში წაგებით დაიწყო



ირაკლი ლაბაძე

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ღია პირველობაში ჩაება საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე**. ლაბაძეს ინდივიდუალურ ასპარეზზე 17 თვე არ უთამაშია. სამწუხაროდ, დაბრუნება ვერ გამოდგა სრულფასოვანი. ირაკლიმ მსოფლიოს 203-ე ჩოგან ჩეხ **მარტინ სლანართან** პირველი სეტი 1:6 წააგო, მეორეში ის 1:3-ს აგებდა, როცა შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. ლაბაძე 100-ათასიან ჩეხურ ტურნირს გამოეთიშა.

ATP-ის გუშინდელ რეიტინგში **ლადო ჩიხლაძე** მსოფლიოს 458-ე ჩოგანია. ლადოს 62 ქულა აქვს, მისი შედეგი ერთ კვირაში ერთი ადგილით გაუარესდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენებური უკვე შეუდგა ვარჯიშებს მცირე დატვირთვით. სხვები: 1224 (+1) **ნოდარ ითონიშვილი** – 4 ქულა, 1573 (-1) **გიორგი ჭანტურია** – 1, 1763 (+1) **გიორგი ხრიკაძე** – 1.

ქალთა რეიტინგში **მაკა ჩახნაშვილი** 188-ე ჩოგანია. მაკას 163 ქულა აქვს, მან ერთი საფეხურით დაიხია უკან. **ანა ტატიშვილმა** 10 ადგილი დაკარგა რეიტინგ-ლისტში, მას 85 ქულით 289-ე ადგილი უკავია. არ შეცვლილა **სოფიო შაფათავას** მდგომარეობა მსოფლიო კლასიფიკაციაში – სოფიო 59 ქულით მსოფლიოს 356-ე ჩოგანია. სხვები: 517 (-4) **თინათინ ყაველაშვილი** – 31 ქულა, 585 (-32) **სალომე დევიძე** – 23, 599 (-4) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 22, 603 (-3) **მანანა შაფაქიძე** – 22, 687 (+9) **სოფიო ქვაცაბაია** – 17, 820 (-6) **ეკა გორგოძე** – 10, 946 (-4) **სოფიო მელიქიშვილი** – 6. სოფიო ქვაცაბაიასთვის ეს კარიერის პიკია.

საფრანგეთის ქალაქ კან სურ მერში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია. საქართველოს პირველი ჩოგანი, 25 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (188) ტურნირის მეორე ჩოგანს, 26 წლის ფრანგ **კამილ პენს** ხვდებოდა. პინი მსოფლიოს 66-ე ჩოგანია და, ბუნებრივია, ამ წყვილის აშკარა ფავორიტიც ის იყო, თუმცა ფრანგმა ოპონენტმა ვერ შეძლო თამაშზე გამოსვლა და მაკა ჩახნაშვილი უბრძოლველად გავიდა ტურნირის მერვედფინალში.

ამერიკის ქალაქ შარლოტსვილში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი 50-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-7 ნომრად განთესეს 21 წლის **სალომე დევიძე**. სალომემ პირველ წრეში ბელარუს **ალექსანდრა მალიარჩიკოვას** (676) მოუგო – 6:0, 4:6, 7:5. მეორე წრეში სალომე ამერიკელ **ნიკოლ ლაიმბახს** (682) შეხვდება. ძირითად ბადეში თამაში გარანტირებული აქვს 18 წლის **ანა ტატიშვილს** (289), ანა მე-7 ნომრად განთესილ ამერიკელ **მონიკ ადამჩაკს** (165) ეთამაშება. დევიძე და ტატიშვილი წყვილთა თანრიგში სხვადასხვა დუეტში ითამაშებენ.

თურქულ ადანაში ანალოგიური ტურნირი (10 ათასი დოლარი) დაიწყო. ძირითად ბადეში მე-8 ნომრად განთესეს 19 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (687), რომელმაც პირველ წრეში რუსი **ანა მორგინა** გაანადგურა – 6:1, 6:1. პირველივე ეტაპიდან გავარდა 17 წლის **მარიამ კუპრეიშვილი**, რომელმაც ბულგარელ **ჰულია ველიევასთან** წააგო – 1:6, 2:6. მერვედფინალში ქვაცაბაიას ამერიკელი **ჯეიდ ჰოფერი** ელის. მარიამ კუპრეიშვილი ადანას ჯერ არ დამშვიდობებია, ის წყვილთა თანრიგის მეორე წრეშია გასული უკრაინელ **იანა შულაევასთან** დუეტში.

თურქეთის ქალაქ ანთალიაში 10-ათასიანი ტურნირის პირველივე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა 17 წლის **სერგი სიხარულიძე**, მას ბოსნიელმა **ზლატან კადრიჩმა** აჯობა – 2:6, 1:6.

17 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** ინდოეთშია, სადაც ქალაქ კოჩის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობს. მაგდა ურეიტინგო ჩოგბურთელია, ამიტომ მან ჯერ საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო თამაში, სადაც ჯერ ინდოელი **არტი ვენკატარამანი** დაამარცხა – 6:1, 6:0, შემდეგ მისი თანამემამულე **დიპტი სრივასტავა** – 6:1, 6:2. ძირითადი ბადის პირველ წრეში ოქრუაშვილი მე-4 ნომრად განთესილ, კიდევ ერთ მასპინძელ **სონალ პჰადკეს** (873) დაუპირისპირდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გორგოძე წინ მიიწევს

გუშინ, გამოქვეყნდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა (18 წლამდე) ახალი მსოფლიო კლასიფიკაცია. გოგონათა შორის მე-13 პოზიციაზეა **ოქსანა კალაშნიკოვა**, ოქსანა სექტემბრის მერე მხოლოდ დიდებში თამაშობს, თუმცა ჯერაც ქულათა დიდი მარაგი აქვს შერჩენილი – 670. სხვათა შორის, კალაშნიკოვა სულ რაღაც ორი საფეხურით ჩამორჩება მისსავე საუკეთესო შედეგს. გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ 16 წლის **ეკა გორგოძე**, რომელიც ერთი თვის წინათ ხუთასეულშიც არ იყო, ახლა კი მსოფლიოს 160-ე ჩოგანია ახალგაზრდებში, ერთ კვირაში მან 31 საფეხურით წაიწია წინ, გორგოძეს 218 ქულა დაუგროვდა. ათასეულში კიდევ ერთი ჩოგბურთელი გვყავს – 16 წლის **ანა ჯიქია** 36 ქულით 810-ე პოზიციაზეა. ბიჭების რეიტინგის პირველ ხუთასეულში ოთხი ჩვენებურია. 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 188 ქულით 194-ე პოზიციაზეა, დღეისთვის ეს საუკეთესო ქართული შედეგია. ერთ კვირაში 12 საფეხურით დაწინაურდა 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილი**, რომელიც 147 ქულით 257-ე პოზიციაზეა (მისი საუკეთესო შედეგი 36-ე ადგილია). 389-ე პოზიციაზეა ეროვნული ნაკრების წევრი **ნიკოლოზ ქურდაძე** – 91 ქულა, 485-ეა **გიორგი ხმიადაშვილი** – 68 ქულა. ათასეულში კიდევ ორი ჩვენებურია: **სერგი სიხარულიძე** (537) და ნაკრების კიდევ ერთი წევრი **რევაზ ოსაძე** (868). ამასთან, ევროპის ჩოგბურთის ასოციაცია აქვეყნებს 16-წლამდელთა რეიტინგს, გოგონათა შორის ქართველებიდან ყველაზე წინ **ნინო მებუკეა**, ის კონტინენტის 23-ე ჩოგანია თანატოლთა შორის, ბიჭებში **ბესიკ ამაშუკელი** 53-ე პოზიციაზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# სიტუაცია თითქმის უცვლელია

პლოვდივში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გუშინ, მერვე ტური გაიმართა. ვაჟთა შორის ვითარება არ შეცვლილა. ლიდერთა ჯგუფში თითქმის ყველა პარტია ყაიმით დასრულდა და ტრიომ – **სერგეი მოვსესიანმა, პაველ ტრეგუბოვმა** და **ემილ სუტოვსკიმ** ნახევარქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. ყაიმით დაასრულა თავისი პარტია **ლევან ფანცულაიამაც** და სამეულს კვლავ კვალში უდგას სხვა 13 მოჭადრაკესთან ერთად. დარჩენილ 3 ტურში სხვა ქართველი მოჭადრაკეები საპრიზო სამეულისთვის ველარ იბრძოლებენ.

ქალებში მერვე ტურამდე 8 ლიდერი იყო და ერთმანეთში თამაშობდა. მათგან სამმა გაიმარჯვა და 6.5 ქულით დაწინაურდა – ლიდერობენ შვედი **პია კრამლინგი** და ორი უკრაინელი – **კატერინა ლაჰნო** და **ანა უშენინა**. 6 ქულით კიდევ 4 მოჭადრაკეა – **ანა მუზიჩუკი, ალმირა სკრიპჩენო, ნატალია ჟუკოვა** და **ელენე დემბო**. მათ მოსდევს 14 მონაწილე 5.5 ქულით, რომელთა შორისაც ერთბაშად 5 ქართველია – **ნინო ბაციაშვილი, ნანა ძაგნიძე, სალომე მელია, ლელა ჯავახიშვილი** და **სოფიო გვეტაძე**.

ვაჟები. მერვე ტური. **ლევან ფანცულაია (2617)** – სერგეი ტივიაკოვი (ჰოლ, 2634) 0.5:0.5, **მიხეილ მჭედლიშვილი (2635)** – ვიქტორ ერდოში (უნგ, 2576) 0.5:0.5, **კონსტანტინე შანავა (2518)** – რობერტ კემპინსკი (პოლ, 2595) 0:1, **დავით ჯოჯუა (2463)** – იგორ კურნოსოვი (რუს, 2593) 0.5:0.5, ევგენი ტომაშევსკი (რუს, 2658) – **თორნიკე სანიკიძე (2458)** 0.5:0.5, სტანისლავ ნოვიკოვი (რუს, 2564) – **დავით მალალაშვილი (2462)** 0:1, მიჰაილ მარინი (რუმ, 2566) – **გიორგი მარგველაშვილი (2455)** 0.5:0.5, ფლორიან ჟენი (შვეი, 2550) – **ბაჩანა მორჩიაშვილი (2421)** 1:0, **მალხაზ სულაშვილი (2491)** - იური კუზუბოვი (უკრ, 2603) 0.5:0.5, გრჟეგოჟ გაევსკი (პოლ, 2601) – **დავით ლომსაძე (2394)** 1:0, კარსტენ რასმუსენი (დან, 2486) – **ივერი ჭილაძე (2384)** 0.5:0.5

### მეცხრე ტურში

3 ლიდერი 6.5 ქულით; ვლადიმირ ბაკლანი (უკრ, 2647) - **ლევან ფანცულაია (2617) 6**, იან ვერლე (ჰოლ, 2581) - **მიხეილ მჭედლიშვილი (2635) 5**, ალექსანდრ გალკინი (რუს, 2606) - **დავით ჯოჯუა (2463) 5, თორნიკე სანიკიძე (2458) 5** – ვიტალი გოლოდი (ისრ, 2606), **დავით მალალაშვილი (2462) 4.5** – რაინერ ბუმანი (გერ, 2566), ვლადიმირ ბელოვი (რუს, 2571) - **კონსტანტინე შანავა (2518) 4.5**, გეორგ მაიერი (გერ, 2560) - **მალხაზ სულაშვილი (2491) 4, გიორგი მარგველაშვილი (2455) 4** – ანდრეი ჟიგალკო (ბლრ, 2545), **ბაჩანა მორჩიაშვილი (2421) 3.5** – სტანისლავ ნოვიკოვი (რუს, 2564), **ივერი ჭილაძე (2384) 3** – ალექსანდრ მონევი (ბულ, 2038), **დავით ლომსაძე (2394) 2.5** – ნიკოლაოს გალოპულოსი (საბ, 2243)

ქალები. მერვე ტური. **ლელა ჯავახიშვილი (2466)** – **სალომე მელია (2413)** 0.5:0.5, ევა მოზერი (ავს, 2395) – **ნანა ძაგნიძე (2443)** 0.5:0.5, კორინა-იზაბელა პეპტანი (რუმ, 2415) – **სოფიო გვეტაძე (2350)** 0:1, **ნინო ბაციაშვილი (2305)** – მარია მუზიჩუკი (უკრ, 2387) 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი (2371)** – ირინა ზაკურდიაევა (რუს, 2296) 0.5:0.5, ვერა იურგენსი (გერ, 2302) – **მაია ლომინეიშვილი (2400)** 0:1, **სოფიო ნიკოლაძე (2249)** – იულია კოჩეტკოვა (რუს, 2316) 1:0, სანდუგაჩ შაიდულინა (რუს, 2298) – **მარიამ დანელია (2129)** 0.5:0.5, ეკატერინი ფახირიდუ (საბ, 2292) – **ანა გავაშელი (2191)** 0.5:0.5, **მერი ჟორჟოლიანი (2133)** – ნარგიზ უმუდოვა (აზე, 2222) 1:0, **ნაზი პაიკიძე (2347)** – მარგარიდა კოიმბრა (პორ, 2120) 0.5:0.5

### მეცხრე ტურში

3 ლიდერი 6.5 ქულით, 4 მონაწილე 6 ქულით; მონიკა სოცკო (პოლ, 2505) - **ნინო ბაციაშვილი (2305) 5.5, ნანა ძაგნიძე (2443) 5.5** - მარგარიტა ვოისკა (ბულ, 2339), **სალომე მელია (2413) 5.5** – ელინა დანიელიანი (სომ 2479), **სოფიო გვეტაძე (2350) 5.5** – ეკატერინა კოვალევსკაია (რუს, 2421), იოვანკა ჰოუსკა (ინგ, 2390) - **ლელა ჯავახიშვილი (2466) 5.5, მაია ლომინეიშვილი (2400) 5** – ზეინაბ მამედიაროვა (აზე, 2322), ირინა ვასილევიჩი (რუს, 2395) - **სოფიო ნიკოლაძე (2249) 5**, მარია კომიაგინა (რუს, 2285) - **სოფიკო ხუხაშვილი (2371) 4.5, მარიამ დანელია (2129) 4** – ვიქტორია ტარასოვა (რუს, 2276), ანჯელია სტოიანოვიჩი (სლკ, 2346) - **ანა გავაშელი (2191) 3.5**, იულია-იონელა იონიცა (რუმ, 2278) - **მერი ჟორჟოლიანი (2133) 3.5**, გეორგია გრაპსა (საბ, 2098) - **ნაზი პაიკიძე (2347) 2.5**

რაგბი. ლეგიონერები

# თავში ქართველები არიან



გია ლაბაძე, ტულონი (მარჯვნივ)

**საფრანგეთის** ჩემპიონატის პირველ დივიზიონში საქმე კულმინაციისკენ მიდის. აშკარაა, რომ ყველაზე უკეთეს ფორმაში ქართველ მორაგბეთა გუნდი „კლერმონია".

მე-19 ტურში **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** გუნდმა სტუმრად დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა დივიზიონიდან ფაქტობრივად, გავარდნილ **მამუკა მაგრაქველიძის** „ოშთან" - 36:15. ზირაქაშვილი განაცხადში არ იყო. შველიძე თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ დამარცხდა „პერპინიანთან" **დავით ხინჩაგაშვილის** „ბრივი" 7:16. ქართველი მორაგბე ზედიზედ მეოთხე მატჩია, თავიდან ბოლომდე თამაშობს. ფრეს დასჯერდა საკუთარ მოედანზე „ბურგუენთან" **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი" - 19:19. კოპალიანი თამაშში 68 წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე ვერას გახდა ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „სტად ფრანსესთან" **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „მონპელიე" -9:12. ქართველი მორაგბეები „ბორჯღალოსანთა" რიგებში ირჯებოდნენ. უშუალო კონკურენტ „ალბის" შინ მოუგო **ირაკლი გიორგაძის** „დაქსმა" 12:9, რითაც დაქსელებს დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შანსი გუაჩნდათ. გიორგაძე ტრავმირებულია.

**აქვსენტი გიორგაძის** „კასტრისა" და „ტულუზის" შეხვედრა 7 მაისისთვის გადაიდო, რადგან ტულუზელებმა ჰაინეკენის თასის ნახევარფინალში იასპარეზეს.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XIX ტური. **მონპელიე-სტად ფრანსე 9:12, ბაიონი-ბურგუენი 19:19, ოში-კლერმონი 15:36, დაქსიალბი 12:9, მონტობანი-ბიარიცი 19:13, ბრივი-პერპინიანი 7:16, კასტრი-ტულუზი (გადაიდო).**

**1.კლერმონი-76 ქულა, 2.ტულუზი-66,** 3.სტად ფრანსე-61, 4.პერპინიანი-57; 5.ბიარიცი-53, **6.კასტრი-46,** 7.მონტობანი-45, **8.მონპელიე-45,** 9.ბურგუენი-38, **10.ბრივი-36, 11.ბაიონი-35,** 12.ალბი-32, **13.დაქსი-26, 14.ოში-14.**

მეორე დივიზიონის ლიდერმა , **გია ლაბაძის** "ტულონმა" გასვლითი შეხვედრა წააგო "ლა როშელთან" - 13:18. ლაბაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო. მარცხი იწვნია მეორეადგილოსანმა, **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანმაც", სტუმრად დავით აშვეთიას "ოიონაქსთან" - 6:31. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, აშვეთია თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო.

**ანტონ ფეიქრიშვილის** "აჟენმა" შინ დაამარცხა **მერაბ კვირიკაშვილის** "პო" 45:10. ანტონი ტრავმირებულია, მეკომ საქართველოს ნაკრებში ითამაშა. მოიგო **მალხაზ ურჯუკაშვილის** "ორიაკმაც", ამჯერად შინ აუტსაიდერ "ბლანიაკთან" 43:34. მახო ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა. გასვლით შეხვედრაში დამარცხდა"მეტრო რასინგთან" **გიორგი კუთარაშვილის** "ნარბონი" - 15:39. კუთარაშვილი განაცხადში არ იყო.

ძალზედ საჭირო გამარჯვება მოიპოვა "ლიონთან" საშინაო შეხვედრაში **იგორ ბარბაქაძის** "ტარბმა" და ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "ლიმოჟს" 7 ქულით დაშორდა. ბარბაქაძე განაცხადში არ იყო. "ლიმოჟმა" კი თავის მხრივ საკუთარ მოედანზე წააგო **ლევან ლვაბერიძის** "გრენობლთან". ალპელთა შემადგენლობაში ღვაბერიძე ისევ არ იყო.

II დივიზიონი. XXV ტური: **აჟენი-პო 45:10, ოიონაქსი-მონ დე მარსანი 31:6, ბორდო-ბეზიე 25:13, მეტრო რასინგი-ნარბონი 39:15, ტარბი-ლიონი 20:13, ლიმოჟი-გრენობლი 12:19, ორიაკი-ბლანიაკი 43:34, ლა როშელი-ტულონი 18:13.**

**1.ტულონი-87 ქულა;** 2.მეტრო რასინგი-80, **3.მონ დე მარსანი-79,** 4.ბეზიე-73, 5.ლა როშელი-68; **6.აჟენი-64, 7.გრენობლი-63,** 8.ლიონი-62, **9.ორიაკი-61,** 10.ოიონაქსი-55, **11.პო-54, 12.ნარბონი-49,** 13.ბორდო-47, **14.ტარბი-35,** 15.ლიმოჟი-27, 16.ბლანიაკი-26.

პლეი ოფის პირველი შეხვედრები გაიმართა ფედერალ 1 დივიზიონში. **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანმა" მეოთხედფინალში გასასვლელ მატჩში 15:16 წააგო "ვალანსთან" და გათამაშებას გამოეთიშა. ეს უკანასკნელი მეოთხედფინალში **თედო ზიბზიბაძის** "პერიგოს" დაუპირისპირდება. **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** "ბობინის" მეტოქე იქნება "ექსი", რომელმაც 6:0 მოუგო "მარმანდს".

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი

# ქართველი ვარ და არავის არაფერს შევარჩენ!





ზაზა ფაჩულიამ კევინ გარნეტს იდაყვის ჩარტყმა არ შეარჩინა

NBA-ს პლეი ოფში რის ვაი-ვაგლახით შესულმა "ატლანტა ჰოქსმა" გუშინ საკალათბურთო საზოგადოება გააოცა - "ბოსტონ სელტიქსი" შინ მეორედ დაამარცხა (97:92) და მერვედფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 2:2.

ამერიკელები არანაკლებ გააოგნა **ზაზა ფაჩულიას** მოქმედებამ. ქართველმა ცენტრმა **კევინ გარნეტს** იდაყვის ჩარტყმა არ შეარჩინა და, როგორც "ატლანტას" ერთ-ერთი ქომაგი წერს, კევინს ვალი **ზინედინ ზიდანის** ილეთით დაუბრუნა.

ზაზასა და გარნეტის ჩხუბს ცალკე სტატია მიეძღვნა ატლანტურ გაზეთ "ჟურნალ კონსტიტუშენში":

"მეოთხე მატჩამდე "ჰოქსსა" და "სელტიქსს" თანაბარ გუნდებად არავინ თვლიდა, მაგრამ ბოლო თამაშმა ბევრს აზრი შეაცვლევინა. ზაზა ფაჩულიასა და კევინ გარნეტის შეხლა-შემოხლამაც ნათლად დაგვანახა, რომ ჯორჯიელები არაფრის დამთმობები არ არიან.

დიდ შესვენებამდე 7:24 წუთით ადრე "ბოსტონის" ფარზე ბურთისთვის ბრძოლისას გარნეტმა ზაზას მკერდში იდაყვი უთავაზა. ქართველმა ცენტრმა საპასუხოდ შეძახილითა და თავით გაიწია მეტოქისკენ. ისინი თავებმიბჯენილები მანამ იდგნენ, სანამ მოედანზე მწვრთნელები არ შეცვივდნენ და მხარეები არ დააშოშმინეს. გაცხარებული ფაჩულია მოედნიდან მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** გაიყვანა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მწვრთნელი შეგირდზე არათუ გაბრაზებული, არამედ მისით კმაყოფილი იყო.

ვიდრე ზაზა და გარნეტი საქმეს არჩევდნენ, ატლანტელმა **ჯო ჯონსონმა** და ბოსტონელმა **სემ კასელმა** ორჯერ მოასწრეს წაკინკლავება. შესაბამისად, ფაჩულიასა და გარნეტის დარად მათაც ტექნიკური შენიშვნები მიიღეს.

ამ ინციდენტს მატჩის შემდეგ ზაზა ფაჩულია ასე გამოეხმაურა: - *"ყველამ ვიცით, რომ გარნეტი დიდი კალათბურთელია. ლიგისთვის ბევრი გაუკეთებია და მომავალში დიდების დარბაზშიც უნდა მოხვდეს, მაგრამ ყოველივე ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, როცა მოედანზე მის წინააღმდეგ მიწევს თამაში. არაფრის დათმობას არც მე ვაპირებ და არც "ჰოქსი". სერიაში შეიძლება საბოლოოდ დავმარცხდეთ, მაგრამ "ბოსტონს" წინ დიდი ბრძოლა ელის".*

გარნეტთან დაპირისპირების თემაზე ზაზამ მატჩისშემდგომ ინტერვიუში საინტერესო პასუხი გასცა ამერიკელ ჟურნალისტს. ეს შეგიძლიათ ინტერვიუში იხილოთ, მანამდე "ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნებულ გულშემატკივართა რეაქციებს გავეცნოთ:

*ბრედლი: "შეიძლება ზაზა ფაჩულია ლიგაში ბევრს არაფერს აკეთებს, მაგრამ იგი დღეიდან ჩემი საყვარელი კალათბურთელია."*

*ჯაკეტი: "მთელი სეზონის განმავლობაში ზაზა არ მომწონდა, მაგრამ მისი მოქმედებით მეც ვამაყობ - კევინ გარნეტის შეშინება ყველას არ შეუძლია."*

*ჯორჯი: " იმის თქმა, რომ ფაჩულია ლიგაში არაფერს წარმოადგენს, ლამაზი არ არის. იგი ურიგო კალათბურთელი არ გახლავთ... არც გარნეტია მსოფლიოში საუკეთესო, თუნდაც იმიტომ, რომ მას კარიერაში ღირებული არაფერი მოუგია."*

*გრანტერი: "დაინახეთ? - ზაზამ კევინი ერთი შეტევით ქალად აქცია..."*

ამ საუბრებს თავად ფაჩულიაც კითხულობდა და ბოლოს ქომაგთა შორის საკუთარი აზრიც დააფიქსირა:

***"მინდა აღვნიშნო, რომ ის, რაც გავაკეთე, თქვენთვისა და გუნდისთვის ჩავიდინე. და კევინ გარნეტი... იგი მიუწვდომელი ნამდვილად აღარაა."***

"ატლანტას" გასახდელში ზაზას შესახებ კომენტარი გააკეთა მისმა თანაგუნდელმა **ჯოშ ჩილდრესმა**: *"ფაჩულიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გუნდს დახმარებოდა. მისი საქციელი დასაფასებელია."*

უშუალოდ "ბოსტონთან" მატჩზე და "ჰოქსის" შანსებზე ზაზა ფაჩულიამაც ისაუბრა.

**- კევინ გარნეტთან დაპირისპირებას როგორ შეაფასებთ?**

- იგი NBA-ს ვარსკვლავია, თავის მწვანე ხაზზეა და "ბოსტონისთვის" დიდ ძალას წარმოადგენს. მეც მეფარე ვარ და როცა მოედანზე ვარ, ჩემი ფუნქცია გარნეტის განეიტრალებაა. იმ ეპიზოდშიც მხოლოდ გუნდის დახმარებას ვცდილობდი.

**- ბევრი არ მოელოდა, რომ კევინს მის მოქმედებას არ შეარჩენდით...**

- მე ჯორჯიელი ვარ, საქართველოდან! ესაა კითხვის პასუხი.

**- მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებზე რას იტყვით?**

- მეოთხე მატჩმა გვიჩვენა, რომ "ბოსტონი" ფავორიტი არ არის. სერიაში ანგარიშია - 2:2. მომავალ მატჩებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ყველაფერი თავიდან იწყება. შეიძლება მომდევნო ეტაპზე მაინც "სელტიქსი" გავიდეს, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დავუთმობთ.

**ატლანტა-ბოსტონი 102:93**

32:26, 24:30, 28:18, 18:19

ატლანტა: ბიბი (12ქ, 8პ), ჯონსონი (23ქ), ჰორფორდი (17ქ, 14მ), სმიტი (27ქ), მ. უილიამსი (13ქ), ჩილდრესი (6ქ), ფაჩულია (14 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა, 3 შეცდომა, 3 ფოლი), ლოუ, ჯონსი, უესტი

ბოსტონი: ალენი (13ქ), რონდო (10ქ), პერკინსი (10ქ), გარნეტი (32ქ, 10მ), პირსი (17ქ), პოუსი (7ქ), დევისი (2ქ), კასელი (2ქ)

**ატლანტა-ბოსტონი 97:92**

29:24, 22:24, 14:27, 32:17

ატლანტა: ბიბი (18ქ), ჯონსონი (35ქ), ჰორფორდი (4ქ, 13მ), სმიტი (28ქ), მ. უილიამსი (8ქ), ჩილდრესი (4ქ), ფაჩულია (11 წუთი, 2 მოხსნა, 3 ფოლი), ლოუ, ჯონსი, უესტი

ბოსტონი: ალენი (21ქ), რონდო (14ქ, 12პ), პერკინსი (6ქ), გარნეტი (20ქ, 9მ), პირსი (18ქ), პოუე (3ქ), პოუსი (10ქ), დევისი, კასელი

მომდევნო მატჩი: ბოსტონი-ატლანტა (30 აპრილი). სერია 4 მოგებამდეა

**სერიის ანგარიში 2:2**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი. ლეგიონერი

## მეორე ბუნდესლიგას მიუახლოვდა

გერმანულ სახელბურთო ბუნდესლიგაში, დაქვეითების კიდევ უფრო რეალური კანდიდატი გახდა **სერგო დათუკაშვილის** "ლიუბეკე". ჩვენებურის კლუბი ამჯერად "რაინ-ნეკარ-ლოვენთან" დამარცხდა (24:27) და 18-გუნდიან ლიგაში მე-17 ადგილამდე დაეშვა. სეზონის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე, "ლიუბეკე" გავარდნის რეალური კანდიდატია. იგი პლეი ოფის ზონაში მყოფ "მინდენს" ერთი ქულით ჩამორჩება, ხოლო სამშვიდობო პოზიციაზე (მე-15 საფეხური) მოკალათებულ "ესენამდე" 2 ქულა აშორებს. სერგო დათუკაშვილმა "რაინის ლომებს" 4 გოლი გაუტანა. ამას გარდა, იგი ერთხელ 2 წუთით გააძევეს.

**კობა ხატისაშვილი**

## ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

ქუთაისის სპორტის სასახლეში დაიწყო ახალგაზრდა ხელბურთელ ვაჟთა შორის საქართველოს თასის გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობს 1990-91 წლებში დაბადებულ ვაჟთა 8 ქალაქის 8 გუნდი. გუშინ გაიმართა მეოთხედფინალური მატჩები, რომლებიც ასეთი ანგარიშებით დასრულდა: სამტრედია - ყვარელი 36:32, ფოთი - ქუთაისი 33:31, გორი - ბათუმი 28:34, თელავი - თბილისი 12:46

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: სამტრედია – ბათუმი, ფოთი – თბილისი. დანარჩენი გუნდები მეხუთე-მერვე ადგილებისათვის იბრძოლებენ.

როგორც საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გვაცნობა, მომავალი წლიდან დაგეგმილია ამ შეჯიბრების საერთაშორისო ტურნირად გადაქცევა – მას საქართველოს თასის ღია გათამაშება დაერქმება.

**კობა ხატისაშვილი**

პროფესიული კრივი

## დაუმარცხებელმა ქართველმა ოლიმპიურ ჩემპიონთან წააგო

პროფესიონალმა მოკრივემ, მძიმეწონოსანმა **მამუკა ჯიქურაშვილმა** თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში სარეიტინგო ბრძოლა გამართა. აქამდე დაუმარცხებელი ჯიქურაშვილი კუბელმა, სამგზის მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოდლანიერ სოლისმა** წააქცია. ჯერ კიდევ პირველ რაუნდში სოლისმა ჯიქურაშვილი ნოკდაუნში გაგზავნა, მეორეში კი კუბელმა ქართველი უკვე ნოკაუტში ჩააგდო. აქამდე ჯიქურაშვილს პროფესიულ რინგზე 20 ორთაბრძოლიდან 20 ჰქონდა მოგებული, აქედან 14 - ნოკაუტით. ოდლანიერ სოლისის პროფესიული რეკორდი უფრო მოკრძალებული იყო – რვიდან რვა გამარჯვება, ხუთი ნოკაუტით. აწონვისას, სადაც კუბელი ქართველზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, სოლისმა საკმაოდ მკვახე განცხადება გააკეთა, თუმცა, სამწუხაროდ, მან თავისი ნათქვამი აასრულა: *„ერთ-ერთი ჩვენგანის წარუმატებელი სერია დასრულდება. დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება ჩემი სერია. არ მაინტერესებს, ვის ვებრძვი და როგორი რეკორდი აქვს მეტოქეს. ყველას გავანადგურებ, ვინც მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე წინ დამიდგება".*

ბრძოლის მერე თურქმა პრომოუთერმა **აჰმეთ იონერმა** ცაში აიყვანა ქებით სოლისი: *„ძალიან ძლიერ მეტოქეს ისე იოლად გაუსწორდა, რომ დარწმუნებული ვარ, მალე მას ვერავინ აჯობებს. სოლისი ადამიანი-მანქანაა, ძალიან ძლიერი და მობილური".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გამარჯვება ოდლანიერ სოლისმა, მარჯვნივ მამუკა ჯიქურაშვილი

გამოფენა

## დეპარტამენტ-ალგორითმის გათვლა

ბოლო ხანებში სულ უფრო ფართოვდება სპორტის სასიკეთოდ ცალკეულ ფირმებთან თანამშრომლობა, რასაც სტიმულს აძლევს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

დეპარტამენტი და "ელ ჯის" ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია "ალგორითმი" 9, 10 და 11 მაისს, გალერეა "მუზაში" აწყობენ სპორტულ ფოტოკონკურსს, რომლის გენერალური სპონსორია "ელ ჯი". გუშინ, კონკურსისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ, როგორც პროფესიონალებს, ისე მოყვარულებს. ნამუშევრების წარდგენა შეიძლება დღეიდან 5 მაისამდე, დეპარტამენტის პრესსამსახურში, 12-დან 18 საათამდე. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება.

პრიზები სოლიდურია.

კონკურსის მიზანია, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა, სპორტული ფოტოჟურნალისტიკის წახალისება და საუკეთესო ნამუშევრების გამოვლენა.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ახალი ამბები

# ფედერერი ჩინურ ჩოგბურთს დაეხმარება

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა კომპანია "დაიმლერის" ჩინურ წარმომადგენლობასთან. შეთანხმების თანახმად, შვეიცარიელი ვარსკვლავი ჩინეთს იუნიორთა საჩოგბურთო პროგრამის რეალიზაციაში დაეხმარება. ამ პროგრამას "მერსედეს-ბენცი" ჩინეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან ერთად ახორციელებს.

*"ყოველთვის სასიამოვნოა ისეთ ცნობილ ბრენდებთან ერთად მუშაობა, როგორიც არის "მერსედეს-ბენცი". მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როცა მათი ბიზნესისთვის დახმარების გაწევა შემეძლება, მით უმეტეს, რომ საკითხი ჩინეთში ჩვენი სპორტის სახეობის განვითარებას ეხება",* - აცხადებს ფედერერი.

**გია თვალაბეიშვილი**

# ნაიკითხეთ ჩოგბურთის ისტორია

40 წლის წინათ, 1968 წლის 22 აპრილს ჩოგბურთში ახალი, ე. წ. "ღია ერა" დაიწყო. ინგლისის ქალაქ ბორნმუთში, West Hants Lawn Tennis Club-ის კორტებზე გაიმართა ტურნირი, სახელწოდებით - British Hard Court Championships. ეს იყო ჩოგბურთის ისტორიაში პირველი შეჯიბრება, რომელშიც პროფესიონალმა ჩოგბურთელებმა მოყვარულებთან ერთად ითამაშეს. ამ მოვლენას დაუკავშირდა ჩოგბურთზე ახალი წიგნის გამოსვლა.

ჩოგბურთის დიდების დარბაზის წევრმა, მწერალმა და სპორტის ამ სახეობის ისტორიკოსმა **ბად კოლინზმა** თავის ახალ წიგნში ("ბად კოლინზის საჩოგბურთო ისტორია") "ღია ერის" დასაწყისის პირველი, ისტორიული დღეები აღწერა. წიგნი გამომცემლობა New Chapter Press-მა დაბეჭდა. ერთი ეგზემპლარის ფასი 35.95 დოლარია.

წიგნი გვახსენებს, რომ 39 წლის **პანჩო გონსალესი** გახდა პირველი პროფესიონალი, ვინც მოყვარულთან შეხვედრა წააგო - ეს მოხდა 24 წლის ბრიტანელ **მარკ კოქსთან** მატჩში. ამის შემდეგ, იმ ისტორიულ ტურნირზე კოქსმა უიმბლდონის ორგზის ჩემპიონს, **როი ემერსონსაც** მოუგო, ნახევარფინალში კი, ლეგენდარულ **როდ ლეივერთან** დამარცხდა, რომელმაც თავის მხრივ, ფინალში **კენ როზუოლთან** წააგო. მთავარი პრიზის მფლობელმა 2 400 დოლარი მიიღო, ფინალისტმა - 1 200 დოლარი.

პარალელურად ბორნმუთის კორტებზე ქალთა ტურნირიც გაიმართა, სადაც ინგლისელმა **ვირჯინია უეიდმა** გაიმარჯვა, მაგრამ მოყვარულის სტატუსის გამო, მან უარი თქვა 720 დოლარის მიღებაზე.

"ბად კოლინზის ჩოგბურთის ისტორია" აშშ-ის, კანადისა და ბრიტანეთის წიგნის მაღაზიებში იყიდება. მისი შეძენა ინტერნეტითაც შეიძლება.

**გია თვალაბეიშვილი**

## ტურნირები

**ATP**

**BMW Open**

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო

**I წრე**

**პოლ-ანრი მატიო (საფ, 1)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 6:3, 6:3; **ანდრეას სეპი (იტა, 6)**-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:3, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 8)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:4, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-არნო კლემანი (საფ) 6:3, 6:1; **სიმონე ბოლელი (იტა)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:4, 6:2; **კრისტოფ ვლიეგენი (ბელ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 7:6 (3), 6:3.

**Open Sabadell Atlantico**

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 888 000 ევრო

**I წრე**

**გილერმო კანიასი (არგ, 9)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:1, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 13) 6:3, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)**-ხოსე ანტონიო სანჩეს დე ლუნა (ესპ) 6:3, 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 15)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:4, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:7(2), 6:4, 6:2; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-მაქს მირნი (ბლრ) 6:2, 6:2; **მარკუშ დანიელი (ბრა)**-ივან ნავარო პასტორი (ესპ) 6:1, 6:4; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:1, 6:0; **გაბრიელ ტრუხილო-სოლერი (ესპ)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:4, 4:6, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ივო მინარი (ჩეხ) 3:1 მინარის უარი; **დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპ)**-სანტიაგო ვენტურა (ესპ) 6:2, 6:1; **იური შჩუკინი (ყაზ)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:2; **აგუსტინ კალერი (არგ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:1, 6:3; **დენის გრემელმაირი (გერ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 7:6(7), 2:1 რამირეს იდალგოს უარი.

**WTA**

**ECM Prague Open**

პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 145 000 ევრო

**I წრე**

**კაია კანეპი (ესტ, 8)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 7:5, 6:0; **ტატიანა პუტჩეკი (ბლრ)**-ეკატერინაძეჰალევიჩი (ბლრ) 6:1, 4:6, 7:5; **რობერტა ვინჩი (იტა)**-კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ) 6:2, 6:0.

**Grand Prix De SAR**

ფესი (მაროკო). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 145 000 ევრო

**I წრე**

**მორანა კრისტეს (რუმ, 7)**-მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელ) 2:6, 6:3, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 8)**-ანდრეია კლეპაჩი (სლოვენ) 6:2, 6:3; **ოლგა სავჩუკი (უკრ)**-ენ კრემერი (ლუქ) 4:6, 6:3, 6:0; **სესილ კარატანჩევა (ბულ)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 7:5, 6:2.

## ავტოსპორტი. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი

**V ეტაპი. იორდანიის რალი**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - 4:02.47,9; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +1.15,7; 3. **კრის ატკინსონი** (ბრიტანეთი, "სუბარუ) - +4.59,5; 4. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - +7.35,8; 5. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +10.41,7; 6. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, "ფორდი") - +11.22,2; 7. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - +12.15,6; 8. **ჯიჯი გალი** (იტალია, "ფორდი") - +12.24,4.

საერთო ჩათვლა: 1. **მიკო ჰირვონენი** - 35 ქულა; 1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 30; 3. **ატკინსონი** - 28; 4. **იარი-მატი ლატვალა** - 18; 5. **დანიელ სორდო** - 17; 6. **ჯიჯი გალი** - 12; 7-8. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ"), **ჰენინგი სოლბერგი** - 9; 9. **ვილაგრა** - 8; 10. **მეტიუ უილსონი** - 7.

კონსტრუქტორთა ჩათვლა: 1. **ფორდი** - 57 ქულა; 2. **სიტროენი** - 50; 3. **სუბარუ** - 39; 4. **სტობარტ-ფორდი** - 29.

## ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ფილადელფია (6)-მონრეალი (1) 3:2**

**0:0, 3:0, 0:2**

**გოლები:** 1:0 აპშოლი-2 (ლუპული-3), 2:0 მ. რიჩარდსი-3, 3:0 უმბერგერი-5 (ჯ. კარტერი-2, ქობურნი-5), 3:1 პლეკანეცი-2 (ლატენდრესი-1, ს. კოსტიცინი-5), 3:2 ს. კოივუ-2 (მარკოვი-3, ჰიგინსი-2).

**სერია: 2:1**

მძლეოსნობა. ვარსკვლავი

# პაუელი დაშავდა



პაუელს ტრავმები არ ელევა

ასმეტრზე სპრინტში მამაკაცებს შორის მსოფლიოს რეკორდსმენი, იამაიკელი **ასაფა პაუელი** ივნისის ბოლომდე ვერცერთ ტურნირზე ვერ იასპარეზებს. მისი მენეჯერის თქმით, პაუელს მკერდის კუნთი აქვს დაზიანებული, რაც სრული დატვირთვით ვარჯიშის საშუალებას არ აძლევს. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში, ტურნირებზე მისი მონაწილეობა გამორიცხულია.

ყოველივეს მიუხედავად, პაუელი პეკინის ოლიმპიადისთვის მზადებას მაინც აგრძელებს და იმედოვნებს, რომ იქ მსოფლიოს ამერიკელ ჩემპიონთან, **ტაისონ გეისთან** პაექრობაში გაარკვევს პლანეტის საუკეთესო სპრინტერის ვინაობას.

*"მკერდის კუნთის ტრავმის გამო, მას ტურნირებზე გამოსვლისგან თავის შეკავება მოუწევს, თუმცა ვფიქრობთ, რომ ოლიმპიადისთვის მზადების პროცესში, ეს უკეთესიცაა, რადგან ის მთელ თავის ყურადღებას ვარჯიშზე გადაიტანს და პეკინისთვის უკეთ მომზადებას შეძლებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ივნისის ბოლომდე ვერსად იასპარეზებს",* - ამბობს პაუელის მწვრთნელი **პოლ დოილი**.

ამგვარად, პაუელი ვერ შეძლებს ისეთ პრესტიჟულ ტურნირებზე გამოსვლას, როგორებიცაა დოჰას (ყატარი), ოსლოსა (ნორვეგია) და იუჯინის (აშშ, შტატი ორეგონი) ტურნირები. მოსალოდნელია, რომ იამაიკელი სუპერსპრინტერი ტრავმის შემდეგ პირველად იასპარეზებს მისი ქვეყნის ჩემპიონატზე, რომელიც იმავდროულად, ოლიმპიური შესარჩევი ტურნირიცაა.

პაუელმა მკერდის ტრავმა იამაიკაში მიიღო, როცა სიმძიმეების აწევაში ვარჯიშობდა. ამის გამო, მან ვერ შეძლო კალიფორნიისა და ფილადელფიის ტურნირებზე გამოსვლა. თავიდან ის ფიქრობდა, რომ ტრავმას მალე მოიშუშებდა და სეზონს დოჰაში დაიწყებდა, მაგრამ ტკივილმა არ გაიარა, რის გამოც ასაფამ გეგმა შეცვალა.

*"ასაფა გაწბილებულია. მას უყვარს ტურნირებზე გამოსვლა, მაგრამ კარგად ესმის, რომ ამ სეზონში მთავარი ოლიმპიადისთვის კარგად მომზადებაა. პრინციპში შესაძლებელია, რომ ყატარსა და ნორვეგიაში იასპარეზოს, მაგრამ ეს სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული, მას კი არ სურს, რომ ოლიმპიადაზე გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ნელი სირბილის დროს მას ტრავმა არ აწუხებს, მაგრამ სისწრაფის მომატებისთანავე, ტკივილი ძლიერდება, რადგან ამ დროს, ხელებზე დატვირთვა მნიშვნელოვნად იზრდება. მოკლედ, სანამ ტრავმას ბოლომდე მოიშუშებს, ტურნირებზე მისი გამოსვლა რეკომენდებული არ არის",* - ამბობს დოილი.

აღნიშნული ტრავმა პაუელისთვის ამ სეზონში მეორეა. პირველად ის ორი თვის წინ, შინ დაშავდა, როცა კიბეებზე ადიოდა. მაშინ მან მუხლი გადაიყვლიფა, რამაც სეზონისთვის მზადების პროცესი შეუფერხა. ამ უმნიშვნელო ტრავმის გამო, მან ვერ იასპარეზა სიდნეის ტურნირზე. მოგვიანებით, ის მელბურნში გამოვიდა, სადაც ასი მეტრი 10.04 წამში გაირბინა.

შეგახსენებთ, რომ შარშან, ოსაკაში (იაპონია) ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, პაუელმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ფინალურ გარბენში, ზედმეტი ნერვიულობის გამო, მან ცუდი სტარტი აიღო და ტაისონ გეისთან პაექრობა აშკარად დათმო. სამაგიეროდ, ორი კვირის შემდეგ, იტალიის ქალაქ რიეტიში ასპარეზობისას, ასი მეტრი ფანტასტიკურ დროში, 9.74 წამში გაირბინა. უფრო მეტიც, ასპარეზობის შემდეგ განაცხადა, რომ ყველაზე პრესტიჟული სპრინტერული დისტანციის გარბენა 9.70 წამზე ნაკლებშიც შეუძლია. თუმცა იამაიკელი სპრინტერი არ მალავს, რომ ოლიმპიადაზე რეკორდის დამყარებას, ოლიმპიური ოქროს მედლის აღება ურჩევნია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ველოსპორტი. კლასიკური რბოლა

# ვალვერდეს მეორე ლიეჟური ტრიუმფი



ვალვერდემ ლიეჟში მეორედ გაიმარჯვა

მეტად დაძაბული და საინტერესო ფინიშით აღინიშნა პრესტიჟული კლასიკური რბოლის, ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის ბოლო მონაკვეთი, რომელზეც, საფინიშო სპურტში, ესპანელმა **ალეხანდრო ვალვერდემ** უკან ჩამოიტოვა იტალიელი **დავიდე რებელინი** და ლუქსემბურგელი **ფრანკ შლეკი** და ბოლო სამ სეზონში მესამედ გახდა ამ ურთულესი, სამთო რბოლის გამარჯვებული.

ამ სამეულმა და მათთან ერთად, ფრანკ შლეკის ძმამ, **ენდი შლეკმა** პელოტონი მაშინ ჩამოიტოვეს, როცა ფინიშამდე ჯერ კიდევ ოცი კილომეტრი იყო დარჩენილი. მოგვიანებით, სამთო მონაკვეთ კოტ დე სენ ნიკოლაზე, დაწინაურებულებს ენდი შლეკი ჩამორჩა. კარგა ხანს, ფრანკ შლეკი ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ვალვერდემ ბოლომდე შემოინახა ძალები და როცა გადამწყვეტი მომენტი დადგა, სწორედ მაშინ დაიწყო შეტევა.

*"თქმა არ უნდა, ამ რბოლაში ფრანკი ყველაზე ძლიერი იყო, მე და რებელინი კი უსწრაფესები ვიყავით. ორი წლის წინათ, როცა ეს რბოლა მოვიგე, დავრწმუნდი, რომ აქ მთავარი ძალების გაფრთხილება და ბოლო მონაკვეთისთვის შემონახვაა. ჩვენი გუნდის დირექტორი და თანაგუნდელები რბოლის განმავლობაში, მუდმივად მახსენებდნენ, რომ საჭმელი უნდა მიმეღო. აქ რომ პირველად ვიასპარეზე, მაშინ ჭამაზე არც ვფიქრობდი, რამაც ცუდი სამსახური გამიწია. მაშინ ფინიშამდე მისული არ ვიყავი, რომ ფეხებში სპაზმები დამეწყო. ამჯერად ეს მწარე გამოცდილება გავითვალისწინე. თანაც, უკეთაც ვიყავი მომზადებული",* - განაცხადა 28 წლის ვალვერდემ, ვინც ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის ერთადერთი ესპანელი ჩემპიონია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამ სეზონში ვალვერდეს ბელგიურ რბოლაში ბადალი არ ჰყავს. პირველად მან ის 2006 წელს მოიგო, შარშან კი მეორე ადგილი დაიკავა. მეორე ტრიუმფის შემდეგ კი განაცხადა, რომ ამ სეზონში მისი მთავარი მიზანი ფრანგულ ტურსა და ოლიმპიადაზე გამარჯვებაა.

*"ამ სეზონში გაცილებით ნაკლებ რბოლაში ვასპარეზობ. მინდა, რომ ფორმის პიკს ივლისში მივაღწიო. რბოლებში გამოსვლების ნაცვლად, აქცენტი ვარჯიშების ინტენსივობაზე მაქვს გადატანილი, რის გამოც, ლიეჟში ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ვიასპარეზე. ამან კი გამარჯვებაში შემიწყო ხელი",* - ამბობს ვალვერდე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი (261 კმ)

1. **ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე** (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 6:44.04 (38.756 კმ/სთ); 2. **დავიდე რებელინი** (იტალია, გეროლშტაინერი) იგივე დროში; 3. **ფრანკ შლეკი** (ლუქსემბურგი, CSC) იგივე დროში; 4. **ენდი შლეკი** (ლუქსემბურგი, CSC) 0.30; 5. **კრისტიან პფანბერგერი** (ავსტრია, ბარლოუორლდი) 0.40; 6. **ფომას დეკერი** (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.40; 7. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.40; 8. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.48; 9. **პაოლო ბეტინი** (იტალია, ქვიკ სტეპი) 1.03; 10. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, ლიკიგაზი) 1.03...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. მაიამი ჰიტი

# რაილი წავიდა



კოშმარული რეგულარულის შემდეგ, "მაიამი ჰიტის" მთავარი მწვრთნელი **პატ რაილი** თანამდებობიდან გადადგა და ამიერიდან, კლუბში მხოლოდ პრეზიდენტის მოვალეობებს შეასრულებს. ამის შესახებ მასმედიელებს თავად რაილიმ განუცხადა. თავის მემკვიდრედ კი, ლეგენდარულმა სპეციალისტმა ბევრისთვის უცნობი **ერიკ სპოესტრა** დაასახელა.

*"სეზონი ჩავაგდეთ, რაშიც დიდი წვლილი მე მიმიძღვის, თუმცა ბევრი სხვა ხელისშემშლელი ფაქტორიც იყო, რამაც გუნდს წინსვლის საშუალება არ მისცა"*, - აღნიშნა ყოფილმა მწვრთნელმა. მისი მემკვიდრე 37 წლისაა, თავად რაილი კი, ლიგის გუნდში თავკაცად 36 წლის ასაკში დაინიშნა. მისი თქმით, სპოესტრას დიდი სამწვრთნელო მომავალი აქვს.

*"ერიკი ჭკვიანი, მომთმენი და გამოცდილი მწვრთნელია. იგი თავად შეარჩევს სამწვრთნელო შტაბს და თუ ოდესმე რაიმეში დავჭირდები, სიამოვნებით მივცემ ერთ-ორ აუცილებელ რჩევას. თუმცა ცხადია, რომ მის კომპეტენციაში ჩარევას არანაირად არ ვაპირებ"*, - ამბობს რაილი, რომელმაც კარიერა 1210 გამარჯვებით დაასრულა, რაც ყველა დროის მესამე შედეგია. მასზე წინ **ლენი უილკენსი** და **დონ ნელსონი** არიან.

ორი წლის წინათ, რაილიმ "ჰიტს" ჩემპიონობა მოუტანა, რის შემდეგაც გუნდს რეგრესი დაეწყო. საბოლოოდ, პატმა ძვირადღირებული ცენტრი, **შაკილ ონილი** მოიცილა, აქცენტი **დუეინ უეიდსა** და შემადგენლობის რადიკალურად გადახალისებაზე გააკეთა და რომ არა უამრავი ტრავმა, ფლორიდელები სავარაუდოდ, პლეი ოფში გავიდოდნენ.

მოკლედ, "მაიამიში" ახალი ეპოქა იწყება.

**ზურაბ თალაკვაძე**

NBA. სეზონის ლაურეატები

# სკოტი წლის მწვრთნელი გახდა

ᲛᲔ **რაილიმ** სამწვრთნელო მოღვაწეობის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა, კარიერის ზენიტში იმყოფება "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" დამრიგებელი **ბაირონ სკოტი**. გუშინ, 37 წლის სპეციალისტი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. ეს არჩევანი NBA-ში მომუშავე ჟურნალისტებმა გააკეთეს.

"ნიუ ორლეანმა" წლევანდელი რეგულარული 56 მოგებით დაასრულა, რისი წყალობითაც დიდ ტეხასურ სამეულს გაასწრო და სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონის ჩემპიონი გახდა.

ჯერჯერობით, ბაირონ სკოტის შეგირდებს პლეი ოფშიც კარგად მისდით საქმეები. "დალას მავერიქსთან" სერიაში ეს გუნდი 3:1 იგებს და მეხუთე შეხვედრას საკუთარ მოედანზე ატარებს.

**გია თვალაბეიშვილი**

# თურქული პროგრესი

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ რეგულარულის კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო "ორლანდო მეჯიქის" თურქ ლეგიონერს, **ჰედო თურქოგლუს** ერგო. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ამ მცველმა 380 ქულა დააგროვა და წლის ყველაზე პროგრესირებადი კალათბურთელი გახდა.

29 წლის მოთამაშემ კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა. ის საშუალოდ მატჩში 19.5 ქულას, 5.7 მოხსნასა და 5.0 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

ამ ტიტულისთვის ბრძოლაში თურქოგლუს ძირითადი კონკურენტები იყვნენ "მემფისი გრიზლისის" **რუდი გეი** (167 ქულა) და **ლამარკუს ოლდრიჯი** (128) "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსიდან".

**გია თვალაბეიშვილი**

NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

**დასავლეთი**

**დენვერი-ლეიკერსი 101:107**

23:32, 31:32, 23:15, 28:24

დ: ჯ. სმიტი (26), აივერსონი (22), ენტონი (21+11 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (31+7 მოხსნა+6 პასი), გასოლი (21+7 მოხსნა), ოდომი (14+12 მოხსნა), რადმანოვიჩი (12).

**სერია 0:4**

**აღმოსავლეთი**

**ორლანდო-ტორონტო 102:92**

22:26, 27:24, 25:18, 28:24

ო: დ. ჰოვარდი (21+21 მოხსნა), ნელსონი (19), ლუისი (18+13 მოხსნა), მ. ევანსი (12), თურქოგლუ (12+8 მოხსნა+9 პასი).

ტ: ბოში (16+9 მოხსნა), დელფინო (14+7 მოხსნა), ფორდი (14), კაპონო (13).

**სერია 4:1**

**ატლანტა-ბოსტონი 97:92**

29:24, 22:24, 14:27, 32:17

ა: ჯ. ჯონსონი (35+6 პასი), ბიბი (18), სმიტი (28+7 დაფარება).

ბ: რ. ალენი (21), გარნეტი (20+9 მოხსნა+6 ჩაჭრა), პირსი (18+7 მოხსნა), რონდო (14+12 პასი).

**სერია 2:2**

ევროლიგა. სეზონის ლაურეატები

# და ისევ დიამანტიდისი

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲘᲡ "ოთხთა ფინალი" მალე დაიწყება, მანამდე კი, ამ ტურნირში მონაწილე გუნდების მწვრთნელები გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშეებს ასახელებენ. საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელად "მილანის" წევრი, **დანილო გალინარი** დაასახელეს, ხოლო საუკეთესო დამცველად კი, ზედიზედ მეოთხედ (!), ბერძნული "პანათინაიკოსის" ვარსკვლავი, **დიმიტრის დიამანტიდისი** აღიარეს.

დიამანტიდისის გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჯერ კიდევ მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ გამოეთიშა, თუმცა ბერძენი ვარსკვლავი მაინც საუკეთესოდ აღიარეს. 27 წლის მოთამაშეს სტატისტიკურად მართლაც რომ გამორჩეული სეზონი ჰქონდა - ბერძენმა სეზონი დაცვაში მოხსნების რაოდენობით მეოთხეზე, ჩაჭრებში მეხუთეზე, ხოლო დაფარებებში კი, მე-15 ადგილზე დაასრულა.

გალინარი თავისი გუნდის საუკეთესო მექულე (14.9) გახდა. 19 წლის ფორვარდისთვის სეზონი ძალიან წარმატებული გამოვიდა. რეგულარულის მსვლელობისას, 4 შეხვედრაში შეძლო 20 და მეტი ქულის დაგროვება. აღსანიშნავია, რომ დანილო დიდი საკალათბურთო ტრადიციების გამგრძელებელია - მისი მამა, **ვიტორიო გალინარი** 80-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული იტალიელი მოთამაშე და "სკუადრა აძურას" საუკეთესო დამცველი იყო. მან 1987 წელს, "მილანთან" ერთად ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო.

**ზურაბ თალაკვაძე**

## TV სპორტი

**30 აპრილი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეიოფი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ტვენტე-ბრედა.
14:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბარსელონა.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბარსელონა.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
07:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
09:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:45 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი.
12:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
13:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბარსელონა.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ლივერპული.
16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:40 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი.
19:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
20:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
21:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
01:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-სამპდორია.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი (LIVE).
05:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ლივერპული.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მულტისპორტი.
20:25 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. გიოტებორგი. შვედეთი.
21:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
21:30 გოლფი. ევროპის ტური.
22:00 გოლფ-კლუბი.
22:05 აფროსნობა.
22:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
22:40 მულტისპორტი.
22:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 კიკბოქსინგი.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
13:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ფილადელფია-დალასი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კიბერსპორტი. აშშ.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. დიორი (უნგრეთი)-ზვეზდა (რუსეთი).
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბაიერნი-ზენიტი.
19:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. რეინჯერსი-ფიორენტინა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 კიბერსპორტი. აშშ.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
01:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩესტერი-სტოკპორტი | 0:0 |

**ჰოლანდია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ტვენტე-ბრედა | 3:0 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავსტრია II-კაპფენბერგი | 3:3 |
| კერნტენი-შვადორფი | 1:0 |
| ლეობენი-შვანენშტადტი | 0:1 |
| ლუშტენაუ-გრატკორნი | 0:1 |
| პარნდორფი-ავსტრია (ლ) | 2:1 |
| ზალცბურგი II-გად ოსი | 0:2 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ურალი | 1:4 |
| ზვეზდა-სიბირი | 2:1 |
| ჩერნომორეცი-ვიტიაზი | 1:0 |
| დინამო (ბრ)-მეტალურგი | 0:1 |
| მაშუკი-ანჟი | 1:1 |
| ვოლგა-სკა (რ) | 2:3 |
| ალანია-საკ მოსკოვი | 2:0 |
| კამაზი-ს. ენერგია | 2:0 |
| ყუბანი-ნოსტა | 0:1 |
| როსტოვი-დინამო (ბარ) | 4:1 |
| ტორპედო-ბალტიკა | 0:2 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-ოსიეკი | 0:2 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ბელასიცა | 1:0 |
| სლავია-ვიდიმა | 2:0 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| ივატა-კიოტო | 2:0 |
| კაშივა-შიმიცუ | 0:2 |
| ნიიგატა-ვერდი | 0:0 |
| ტოკიო-ოიტა | 1:0 |
| ურავა-საპორო | 4:2 |
| ნაგოია-კავასაკი | 1:2 |
| იოკოჰამა-ჯეფ იუნაიტედი | 3:0 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პო ორტეზი-ტულონი | 88:95 |
| ვილერბანი-კლერმონი | 101:68 |
| შოლე-ნანსი | 59:74 |
| ორლეანეზი-დიჟონი | 66:73 |
| გრაველენი-შალონი | 81:87 |
| ჰავრი-სტრასბური | 89:63 |
| ლე მანი-ვიში | 63:53 |
| რუანი-პსჟ | 81:75 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მიუნხენი**

| | |
|---|---|
| ლი-აიტცინგერი | 1:6, 7:5, 6:2 |
| კოროლიოვი-პეტცშნერი | 4:6, 6:0, 2:6 |
| გონსალესი-სელა | 6:3, 6:4 |

**ATP. ბარსელონა**

| | |
|---|---|
| კუევასი-ბრჟეჟიცკი | 6:3, 7:6 |
| გაბაშვილი-კორია | 5:7, 6:4, 6:4 |
| ვოლანდრი-მელცერი | 6:2, 6:4 |
| გრანოლერსი-მონტანიესი | 6:3, 3:6, 3:6 |
| ტიპსარევიჩი-გულბისი | 4:6, 2:6 |
| აკასუსო-ფ. ლოპესი | 2:6, 0:6 |
| ალმაგრო-ტროიცკი | 6:2, 6:0 |
| სტარაჩე-ლუჩაკი | 7:6, 6:1 |
| ნალბანდიანი-კალერი | 1:6, 7:6, 6:3 |
| ნიემინენი-კუკუშკინი | 4:6, 4:6 |
| მარტინი-მარაი | 6:3, 6:3 |
| მარეი-ანჩიჩი | 4:6, 4:6 |
| ლაპენტი-ხიმენო ტრავერო | 6:3, 6:7, 7:5 |

**WTA. პრაღა**

| | |
|---|---|
| პირონკოვა-ივანოვა | 6:1, 7:6 |
| რიბარიკოვა-შონესი | 6:1, 6:3 |
| კრაიჩეკი-ამანმურადოვა | 4:6, 3:6 |
| კნაპი-კრეიბასი | 4:6, 2:6 |
| მოლიკი-პლიშკოვა | 4:6, 4:6 |
| სრებოტნიკი-მოისბურგერი | 6:0, 6:0 |
| ზაკოპალოვა-ერანი | 6:2, 6:3 |
| ზვონარევა-ჰრადეცკა | 6:2, 6:3 |
| ჩინკი-პანძიჩი | 6:0, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# შეჯახების მომენტი არ მახსოვს

## ინტერვიუ ავარიის შემდეგ



ესპანეთის დიდი პრიზის 21-ე წრეზე, "მაკლარენის" პილოტი ჰეიკი კოვალაინენი საშინელ ავარიაში მოყვა. იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, როცა მანქანა გახეთქილი საბურავით ასფალტზე მიდიოდა, ფინელი დამუხრუჭებას შეეცადა, მაგრამ "მაკლარენის" მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საბურავების ბარიერთან შეჯახების მომენტში, ბოლიდის სიჩქარე საათში 130 კილომეტრი იყო, ხოლო გადატვირთვა საშინელ მაჩვენებელს - 2,7g-ს უდრიდა.

მანქანის წინა ნაწილი მთლიანად დაიმსხვრა, მრბოლელმა გონება დაკარგა, მაგრამ მონოკოკი (ფორმულა 1-ის თანამედროვე ბოლიდებში, მონოკოკი პილოტის უსაფრთხოების მთავარი მექანიზმია - რედ.) არ დაზიანებულა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ასეთი ძალის დარტყმის შემდეგაც კი, უსაფრთხოების თანამედროვე საშუალებები პილოტს არამარტო სიცოცხლეს, არამედ ჯანმრთელობასაც უნარჩუნებენ. რბოლის მეორე დღესვე, კოვალაინენი მხნედ პასუხობდა "მაკლარენის" პრესსამსახურის შეკითხვებს. ფინელი დარწმუნებულია, რომ ორი კვირის შემდეგ, მორიგი ეტაპისთვის მზად იქნება...

**- როგორ გრძნობთ თავს?**

- ოდნავ თავი და კისერი მტკივა, სხვა მხრივ, ყველაფერი წესრიგშია, კარგ ხასიათზე ვარ. ახლა მთავარია, სწრაფად ჩავდგე მწყობრში, რათა საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო კომისია გავიარო და თურქეთის გრან პრიზე გამოსვლის უფლება მივიღო.

**- ავარიის მომენტი გახსოვთ?**

- თითქმის არაფერი არ მახსოვს. არც შეჯახების მომენტი და არც ის, შემდეგ რა მოხდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ავტოდრომის განსაკუთრებული შემთხვევების სამსახურს, FIA-ს ექიმებს, საავადმყოფოს პერსონალს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ჩემი ჯანმრთელობისთვის. განსაკუთრებული მადლობა იმ მრავალრიცხოვანი წერილების ავტორებს, რაც ამ ორ დღეში ჩემი მისამართით მოვიდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის!

**- როგორ ფიქრობთ, რა იყო ავარიის მიზეზი?**

- გუნდის ინჟინრებმა განაცხადეს, რომ მარცხენა წინა საბურავის დისკის პრობლემასთან გვქონდა საქმე, რამაც საბურავი მწყობრიდან გამოიყვანა. თუმცა უფრო ზუსტ მიზეზს ტექნიკური ექსპერტიზა დაადგენს. რაც ყველაზე მთავარია, მონოკოკმა ამ უძლიერეს დარტყმას გაუძლო და ამისთვის "მაკლარენის" ინჟინრებს დიდი მადლობა უნდა გადავუხადო.

**გიორგი თვალია**

# ჰემილტონი კუმირი აღარ არის

ტელეკომპანია Sky-მ ბრიტანელ ახალგაზრდებს შორის გამოკითხვა ჩაატარა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ "მაკლარენის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** აღარ სარგებლობს მათ შორის დიდი პოპულარობით. ამის მიზეზად წლევანდელ სეზონში ახალგაზრდა პილოტის არასახარბიელო შედეგებია.

გამოიკითხა 25 წლამდე ასაკის 2000 ბრიტანელი. თურმე, მათ შორის ყველაზე პოპულარული მამაკაცი "ლივერპულის" ნახევარმცველი **სტივენ ჯერარდი** ყოფილა. შემდეგ მოდიან მუსიკოსები - **პეტ დოჰერტი** (ჯგუფი Babyshambles), **ალექს ტერნერი** (ჯგუფი Arctic Monkeys) და რეპერი **კენიე უესტი**.

საყოველთაო აზრით, ანალოგიური გამოკითხვა გასულ წელს რომ ჩატარებულიყო, ჰემილტონი ულაპარაკო ლიდერი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სეზონის არცთუ ისე კარგმა დასაწყისმა ჰემილტონის იმიჯზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედა. ამ მომენტისთვის, ლუისი მსოფლიო ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზეა და 9 ქულით ჩამორჩება ლიდერ **კიმი რაიკონენს**.

**გიორგი თვალია**

ფეხბურთი

# გატუზოს 9 მცნება

ცოტა ხნის წინათ, "მილანის" ნახევარმცველმა **ჯენარო გატუზომ** ავტობიოგრაფიული წიგნი გამოუშვა, რომელშიც 168 გვერდია და 15 ევრო ღირს. წიგნი სახალისო საკითხავი ყოფილა და კრიტიკოსებმა მას "კალაბრიული ლიტერატურის მთავარი ნაწარმოები" უწოდეს. გთავაზობთ ერთ ფრაგმენტს გატუზოს ნაშრომიდან:

*"ადრე ლეკვივით ყველაფერში ცხვირს ვყოფდი და არ ვიცოდი, რისი გაკეთება შეიძლებოდა "მილანში" და რისი არა. მაგრამ შემდეგ ყველაფერს მივხვდი და ახლა მოქმედებს "მილანის" მოთამაშის ცხრა მცნება", რომელიც მე მოვიგონე:*

*1. არასოდეს ილაპარაკო არიედო ბრაიდას სასელექციო მუშაობაზე;*

*2. არასოდეს განიხილო* Milan Lab*-ის (მაღალტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც კლუბის საკუთრებაა - რედ.) მონაცემები;*

*3. არასოდეს აჩუქო ადრიანო გალიანის სხვა ფერის ჰალსტუხი, გარდა ყვითელისა;*

*4. არასოდეს უთხრა ბერლუსკონის, რომ დღეს თავდამსხმელის გარეშე ვთამაშობდით;*

*5. არასოდეს მოითხოვო 6-ნომრიანი მაისურის მოზომვა;*

*6. უნდა აპატიო რონალდოს, ზეედორფს, პირლოს, შიმიჩს, ფავალისა და ბროკის, რომ ოდესღაც ისინი შავ-ლურჯ ფერებში გაითხუპნენ.*

*7. შემდეგნაირად უპასუხო კითხვებს:*

*დუდეკი? - ეგ ვინ არის?*

*ლივერპული? - "ბიტლზების" ქალაქი.*

*სტამბული? - თურქეთის დედაქალაქი.*

*8. თუ ვინმე იმაზე დაიწყებს საუბარს, რომ ოდესღაც "მილანი" სერია B-ში თამაშობდა, გულგრილი სახით უნდა დაინტერესდე ჩემპიონთა ლიგაზე კლუბის წარმატებებით.*

*9. არასოდეს თქვა, რომ არ გიყვარს ემილიური ტორტელინი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანჩელოტი სამი თვით გაგიშვებს ტრიბუნებზე".*

**გია თვალაბეიშვილი**




გოლფი

# ინგლისში ბრილიანტის ბურთი დაამზადეს

ბრიტანეთი გოლფის ქვეყანაა, სადაც ნებისმიერ თავმოყვარე ჯენტლმენს უნდა შეეძლოს გოლფის ყვანჯის ხელში დაჭერა. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ინგლისში შეიქმნა გოლფის სათამაშო ბრილიანტის ბურთი.

ძვირფასი მობილური ტელეფონების მწარმოებელმა კომპანია Goldstriker-მა სპორტის ამ სახეობის ფანატების გახალისება გადაწყვიტა და უჩვეულო ბურთი დაამზადა. ამ ნაკეთობაში უჩეულო ისაა, რომ ის თეთრი ოქროსგან არის დამზადებული, რომელშიც ოსტატურად არის ჩასმული თეთრი და შავი ბრილიანტები.

ბრილიანტების საერთო მასა დიდი არ არის - სულ 11 კარატი, მაგრამ ისინი ისე ბრწყინავენ, რომ ბურთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში, ის ნებისმიერის აღფრთოვანებას გამოიწვევს.

სხვათა შორის, ბურთი მთლიანად ხელით არის დამზადებული. მისი ღირებულება 18 ათას ფუნტს შეადგენს.

**გია თვალაბეიშვილი**



კალათბურთი

# დაბოლილი NBA



"დალას მავერიქსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯოშ ჰოვარდმა** აღიარა - სეზონებს შორის შესვენებების დროს მარიხუანას ვეწევიო. ფორვარდმა ისიც განაცხადა, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა უმრავლესობაც იგივეს აკეთებს.

*"ჩვენს ლიგაში ბევრი ეწევა მარიხუანას და არც მე ვარ გამონაკლისი, ოღონდ ამას სეზონის დასრულების შემდეგ ვაკეთებ. ეს ჩემი არჩევანია და არა მგონია, რომ ის სამუშაოს კარგად შესრულებაში მიშლიდეს ხელს"*, - ამბობს ჰოვარდი.

ამერიკაში მარიხუანა კანონით აკრძალულია და ამიტომაც, გამორიცხული არ არის, რომ დალასელმა ლიგისგან გარკვეული სასჯელიც დაიმსახუროს.

სკანდალს გამოეხმაურა "დალასის" მფლობელი **მარკ ქიუბანი** და განაცხადა, რომ ეს შიდა გუნდური საქმეა: *"ამის გამო საქვეყნო განხილვას არ მოვაწყობთ. ყველაფერს კოლექტივის შიგნით გადავწყვეტთ. ეს არის, რისი თქმაც შემიძლია".*

NBA-ის წესების თანახმად, მოთამაშეებმა რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას ოთხჯერ უნდა გაიარონ დოპინგტესტი. თუ ტესტი მარიხუანაზე დადებით შედეგს აჩვენებს, კალათბურთელს ნარკოლოგიური კონსულტაციის პროგრამაში ჩართავენ. ხელმეორე დანაშაული 25 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ 2001 წელს, NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი **ჩარლზ ოუკლი** დაახლოებით მსგავსი განცხადებით გამოვიდა - მისი თქმით, ლიგის მოთამაშეთა 60 პროცენტი მარიხუანის მომხმარებელია.

**გია თვალაბეიშვილი**